


K 58932  
2

პაატა კოდუაშვილი



**აგრარული რეფორმა:  
უძებები და პერსპექტივები**



პაატა კოლუაშვილი

F 18054

2



**აბრარული რეფორმა:**  
**უღებები და პერსექუციები**

თბილისი 1998



ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის პაატა კოლეაშვილის ნაშრომში განხილულია საქართველოში აგრარული რეფორმის განხორციელების პირველი ეტაპის შედეგები და მეორე ეტაპის სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებები.

წიგნი განკუთვნილია აგრარეკოს ეკონომისტებისათვის, სტუდენტებისა და აგრარული პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის მისამართი

V 58932

რედაქტორი: *ოზარ ვაშაკიძე*

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: პროფ. *რევაზ ასათიანი*,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

*გიორგი შიბშიძე*,

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



შესავალი .....	4
თავი I. აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის შედეგები	5
1.1. აგრარული რეფორმის მეცნიერული კონცეფციის შესახებ .....	5
1.2. საადგილმამულო ურთიერთობის რეფორმა .....	8
1.3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია .....	12
1.4. აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის შეფასება ....	25
თავი II. საქართველოს აგროსამრეწველო წარმოების მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები .....	32
2.1. რეფორმამდელი აგრარული ეკონომიკა .....	32
2.2. აგრარული ეკონომიკა რეფორმის პირობებში .....	39
2.3. აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის მეცნიერული საფუძვლები და პრიორიტეტული მიმართულებები .....	48
2.4. აგრარული წარმოებაში ეფექტიანობის ამაღლების საკითხის განსაზღვრისათვის .....	52
თავი III. აგრარული რეფორმის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები .....	61
3.1. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურისა-ცია საბაზრო ფორმის საფუძველია .....	61
3.2. აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე .....	69
3.3. აგრარული ბაზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები .....	76
3.4. აგრობიზნესის რეგულირების ზოგიერთი ასპექტები...	87
3.5. საკრედიტო კავშირები: შედეგები და პერსპექტივები	95
გამოყენებული ლიტერატურა .....	104

შპს "საქაგრო" 0007-2000



საზოგადოებრივი წარმოების დღემდე არსებული წესისათვის უცნობია საბაზრო ეკონომიკაზე სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანის მაგალითი. აგრარული რეფორმა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების შემადგენელი ნაწილია და ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. იგი მიმდინარეობს რთულ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში, რაც დღემდე სათანადო მეცნიერული სიღრმით არ არის შესწავლილი. გასარკვევია თუ რა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოუტანა საქართველოს რადიკალურმა აგრარულმა რეფორმამ. ჰქონდა თუ არა მას მეცნიერული საფუძველი, აღნიშნული მეურნეობრიობის ფორმები, რომლებიც აპრობირებული და დამკვიდრებულია თანამედროვე მსოფლიოში, საქართველოში საწყის სტადიაზე იმყოფება. მართალია, აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის ზოგიერთი მიმართულება შედარებით კარგადაა გაშუქებული ქართველ მეცნიერთა შრომებში, მაგრამ ისინი ძირითადად რეფორმის განმაზოგადებელ საკითხებს მოიცავს და ნაკლებად შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, მის თავისებურებებს, ადგილსა და როლს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც მთავარია, ჯერ კიდევ არა გვაქვს აგრარული კრიზისის დაძლევის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები.

ფაქტია რომ მეურნეობრიობის ახალი ფორმების ორგანიზაციას, მის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად და ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნით შეგვესწავლა მეურნეობრიობის ახალი ფორმების განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებანი, გაგვერკვია მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, დაგვედგინა ხელშემშლელი ფაქტორები და შესაბამისი მონაცემების მეცნიერული ანალიზის შედეგად მიგვეცა მისი შემდგომი განვითარებისათვის დასაბუთებული მიმართულებანი.

1.1 აზრბაზული რეფორმის მცხინარული კონცეფციის შესახებ

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენს აგრარული რეფორმის დროული და თანმიმდევრული განხორციელება. ამ მიზნით 1997 წლის 7 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია.

აგროსამრეწველო კომპლექსის და მისი ძირითადი რგოლის - სოფლის მეურნეობის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია მეცნიერულად დასაბუთებულ აგრარულ პოლიტიკაზე, სწორ სახელმწიფოებრივ მიდგომაზე და ბაზრის სურსათით გაჯერებაზე.

აგრარული პოლიტიკის კონცეფცია ქვეყანაში მიმდინარე აგრარული გარდაქმნების, აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი მდგომარეობის ანალიზის შედეგადაა მომზადებული. მასში მოცემულია აგრარული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები, განსაზღვრულია აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგია. განხილულია ინვესტიციური და ტექნიკური პოლიტიკის, საქონელმწარმოებელთა რესურსული უზრუნველყოფის, მეურნეობრიობისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმების კოოპერაციის, აგროსამრეწველო ინტეგრაციის ძირითადი დებულებები. დასაბუთებულია აგრარული რეფორმის, სტრუქტურული გარდაქმნების, ეკონომიკური და საადგილმამულო ურთიერთობების განვითარების მიმართულებები. ჩამოყალიბებულია საბაზრო ინფრასტრუქტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების, სოფლის სოციალური პრობლემების გადაჭრის, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

კონცეფციის მიზანია იქცეს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დამუშავების, საქართველოში აგროსამრეწველო წარმოების სტაბილიზაციისა და განვითარების, აგროსამრეწველო კომპლექსის რეგიონალური განვითარების პროგრამების, აგროსამრეწველო წარმოების გაძღოლის სისტემის დამუშავების,

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საფუძველად. აგრეთვე, მან უნდა გადაწყვიტოს: მიწისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება; თავისუფალი ფასების (ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად) დაშვება და ამოქმედება; სწორი საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო პოლიტიკის კურსის დამუშავება და გამოყენება; საწარმოთა კონკურენცია და პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მეურნეობრიობის ყველა ფორმის სამართლებრივი და ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა; აგრეთვე, ტრადიციული სამთო მიწათმოქმედებისა და სოფლად მეწარმეობის ხელშემწყობი პირობების შემუშავება და დანერგვა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, რეალიზაციის, აგროსერვისის, ვაჭრობის, დაკრედიტების სფეროებში საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის საწარმოების კოოპერირებისა და ინტეგრირების პროცესების სტიმულირება, სოფლის სოციალური გარდაქმნა, რეგიონების როლის ამაღლება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

აგროსამრეწველო წარმოების აღდგენისა და განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირების პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია; სოფლად ეკონომიკური სიტუაციის გასაუმჯობესებლად საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნა და დანერგვა; ეკონომიკური სტიმულირებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაფუძნებული სასურსათო რესურსების ფორმირების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა; მმართველობითი იერარქიის ყველა დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემის სრულყოფა; აგროსამრეწველო კომპლექსში მართვის სახელმწიფო და სამეურნეო ფუნქციების გამიჯვნა, სახელმწიფოს ჩაურევლობა დამოუკიდებელი საქონელმწარმოებლების საქმიანობაში, მეურნე-სუბიექტის მიერ კომერციული ანგარიშის საფუძველზე სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების დამოუკიდებლად შექმნა; სახელმწიფო საკუთრების ობიექტების მათი მართვის ფუნქციების გადაცემა სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროსა და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი სახელმწიფო ორგანოებისათვის; განვითარე-

ბის მართვისა და პროგნოზირების მეთოდების სრულყოფა და წარმოებაში დანერგვა.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფა სამამულო საქონელმწარმოებლების ინტერესების დაცვის მიზნით; სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგებისათვის საწყის ეტაპზე სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება; ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა ინტერესების დაცვა საზღვარგარეთული საქონლის ინტერვენციისგან; ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება; ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის სრულყოფა, ტარიფების მეშვეობით მისი რეგულირება; შიდა ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი იმპორტული საქონლისგან; ქვეყნის შიგნით ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირება, ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზარზე გასვლა.

ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის და ტაქტიკის საკითხები მუდამ იყო მთავარი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, მით უფრო ახლა, საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი ეტაპის პირობებში. ამას მოითხოვს საქართველოს სასურსათო პრობლემის სიმწვავე და მისი გადაჭრის მოთხოვნები. ამასთან, ეკონომიკის მასშტაბები და კავშირურთიერთობების გართულება აგრარულ ეკონომიკაში ახალ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვასა და დაგეგმვას.<sup>1</sup>

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, საქართველოს აგრარული ეკონომიკის განვითარებაში 1995 წლიდან ნათლად გამოიკვეთა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენცია, მათ შორის აგრარული ეკონომიკის საფინანსო-ეკონომიკური სტაბილიზაცია და აგროსამრეწველო კომპლექსის შიგა დარგობრივ სფეროებში შესაბამის დარგთა, განსაკუთრებით ასკ-ის ცენტრალური სფეროს სოფლის მეურნეობის გამოცოცხლება, წარმოების შესვლა ზრდის ფაზაში. აღნიშნული ტენდენციის მკაფიო განმაზოგადებელი

<sup>1</sup> საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, თბ. 1997 წლის 7 აპრილი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №171.



გამოხატულებაა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდა. აღნიშნული პროდუქცია 1996 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15%-ით, ხოლო 1997 წელს 1996 წელთან შედარებით - 18%-ით.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა გატარდეს სრულყოფილი აგრარული პოლიტიკა, გადაიჭრას სასურსათო პრობლემა. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში უნდა განხორციელდეს გადამწვევები ძვრა, რათა უახლოეს პერიოდში გაუმჯობესდეს მოსახლეობის სურსათით მომარაგება. სოფლის მეურნეობაში აუცილებელია სტრუქტურული ცვლილებები. კერძოდ, ამ ეტაპზე წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ე.წ. სასურსათო დარგების განვითარების მასშტაბები, შემდგომ კი სავალუტო დარგებს მიეცეს მეტი გაქანება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინტენსიური ტექნოლოგიების საყოველთაო ათვისებას, კვალიფიციური კადრების მომზადებას, კოლექტიური იჯარის განვითარებას კომერციული ანგარიშის საფუძველზე. უნდა დაჩქარდეს სოფლის სოციალური გარდაქმნა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ხელი შეეწყოს სოფლად სამეწარმეო საქმიანობის ფართოდ გაშლას, ახალი ტიპის მეწარმეების გაჩენას. მეწარმეობა უნდა გახდეს სოფლად აგრობიზნესის განვითარების მთავარი მიმართულება. სოფლად დამოუკიდებელი და თავისუფალი მეწარმეობის ჩამოყალიბება, მათი საქმიანობის პირობების შექმნა არის დარგის აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.

## 1.2. საადგილმამულო ურთიერთობის რეფორმა

საადგილმამულო ურთიერთობები მეტად რთული პრობლემაა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში ყოველი ადამიანის ბედს ეხება. აქ ერთმანეთშია გადახლართული უფლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ასპექტები.

ცნობილია, რომ 1921 წელს საქართველოში მიწა ნაციონალიზებული იქნა და შემდეგ საერთო-სახელმწიფო საკუთრებად იქცა. სახელმწიფო თავისი აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით მიწას გასცემდა მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით სარგებლობაში, უფასოდ. ამგვარად, მაშინ აღიარებული

იყო საადგილმამულო ურთიერთობის მხოლოდ ერთი ფორმა – მიწათსარგებლობა. საადგილმამულო ურთიერთობა წარმოიშობოდა სახელმწიფოსა და მიწათმოსარგებლეს შორის, მხოლოდ მიწის გაცემასთან ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით. უკეთესი ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიწებზე წარმოქმნილი რენტა ამოიღებოდა არაპირდაპირი გზით – სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ზონალური ფასების მეშვეობით. ვინც უკეთ მუშაობდა, იმისგან უფრო მეტს იღებდნენ. ასეთმა ვითარებამ გამოიწვია მიწის საკუთრების ჩამოშორება მისი გამოყენების შედეგებისაგან, მიწების საყოველთაო დეგრადაცია, კოლექტიური უყაირათობა და მიწის „არავისობა“ – „მეურნეობა მეპატრონის გარეშე“ დარჩა. რა სიახლე შეაქვს საადგილმამულო ურთიერთობაში მიწის რეფორმით გატარებულ ღონისძიებებს?

*პირველი*, – მიწა ცხადდება კერძო, სახელმწიფო და საეკლესიო საკუთრებად. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების რეალიზაცია ხდება ადგილებზე;

*მეორე*, – გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებს, კოოპერატივებს, ცალკეულ მოქალაქეებს მიწა ეძლევა საკუთრებაში, ხოლო სახელმწიფო მეურნეობებს – მფლობელობაში; არასასოფლო-მეურნეობებს მიწა ეძლევა სარგებლობაში;

*მესამე*, – მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობისა და მიწათსაკუთრების უფლების ეკონომიკური მექანიზმის ძირითად და აუცილებელ ელემენტად აღიარებულია მიწის გადასახადი;

*მეოთხე*, – მიწის კანონმდებლობის საფუძვლებით წესდება მხოლოდ საერთო პრინციპები და ნორმები, ძირითადი საადგილმამულო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებშემქმნელი ნაწილი ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებს განეკუთვნება.

ქვეყანაში საადგილმამულო საკანონმდებლო აქტების მიღება განპირობებული იყო, შემდეგი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობით:

– სურსათის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის ტერიტორიული წინაპირობების შექმნა;

– დეგრადირებისაგან, განიავეებისაგან პროდუქტიული მიწების დაცვის უზრუნველყოფა;

- მიწის, როგორც რესურსის ჩართვა აქტიურ ეკონომიკურ (ქონებრივ) ბრუნვაში;

- გლეხობის მხარდაჭერა, განგლეხების პროცესის დივიდაცია.

საადგილმამულო რეფორმის გატარების პერიოდში ბევრი სერიოზული ხარვეზია დაშვებული, რომელსაც აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. მიწის კანონმდებლობამ უნდა შექმნას აღნიშნული პრობლემის გადაჭრის უფლებრივი საფუძველი. კერძო საკუთრება ხდება ეკონომიკური ინტერესის აღმძვრელი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საძირკველი, ხოლო საბაზრო ეკონომიკა - მოქმედების ბუნებრივი ისტორიულ წესი. ეს არის საქართველოში ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის მთავარი ნიშანთვისება.

განვიხილოთ თითოეული ზემოთ დაყენებული პრობლემა საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების თვალსაზრისით. რადიკალური აგრარული რეფორმის ცენტრალური საკითხია მიწის რეფორმა. ამასთან, მიწის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა სურსათის შექმნისათვის ტერიტორიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა. საქართველოს გააჩნია სასურსათო პრობლემის საკუთარი ძალებით გადაჭრის რეალური შესაძლებლობები. ეს სავსებით მისაღწევია თუ შეიქმნება მაქსიმალურად ხელშემწყობი ეკონომიკური რეჟიმი გლეხურ-ფერმერული, კოოპერაციული და სხვა სახის მეურნეობებისათვის მიწის რესურსების სრულად გამოსაყენებლად.

დღეს არ არსებობს მიწის რაციონალურად გამოყენებაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა. ჩვენ არა ვართ იმდენად მდიდრები, რომ ეკონომიკური ბრუნვიდან გამოვრიცხოთ ისეთი რესურსი, როგორცაა მიწა. მთელ მსოფლიოში მიწა, როგორც სივრცობრივი ბაზისი და წარმოების ერთადერთი შეუცვლელი საშუალება, წარმოადგენს ქონებრივი ურთიერთობის ელემენტს.

მიწის გადასახადის დაწესებამ შექმნა საფუძველი მიწის ნაყოფიერების დაცვისათვის. იგი უნდა მოხმარდეს მიწის მონიტორინგს, მიწის კადასტრის სამუშაოებს, დეგრადირებული მიწების აღდგენას, გზების, სარწყავი ქსელის მშენებლობას და სხვ.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მიწაზე ადამიანისა და შრომითი კოლექტივების საკუთრების საკითხისადმი ობიექტური დამოკიდებულების განსაზღვრა. ეს იმაში მდგომარეობს, რომ აქ სჭარბობს იდეოლოგიზირებული, ეკონომიკურ ანალიზს მოკლებული მიდგომა. არა და ეს ხომ უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას მიწისადმი, როგორც წარმოების საშუალებისადმი. მიწა, როგორც ბუნებრივი კომპლექსის ნაწილი - ხალხის საკუთრებაა, მაგრამ მიწა, როგორც წარმოების საშუალება - წარმოადგენს კერძო საკუთრების ობიექტსაც. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მიწა იქცევა გამორჩენის, სპეკულაციის და სხვა ნეგატიური გამოვლინებების საშუალებად. ამისათვის შემუშავებულია სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი, რომელიც ჩადებულია მიღებულ კანონებში. დიდი ილიას მიერ ჩვენში დაარსებული საადგილმამულო ბანკიც ხომ ამ იდეას ისახავდა და ჩვენც მას გარკვეულად ვეყრდნობით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღებული კანონი ითვალისწინებს რიგ რადიკალურ ცვლილებებს საადგილმამულო ურთიერთობაში. წესდება მიწის კერძო საკუთრება. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება შეიძინოს მიწა საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, სახელოსნოს, საცხოვრებელი სახლის, აგარაკის ასაშენებლად, საბაღე ნაკვეთის მოსაწყობად. გარკვეული შეზღუდვებით დაკანონებულია მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება, წესდება მიწაზე სარგებლობის გადასახადი. გათვალისწინებულია არსებული საწარმოდან თითოეული მუშაკის თავისუფალი გასვლის უფლება მიწის ქონებრივი წილით. ამ მიზნით ტარდება მიწების გადახაწილება და განისაზღვრება სპეციალური მიწის ფონდის შექმნის მექანიზმი. ასეთი ფონდის შექმნის გარეშე გლეხურ-ფერმერული მეურნეობების ორგანიზება წარმოუდგენელია. რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა მიწების ინვენტარიზაციისა და მიწის კადასტრის განხორციელების აუცილებლობა. ამასთან მიწათმოსარგებლებზე უნდა გაიცეს მიწით სარგებლობის აქტები და დაკანონდეს მიწაზე საკუთრების უფლება. ასეთი აქტები უნდა

მიიღოს ყოველმა მიწათმოსარგებლემ და მიწათმფლობელმა.

აგრარული რეფორმის გატარების შედეგად ჩვენში შეიცვალა საადგილმამულო ურთიერთობა და სამიწათმოქმედო კულტურა, ცხადია, არა ხელოვნური გზით, რასაც ადგილი ჰქონდა ადრე, არამედ აქ არსებული დამაბრკოლებელი მექანიზმების გადაღახვის მეოხებით. იგი უფრო მეტად გლეხის, მიწის მოსარგებლის ინტერესს დაეფუძნა. ასეთი მექანიზმი, თუ იგი სწორად იქნება გამოყენებული, არ დაუშვებს ნეგატიური პროცესების წარმოშობას, მოქალაქეებისადმი საკუთრების უფლების მინიჭება კი განაპირობებს მიწისადმი დამოკიდებულების შეცვლას, წარმოშობს მისი გაუმჯობესების, შენარჩუნებისა და გამოყენების ეფექტიანობისათვის ზრუნვას, ამას ამტკიცებს საადგილმამულო ურთიერთობების გამოცდილება განვითარებულ ქვეყნებში.

მიწის რეფორმა სერიოზული ხარვეზებით ჩატარდა დსთ-ს ქვეყნებში და მათი გამომწვევი მიზეზი თითქმის ყველგან ერთნაირია. კერძოდ, ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მიწის რეფორმა დაიწყო ენთუზიაზმით, მაგრამ მოუშხადებლად, რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო ინსტიტუციონალური და ტექნიკური პრობლემების მოუგვარებლად და საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის მოუშხადებლად. არ არის შექმნილი მიწის კადასტრი, რეგისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩამოუყალიბებელია შესაბამისი სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი სამსახურები, არ არსებობს სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა და სხვ. მიუხედავად ზემოთქმულისა, სახელმწიფოში სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლის საფუძველს მიწის რეფორმა (საადგილმამულო ურთიერთობათა შეცვლა) წარმოადგენს.

### 1.3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია

ახლა, როცა ქვეყანამ კურსი აიღო საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობისაკენ, საჭიროა ითქვას იმ მიზეზების შესახებ, რომელმაც სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაკოტრება გამოიწვია, რათა ხელახლა დაშვებული არ იქნეს ანალოგიუ-

რი შეცდომები, რათა ნაკლები დანაკარგებით შევქმნათ ახალი ტიპის სოფლის მეურნეობა და შევძლოთ ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. წარუმატებლობის მიზეზი, რა თქმა უნდა, მრავალი იყო, მაგრამ მთავარი მაინც შემდეგია: წარმოების ბუნებრივი პირობებისადმი მეურნეობრიობის ფორმების შეზღუდვა და შეუსაბამობა; წარმოების ეკონომიკური კანონზომიერების უგულვებელყოფა; სოფლის მეურნეობის მეწარმეთა ხელაღებით გასახელმწიფოებრიობა (მეწარმეობა მესაკუთრის გარეშე); სოფლის მეურნეობის დირექტიული მართვა; გლეხობის სოციალური დაუცველობა.

სოფლის მეურნეობის ხელაღებით კოლექტივიზაცია, როცა კოლმეურნეობა შემოღებული იქნა მეურნეობრიობის სავალდებულო ფორმად, ყველგან და ყოველთვის, იყო უდიდესი შეცდომა, რომელმაც საპირისპიროდ შეატრიალა ის ჭეშმარიტება, რომ საწარმოო პირობას უნდა მოვარგოთ (მივუსადაგოთ) მეურნეობრიობის ფორმა.

კაცობრიობას არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი მეწარმეობის, მითუმეტეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც ყოველგვარ პირობებში გამოდგებოდა. საქართველოში მოკლე დროში დადასტურდა, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა ვერ გაამართლეს მთის ზონის მკაცრ არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში და ვერ გადაიქცნენ ისინი ისეთ საწარმოებად, სადაც განუხრელად გაიზრდებოდა საზოგადოებრივი დოვლათი და ამავდროულად კოლმეურნეთა ცხოვრების დონე, მაგრამ სინამდვილის თქმა, მაშინ შეუძლებელი იყო. საქმე იმაშია, რომ მთიანი რელიეფი, წვრილკონტურიანი და ერთმანეთს დაშორებული დიდი დაქანების მქონე დაბალნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, უგზობა და სხვა არახელსაყრელი პირობები გამოიციხავს მეურნეობრიობის კოლექტიური ფორმის უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობას, მით უმეტეს, როცა ყველაფერი ცენტრიდან არის რეგლამენტირებული და სწორედ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გახდნენ საქართველოს მთის ზონის გაპარტახების მიზეზი, მთა რომელიც ერთ დროს ქვეყანას არჩენდა,

ახლა თვითონ სარჩენი გახდა.

სოფელს დიდი ზარალი მიაყენა კოლმეურნეობების განსახელმწიფოებრიობამ, როცა სახელმწიფო უწესებდა მათ ყველა სახის საწარმოო-სამეურნეო მანქანებლებს და უშუალოდ ერეოდა შიგასამეურნეო საქმიანობაში. სამოციანი წლებიდან სახელმწიფომ იმდენად მოიკიდა ფეხი კოლმეურნეობებში, რომ მათ დაკარგეს საკუთარი ქონების განკარგვის უფლება, თუ არაფერს ვიტყვით საბჭოთა მეურნეობებზე, რომელთა ქონება სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მისი გამოყენების რეგლამენტირება ასე თუ ისე მისაღები იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა კოლმეურნეობების მართვის სისტემა, რომელიც რეკომენდაციის პრინციპით ხორციელდებოდა, მაგრამ სავალდებულო იყო შესასრულებლად. პრაქტიკულად სახელმწიფო ორგანოები წყვეტდნენ კოლმეურნეთა საერთო კრების კომპენტენციის საკითხებს, როგორცაა წარმოების დაგეგმვა, მოსავლიანობა, პროდუქტიულობა, პროდუქციის რეალიზაცია, შემოსავლის განაწილება, წლიური ანგარიშების დამტკიცება და სხვ.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის კრიზისული მდგომარეობის დაძლევის, რომელიც ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან აშკარად გამოიკვეთა, სახელმწიფო ცდილობდა დირექტიული მართვის სრულყოფითა და გამკაცრებით. თითქმის ყოველწლიურად იცვლებოდა მართვის სტრუქტურა და უფლება. ამასთან, ყოველი მომდევნო კიდევე უფრო ზღუდავდა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დამოუკიდებლობას.

კანონმდებლობის მიხედვით სოფლის მეურნეობის მართვა ხორციელდებოდა ცენტრალური სახელმწიფო მმართველობით, მშრომელთა აქტიუობასთან შეთანაწყოებით, სადაც მეწარმეთა მოვალეობას წარმოადგენდა სამთავრობო ორგანოებში მიღებული დადგენილებების მოწონება და შესრულება.

საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების საქმიანობის შემოწმება და რევიზია შეეძლო 40-მდე ორგანიზაციას, დაწესებულებას, უწყებას და სხვას ვისაც ეს მოესურვებოდა, რა თქმა უნდა შეუსრულებელს არავინ ტოვებდა რევი-

ზია-შემოწმების გეგმებს.

რევიზორები თავიდანთ ანგარიშებში მუდამ „დასაბუთებდნენ“ რევიზიების აუცილებლობას და შეიძლება ეს არასწორი იყო, მაგრამ არავინ ინტერესდებოდა, რატომ იზრდებოდა ეკონომიკურად სუსტი მეურნეობების რიცხვი ჩატარებული რევიზიის პროპორციულად.

იყო მძიმე პერიოდი, როცა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას ცდილობდნენ პირად დამხმარე მეურნეობების შევიწროებით. მეურნეობრიობის ამ ფორმამ განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა მაშინ, როცა, ითქვა, რომ ახლანდელი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს და პირადი დამხმარე მეურნეობა ზედმეტი იქნებაო. ამ ღלוზუნვით განსაკუთრებით დაზარალდა მეცხოველეობა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ძროხების მასობრივად ჩაბარების დადგენილებაც კი მიიღეს, სამაგიეროდ მოსახლეობას პირდებოდნენ, რომ რძეს და რძის პროდუქტებს მიყიდდნენ უფრო იაფად, ვიდრე მის წარმოებაზე იხარჯებოდა პირად დამხმარე მეურნეობაში. ამ მცდარი პოლიტიკის შედეგად ის მივიღეთ, რომ მოსახლეობაში მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მომხმარებლად იქცა. 1982 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში აღრიცხული 535 ათასი კომლიდან არც ერთი სახის პირუტყვი არ ყავდა 160 ათასს, ხოლო ძროხა – 255 ათასს, მიუხედავად იმისა, რომ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად 1970 წლიდან კრედიტს აძლევდნენ პირად დამხმარე მეურნეობებს ძროხების შესაძენად.

ქვეყნის მასობრივ კოლექტივიზაციას იმდენი უარყოფითი შედეგი და გადაუწყვეტელი პრობლემა დაუგროვდა, რომ ორმოცდაათიანი წლებიდან საბჭოურმა ხელისუფლებამ თვითონვე დაიწყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის „შეკეთება-შესწორების“ ღონისძიებების განხორციელება. ამ მიმართულებით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილება და მთის სოფლების მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება, რომელიც 1950-1953 წლებში განხორციელდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან თითქმის არც ერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებამ (მთაში)



დადებითი შედეგი გამოიღო, ამ პოლიტიკამ საერთოდ გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა მთის ზონას. გაუარესდა მეურნეობრიობის პირობები, გაიზარდა მიგრაციის მასშტაბები, გაჩნდა ნასახლარები და ნასოფლარები.

ხელაღებით კოლექტივიზაციის უარყოფითი შედეგები იმანაც განაპირობა, რომ ყველა კოლმეურნეობა მიუხედავად მისი ადგილსამყოფელის, საწარმოო-სამეურნეო პირობების, ხალხის ტრადიციებისა და სოციალური მიმართულებისა იმართებოდა ერთი და იგივე წესდებით, რომლის დებულებები ყველასათვის სავალდებულო იყო.

კოლმეურნე ოჯახის წევრები, რომლებიც შრომისუნარიანობის ასაკს მიაღწევდნენ მექანიკურად ხდებოდნენ კოლმეურნეობის წევრები სურვილისა და განცხადების გარეშე. ხელისუფლების მიერ ისიც დაკანონდა, რომ კოლმეურნეობის წევრს არ ეძლეოდა პასპორტი და შეუძლებელი იყო სხვა სამუშაოზე წასვლა. საზოგადოებრივმა საკუთრებამ გამოიწვია კოლმეურნე წევრებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის შედეგებისადმი გაუცხოება, განყენებული დამოკიდებულება და გულგრილობა. იქამდე დაეცა სოფლად მუშაობის პრესტიჟი, რომ ახალგაზრდობას სირცხვილად მიაჩნდა კოლმეურნეობის წევრობა. მდგომარეობას კიდევ მეტად ის ართულებდა, რომ დირექტიული მართვის განმტკიცებასა და იძულებას საქმე უკეთესობისაკენ არ მიყავდა.

შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ხელისუფლებამ დაიწყო იმ დროისათვის უფრო ეფექტური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იყო საკოლმეურნეო ცხოვრების განმტკიცებისაკენ, კრიზისის დასაძლევად. 1956 წლიდან შესაძლებელი გახდა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებაში კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ცვლილებები ეხებოდა საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმის განსაზღვრას, პირად დამხმარე მეურნეობაში პირუტყვის ყოლისა და საკარმიდამო ფართობების ნორმებს, რიგ სხვა საკითხებს, რომელთა ზედა ზღვარი მთავრობის მიერ იყო დაწესებული. კოლმეურნეთა დაინტერესების მიზნით 1958 წლიდან გარკვეულად

რეფორმირებული იქნა შრომისა და მისი ანაზღაურების ორგანიზაციის წესები.

მანამდე არსებული სავალდებულო წესი, რომელიც ითვალისწინებდა საზოგადოებრივ მინდვრებსა და ფერმებში სამუშაოების კოლექტიურად (ერთობლივად) შესრულებას და წარმოადგენდა გათანაბრების ყველაზე მახინჯ ფორმას, დაშვებული იქნა ინდივიდუალური სანარდო სისტემა, რომელიც კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობის მუშას საშუალებას აძლევდა გაეპიროვნებინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობები და თვითონვე შეესრულებინა სამუშაოები. ამასთან მას წინასწარ უწესდებოდა მოსავლიანობის გეგმა (დავალება), შემოღებული იქნა შრომის დამატებითი ანაზღაურება, ძირითად ანაზღაურებასთან ერთად კოლმეურნეს ეძლეოდა ნატურით მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მატერიალური დაინტერესების წამოწევამ დადებითი გავლენა იქონია პროდუქციის წარმოების გადიდებაზე. მაღალი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნე იღებდა ნატურით მარცვლეულს, ხილს, ყურძენს, თაფლს, ბოსტნეულს, შემდგომში მეცხოველეობის პროდუქციასაც, მაგრამ მან ბოლომდე მაინც ვერ გადაწყვიტა საკოლმეურნეო ცხოვრების რეანიმაციის პრობლემები. განსაკუთრებით კი მთის ზონაში, რომელიც გამოირჩეოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დაბალი დონით.

შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღება (1966 წელი) იყო სწორედ საკოლმეურნეო წყობილების ნგრევის შეჩერების კიდევ ერთი ცდა, მაგრამ იგი მიღწეული არ ყოფილა, რადგან მეურნეობრიობის ეს ფორმა მარტო მატერიალური დაინტერესების პრინციპების უგულვებელყოფით არ ყოფილა განწირული, კოლმეურნეობათა დიდ უმეტესობას არ აღმოაჩნდა საჭირო სახსრები და იგი ვერ განხორციელდა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის გადაგვარებას ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უღმობელმა ძარცვამ, რომელიც სულ სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით ხორციელდებოდა. მთავარი მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები იყო, რომელიც ვერ

საქართველო 1796  
პარტია 333500

ანაზღაურებდა მის წარმოებაზე გაწეულ აუცილებელ ხარჯებს, თუ არაფერს ვიტყვით გარკვეულ მოგებაზე, რომლის გარეშე არ არსებობს მეწარმეობა. სოფლად სკოლების, კლუბების, სამედიცინო, სავაჭრო დაწესებულებების, სოფლის გზებისა და სხვათა მშენებლობა ძირითადად ხორციელდებოდა კოლმეურნეობების სახსრებითა და შრომითი მონაწილეობით, ისინი მრავალნაირ ობიექტს აშენებდნენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა მათ საქმიანობასთან.

შეუძლებელია გამართლება მოექცბნოს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო, რომელიც მილიარდობით შემოსავალს ღებულობდა კოლმეურნეობებისაგან 40 წლის განმავლობაში, ვერ გამოიხატა კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესაძლებლობა. იგი შემოღებულ იქნა 1962 წლიდან ისიც კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე.

შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისათვის სახელმწიფოს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებანი, მაშინ თავისებურ რეფორმას წარმოადგენდა, მაგრამ სასურველი შედეგი იმიტომ ვერ გამოიღო, რომ იგი არ შეხებია მის საფუძველს – საზოგადოებრივ საკუთრებას, როცა ყველაფერი ყველასი იყო და კონკრეტულად არავისი, არ არსებობდა მეწარმე მესაკუთრე, რომელიც თავისი საქმისა და ქონების სრულყოფლებიანი ბატონ-პატრონი იქნებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით 1996 წლისათვის ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში სულ მოქმედებდა 5384 ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო საწარმო, კოოპერატივი, აგროფირმა, სახაზინო, გლეხურ-ფერმერული მეურნეობა. აქედან სახელმწიფო მეურნეობები შეადგენდა 348-ს, აგროფირმები – 184-ს, მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები – 592-ს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები – 444-ს, გლეხურ-ფერმერული მეურნეობები – 3816-ს, მაგრამ მათი უმრავლესობა დღესაც არ არის საფუძვლიანად ჩამოყალიბებული და არსებული კანონმდებლობის დაცვით ორგანიზებული.

ისინი ძირითადად წარმოადგენენ მეურნეობრიობის შედა-

რებით წვირილ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, რომლებიც მცირე რაოდენობის სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ, მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე ისინი მაინც სასაქონლო პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები არიან და საფუძველს უყრიან აგრობიზნესს.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციისას არ იყო გათვალისწინებული და დაშვებული იქნა შემდეგი ხასიათის დარღვევები: მაღალრენტაბელური და სპეციალიზირებული მეურნეობების დაშლა-რეორგანიზაცია; მსხვილი სამექანიზაციო მიწის ფართობების წვირილკონტურიან ნაკვეთებად დანაწილება; ზარალიანი და დაბალ რენტაბელური მეურნეობების არასწორად განსაზღვრა; მოიშალა და დღემდე ვერ მოგვარდა სოფლის მეურნეობის მატერიალური რესურსებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და ტექნიკით, მარაგნაწილებით მომარაგება, მეურნეობებს სათანადო მომსახურებას ვერ უწევს აგროსერვისის არსებული, ისედაც მცირე საწარმოები და ორგანიზაციები; მოუწესრიგებელია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საფინანსო-საბანკო ორგანოებს შორის ფინანსური (საგადასახადო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო) ურთიერთობები; მოუგვარებელია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაზღვევის სისტემა; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას აფერხებს სოფლად მომსახურების სფეროში არსებული საგადასახადო სისტემა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ფორმების ჩამოუყალიბებლობამ სოფლად შეამცირა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობები და პირუტყვის სულადობა (იხ. ცხრ. 1, 2).

თუ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნათესი ფართობების 86,6% მოდიოდა საზოგადოებრივ სექტორზე (სახელმწიფო სექტორის) და 13,4% საკარმიდამო ნაკვეთების წილად, ამჟამად, სურათი მკვეთრად შეცვლილი, კერძო სექტორი 96%, სახელმწიფო სექტორი 4%. ასეთი ცვლილებების მიუხედავად, პროდუქციის წარმოებაში გარდატეხას არა აქვს ადგილი, და იგი კერძო სექტორის სრული აუთოქმედებლობითაა განპირობებული, ამის ძირითადი მიზეზი კი შესაბამისი გარემო პირობების უქონლობით უნდა აიხსნას.

სასოფლო-სამეურნეო ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების დინამიკა 1988-1996 წლებში (ათას ჰა-ში)

ცხრილი 1

ნათესი კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების დასახელება	წლები			1996 წ. 1988 წ.
	1988	1994	1996	შედარებით %
სულ ნათესი ფართობები მათ შორის:				
მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები	272,0	257,3	259,9	95,6
მზესუმზირა	12,4	18,0	16,2	-
თამბაქო	10,0	1,7	1,2	12,0
შაქრის ჭარხალი	1,4	1,1	0,9	64,3
კარტოფილი	30,0	24,0	23,0	77,3
ბოსტნეული	39,2	29,0	28,6	73,0
ვენახი	112,7	81,3	94,2	83,6
ჩაი (მსხმოიარე ფართობი)	64,8	47,0	33,1	51,1
ხეხილი	130,5	90,9	94,9	72,7
ციტრუსები	27,1	17,0	13,2	48,7

• მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი მცირდება, უფრო მეტად არის შემცირებული ტექნიკური და საკვები კულტურების ნათესი ფართობები. ასეთივე მდგომარეობაა მრავალწლიანი ნარგავებშიც.

იმავე პერიოდში მცირდება პირუტყვის სულადობის მაჩვენებლებიც (იხ. ცხრ. 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ კერძო სექტორში გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და ხვედრითი წილი (1988-1996 წწ.) 61,2-დან 95,8%-მდე, ღორის სულადობა - 58,8-დან 97,3%-მდე, ცხვარი და თხა - 46,0-დან 84,9%-მდე. ფრინველი - 39,4-დან 98,9%-მდე, ფუტკარი კი - 20,7-დან 89,3%-მდე. შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება (იხ. ცხრ. 3).

აქაც იგივე კანონზომიერებაა: პროდუქტების წარმოების ხვედრითი წილი იზრდება კერძო სექტორში. სოფლის მეურ-

ნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების ხვედრითი წილი კერძო სექტორში 1996 წლის მონაცემებით შეადგენდა 92%-ზე მეტს, მაშინ როდესაც 1988 წელს იგივე მაჩვენებელი 48%-ს უდრიდა.

პირუტყვის სულადობის დინამიკა 1988-1996 წწ.

(ათასი სული)

ცხრილი 2

პირუტყვის სულადობა	წ ღ ე ბ ი			1996 წ. 1988 წ. შედარებით %
	1988	1994	1996	
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სულ	1547,8	944,1	1008,0	65,1
მ.შ. კერძო სექტორში %	947,4	851,3	966,1	102,0
	61,2	90,2	95,8	-
ღორი სულ	1099,2	366,9	332,5	30,2
მ.შ. კერძო სექტორში %	646,8	328,0	323,4	50,0
	58,8	89,4	97,3	-
ცხვარი და თხა სულ	1894,2	793,5	652,0	34,4
მ. შ. კერძო სექტორში %	887,0	511,5	553,9	62,4
	46,0	64,5	84,9	-
ფრინველი სულ	25200	9100	8,290	32,5
მ.შ. კერძო სექტორში %	9,921	8,600	8,205	92,8
	39,4	94,5	98,9	-
ფუტკარი (სკების რ-ბა) სულ	266	177	65,6	24,7
მ.შ. კერძო სექტორში %	55	77	58,6	106,5
	20,7	43,5	89,3	-

\* ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

აგროსასურსათო სექტორში არსებული ტენდენციები დღის წესრიგში აყენებს მისი რეგულირებად ბაზარზე გადასვლის აუცილებლობას, რისთვისაც საჭიროა:

*პირველი*, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შევეუქმნათ თავისუფალი საქონელმწარმოებლის რეალური პირობები. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დავეყრდნობით საკუთრების ახალ ურთიერთობას;

*მეორე*, ფასწარმოქმნის ახალი მექანიზმი, რომელიც ზუსტად რეაგირებს მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკაზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დინამიკა  
(1988-1996 წლებში ათას ტონებში)\*

ცხრილი 3

პროდუქტების დასახელება	წ ლ ე ბ ი				1996 წ. 1988 წ შედარებით %
	1988	1994	1995	1996	
მარცვალი	712,2	481	526,3	650	91,0
შაქრის ჭარხალი	512	82	14	0,4	0,8
მზესუმზირა	16,9	7,7	8	8,0	47,3
თამბაქო	12,5	1,6	1,0	1,0	8,0
კარტოფილი	326,2	296,9	353,5	360	110,4
ბოსტნეული	653	372,6	383,9	250	38,3
ციტრუსოვანთა ნაყოფი	436,9	97,6	118,0	120	27,5
ხორცი (ყველა სახის დაკლული წონით)	172,1	108,3	124,2	150	87,2
რძე	731	429,2	475,4	530	72,5
კვერცხი	890,2	250,6	269,4	350	39,3
მატყელი (ათასი ტონა)	6,8	3,4	4,1	4,5	66,2

\* ცხრილი შედგენილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

მესამე, კონკურენციის არსებობა, რომელიც გვაიძულებდა ხარჯებისა და ფასების შემცირებას, სტიმულს მიანიჭებდა მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და პროდუქციის მწარმოებელს იძულებულს გახდიდა დაენერგა ტექნიკური სიახლენი.

მეოთხე, წარმოების სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს გადახდისუნარიან მოთხოვნას და სწრაფად რეაგირებდეს მის უმცირეს ცვლილებებზე. ჩვენ კი დღეს მრავალ სფეროში ვეწვეით წარმოებას წარმოების გულისათვის. მოვიპოვეთ და ვაწარმოებთ უამრავ ნედლეულს, რათა შემდეგ ისინი უყაირათოდ ვფლანგოთ გადამამუშავებელ მრეწველობაში, მაშინ როდესაც სამომხმარებლო ბაზარზე საქონლისა და საჭირო მომსახურების დეფიციტია. ამის შედეგად სახალხო მეურნეობა ნიადაგ განიცდის ინფლაციურ ზეგავლენას, რადგან ასეთ

პირობებში შესაძლებელია გაუთანაბრო მოსახლეობის შემოსავალი მის სასაქონლო უზრუნველყოფას.

კიდევ ერთი მომენტი. ბაზარი მოითხოვს ეკონომიკის მელო მატერიალურ-ფინანსურ შეწონასწორებას, სტაბილურ ფულს. ჩვენთან კი აშკარაა სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი. რეფორმის დაყოვნებითა და ხარვეზებით გატარებამ განაპირობა, ის, რომ კერძო საკუთრებამ ამ პერიოდში ვერ თქვა გადაამტრელი სიტყვა. ასეთია მისი ბუნება.

ნობელის პრემიის ღაურეატს ელიას კანეტს აქვს ასეთი ფრაზა: „მისი ერთი ნაწილი ძველია, მეორე ნაწილი ჯერ კიდევ არ დაბადებულა“. ასეთია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. მასზე შეიძლება ითქვას: „მისი ერთი ნაწილი ძველია, მეორე ნაწილი კი ჯერ არ დაბადებულა“. სწორედ ეკონომიკურმა რეფორმამ უნდა გააკეთოს ის, რომ საკუთრების ერთი ნაწილი ისე არ განადგურდეს, რომ ხელი შეუშალოს მეორე ნაწილის დაბადებას ე.ი. ეკონომიკურ განვითარებას. საერთო-სახალხო საკუთრების რეფორმამ საკუთრება ბოროტებად არ უნდა აქციოს. ამასთან „არასოდეს არ ყოფილა ისეთი საზოგადოება, სადაც საკუთრება არ იყო“ (კ. მარქსი).

რეფორმების ისტორიაში ყველაზე რთული იყო და არის საკუთრების რეფორმა. საკუთრების ფენომენი კონცეფციაში მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი.

სახელმწიფოში ღარიბთა რაოდენობის ზრდა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ცუდი ორგანიზაციის შედეგია. ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა სწორედ ეს საკითხები უნდა დაარეგულიროს. ეკონომიკური რეფორმები ამას მაშინ შეძლებენ, თუ მათი შემუშავება და განხორციელება მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილის ინტერესებს არ ემსახურება. როცა რეფორმები პოლიტიკური გამტრიახობით და სახელმწიფოებრივი წესრიგით იქნება გაანგარიშებული და განხორციელებული, მათ კორუფციისა და პროტექციონიზმის კოროზია ვერაფერს დააკლებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა ადამიანთა ინტერესების გაერთიანების საშუალება უნდა გახდეს. კერძო საკუთრება კანონით უნდა იყოს დაცული (ხელშეუხებელი). ეს არის აგრარული პოლიტიკის პრეროგატივა სოციალურად



ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სამწუხაროდ, დღეს არსებული აგრარული პოლიტიკის კონცეფცია ასეთი ორიენტირის როლს ვერ შეასრულებს, რადგან იგი სრულყოფილ და მიზანმიმართულ დოკუმენტს არ წარმოადგენს, და გამომხატველია მკაცრი – მონეტარული პოლიტიკისა. ამიტომაც ქვეყნის მეურნეობის ეფექტიანი მაკროეკონომიკური რეგულირება ადეკვატურ აგრარული პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვს.

მართალია, რეფორმის პირობებში შეიცვალა ფულის მასის სიჭარბე და პირიქით, გვაქვს ნაკლებობა, მაგრამ მან მაინც ვერ მოახდინა ზეგავლენა წარმოების ზრდაზე, იმიტომ, რომ ჩვენთან ძალზე დაბალია კაპიტალის ორგანული შედგენილობა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების დონე და მასშტაბები, ასევე მცირეა სამომხმარებლო ხარჯების წილი ქვეყნის ეროვნულ პროდუქტში.

სამომხმარებლო ხარჯების წილი ეროვნულ პროდუქტში ძალზე დაბალია საქართველოში და ამ მხრივ მკვეთრად გამოვლინდა ჩვენთან დახურული ტიპის ეკონომიკის ნაკლებობა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ქვეყნის ეკონომიკას ნაკლებად სოციალური ორიენტაცია აქვს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ეკონომიკის გარკვეული გამოცოცხლებისა და მეწარმეობითი აქტივობის ერთგვარი ზრდის მიუხედავად კვლავაც დიდია ჩამორჩენა რეფორმამდელ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებთან შედარებით. 1996 წელს შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 1988 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 32 % შეადგინა, ხოლო 1990 წელთან შედარებით – 42 %.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს არსებითი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგიასა და აგრარული პოლიტიკის განხორციელების ფორმებსა და მეთოდებში. ქვეყნის ეკონომიკის გაყვანა მდგრადი ზრდის ტრაექტორიაზე მიჩნეულ უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად. ეს გადაუდებლად მოითხოვს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შერბილებას და რეალური ეკონომიკის სექტორის გაჯერებას ფულადი საშუალებებით, აგრარული ეკონომიკის ტრანსფორმაციის

პროცესისადმი არა ცალმხრივ, არამედ სისტემურ, კომპლექსურ მიდგომას. ამისათვის საჭიროა სტანდარტული მონეტარული მიდგომებისა და ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირების მეთოდების ორგანული, მიზანმიმართული შეთანაწყობა, სამამულო საქონელმწარმოებელთა აქტიური მხარდაჭერა.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური კურსის მთავარი, განმსაზღვრელი ორიენტირი უნდა იყოს არა ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდეები, არამედ ეკონომიკური ზრდის კონკრეტული პარამეტრები და მიმართულებები, მაკრო, მეზო, მიკრო დონეებზე და რეგიონალურ ჭრილში.

#### 1.4. აბრარული რეფორმის პირველი ეტაპის შოშხამა

აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის განვლილი ექვსი წელი სავსებით საკმარისი დროა, რათა მოხდეს შეჯამება, შეფასება და განისაზღვროს განვითარების ძირითადი მიმართულებები.

რეფორმის შედეგების ანალიზისას ორ მთავარ კითხვაზე უნდა გაიცეს პასუხი:

პირველი, როგორ იმოქმედა რეფორმამ აგრარული ეკონომიკის განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრებისა და სასურსათო უზრუნველყოფის დონის ამაღლებაზე, მეორე, რა სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს რეფორმა სოფლად მეწარმეს, აქცევს თუ არა იგი მას ქონების მეპატრონე-მესაკუთრედ?

პირდაპირ, ცალსახად ამ კითხვებზე პასუხი, არ შეიძლება იყოს, არც დადებითი და არც უარყოფითი. არის გარკვეული პოზიტიური ძვრები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში. თავად ფაქტი მიწის პრივატიზაციისა უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ მხრივ ყურადსაღებია საქართველოს პრეზიდენტის შეფასება – „უფრო დიდი პუმანური აქცია საქართველოს ხელისუფლებას არ ჩაუტარებია, ვინემ ეს მიწის რეფორმაა. ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ქვეყანას გააჩნია, მან ფაქტობრივად დაუსაკუთრა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას“.

აგრარულ რეფორმას გააჩნია დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომლებსაც აქვს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, მათგან მთავარია პროგნოზირებასა და განვითარების მართვაში დაშვებული სერიოზული ჩავარდნები.

აგრარული რეფორმა არ განვითარდა იმ კურსით, რასაც მისი პროგრამა ითვალისწინებდა. სახელმწიფომ ვერ მოახერხა რეფორმის კომპლექსურად და მიზანმიმართულად წარმართვა. ამიტომაც არ გვაქვს სასურველი შედეგები.

საქართველოს პირობებიდან გამომდინარე რეფორმა სწორედ სასურსათო კომპლექსის რეორგანიზაციითა და სოფლის მეურნეობის რესტრუქტურისადაც უნდა დაწყებულიყო. ჩვენ რომ სხვა ქვეყნების მსგავსად ამ გზით წავსულიყავით, მაშინ ამ ხნის მანძილზე შევძლებდით ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, სიღატაკის აღმოფხვრას, დიდძალი ვალუტის დაზოგვას. აგრარული კრიზისის დაძლევა და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლობის ტოლფასია.

1991 წლიდან საქართველომ თავის თავზე აიღო რეფორმისტული კურსის გატარება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზას დაადგა.

ამ საქმეში აქტიურ მეთოდურ და ორგანიზაციულ-ფინანსურ დახმარებას გვიწევს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ევროგაერთიანება. გასაგებია, რომ მათი დახმარება სასარგებლოა, მაგრამ მას გარკვეულწილად უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. მათ მიერ ჩვენი ქვეყნისათვის შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ძირითადად იდენტურია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისათვის შემუშავებული რეკომენდაციებისა და ნაკლებად ითვალისწინებს საქართველოში შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს. ეთნო-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებსა და ეროვნულ ინტერესებს. საჭიროა მათთან კვალიფიციური მუშაობა.

აგრარული რეფორმა ითვალისწინებდა საბაზრო ელემენტების დამკვიდრებას აგროსამრეწველო კომპლექსსა და მის ძირითად სფეროში - სოფლის მეურნეობაში, რათა ქვეყანაში დამკვიდრებულიყო მიწისა და წარმოების ძირითად საშუალებ-

ბებზე კერძო საკუთრება; თავისუფალი ბაზრის ფასების ამოქმედება; მრავალსაკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებული საწარმოთა ახალი ფორმების გამოყენება; სწორი საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო და სადაზღვევო პოლიტიკის გატარება; საწარმოთა კონკურენცია და პროდუქციის კონკურენტუნარიანობა; სოციალურად დაუცველი ფენებისადმი სწორი დამცავი მექანიზმის შემუშავება-გატარება; თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა და სხვ.

საქართველოში აგრარული რეფორმა ერთიანი საკოლმეურნეო ღობისა და ნომენკლატურული ბიუროკრატიის წინააღმდეგობებით, პოლიტიკური სისტემის ნგრევისა და სამოქალაქო ომის პირობებში თვითდინებითა და სტიქიურად წარიმართა, მაგრამ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთადერთი მატერიალური წარმოების დარგი, სადაც ადგილი ჰქონდა გარდაქმნების მცდელობას, ეს იყო სოფლის მეურნეობა. 1992 წელს, სამჯერ სხვადასხვა დროს, მიღებული იქნა სამთავრობო დადგენილებები მიწის რეფორმის შესახებ. მთავარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა რეფორმას, გულისხმობდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების შევსებას და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას. ჩანაფიქრი სწორი იყო, რამდენადაც, კერძო სექტორში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა 2-3-ჯერ აჭარბებდა საზოგადოებრივ მეურნეობების მანქენებლებს. რეფორმის შედეგად მოსახლეობას კერძო სექტორში გადაეცა დამატებით 395 ათასი ჰექტარი მიწა, ანუ 1,6-ჯერ მეტი ვიდრე მათ რეფორმამდე ჰქონდათ.

აგრარული რეფორმის გატარების პერიოდში თავის დროზე ვერ ჩამოყალიბდა სწორი თავისუფალი ფასები; ასევე ვერ შემუშავდა და დამკვიდრდა სწორი საგადასახადო, საფინანსო, საკრედიტო და სადაზღვევო პოლიტიკა; არ მიეცა სწორი გაქანება მრავალსაკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებულ საწარმოთა ფორმების ამოქმედებას; არ იქნა მიღწეული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა; არ იქნა სწორად შემუშავებული და დანერგილი სოციალურად დაუცველი ფენებისადმი - საჭირო დამცავი მექანიზმი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები წარმოებაში, ვერც რაიმე ხელშემწყობი

პირობები ჩამოყალიბდა წარმოების განვითარებისათვის. ეს კი ეკონომიკის დაცემისა და აუმოქმედებლობის საფუძველი გახდა. ამაზე მეტყველებს ოფიციალური სტატისტიკა და ჩვენი ქვეყნის სასურსათო ბაზარი.

1988-1996 წლებში აგროსამრეწველო კომპლექსის მთლიანი პროდუქციის ღირებულება შემცირდა 56.6%-ით, აქედან: პირველ სფეროში - 56.8, მეორეში - 55.3, მესამეში - 60.0, ხოლო მეოთხე სფეროში - 41.1 პროცენტით, ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება შემცირდა 54.2%-ით, მატერიალური დანახარჯები 52.8%-ით, წმინდა პროდუქციის ღირებულება - 60.5%-ით. მართალია, წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობა 29,7%-ით არის გაზრდილი, მაგრამ, ამან ვერ უზრუნველყო ეკონომიკის ამოქმედება და წარმოების ზრდა, რადგან არ შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის გარემო პირობები.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროებში პროდუქციის წარმოების შემცირება, შრომის ნაყოფიერების დონის დაცემასთან ერთად, განპირობებულია ნედლეულის მოუწოდებლობით, მის სფეროებს შორის დაუბალანსებლობით, არსებული საწარმოო პოტენციალის გამოუყენებლობით და სხვა ფაქტორებით. მიწის, კაპიტალის, შრომისა და სამეწარმეო უნარის (საწარმოო პოტენციალის) გამოყენების ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის 2-ჯერ და მეტად არის გაუარესებული.

აგროსამრეწველო კომპლექსი არის ტექნოლოგიურად, ორგანიზაციულად და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული დარგების ერთობლიობა, რომელთა ძირითადი მიზნებია: სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ნედლეულითა და მისი გადაამუშავებით მიღებული პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეცნიერულად დასაბუთებული კვების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით; სოფლის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა; აგროსამრეწველო კომპლექსში ეფექტიანი კვლავწარმოების პირობების შექმნა. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი არც ერთ ამ ფუნქციას სრულად ვერ ასრულებს. ეს კი ქმნის ჩვენში სასურსათო პროდუქტების მწვავე დეფიციტს.

1991-1996 წლებში მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის

სურსათით (საკუთარი წარმოების პროდუქტებით) უზრუნველყოფის მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 4).



კვების ძირითადი პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საშუალოდ ერთ წელიწადში (კგ-ში) 1988-1995 წწ.\*

ცხრილი 4

პროდუქტის დასახელება	წ ლ ე ბ ი							1995 წ
	1988	1990	1991	1992	1993	1994	1995	1988 წ (%)
1. ხორცი და ხორცის პროდუქტები	47	32	27	20	16	15	15	31,9
2. რძე და რძის პროდუქტები	309	293	213	144	120	116	119	38,5
3. კვერცხი (ცაფლობით)	148	135	120	90	84	80	85	57,4
4. თევზი და თევზის პროდუქტები	9,1	5,1	7,0	2,8	1,6	1,6	1,7	18,6
5. შაქარი	43,5	34,7	15,0	7,8	9,2	10,5	11,7	26,9
6. მცენარეული ზეთი	5,7	6,2	5,0	3,8	4,2	4,4	4,6	80,7
7. კარტოფილი	49	24	37	34	32	33	36	73,5
8. ბოსტნეული და ბაღჩეული	107	77	93	70	68	65	75	70,1
9. ხილი და კენკრა	69	53	46	45	41	40	42	60,9
10. პური და პურპროდუქტები	190	188	183	175	187	188	188	98,9
11. ცხოველური ცილის შემცველობა დღე-ღამის ულუფაში გრამობით	98	99	90	84	74	72	70	71,4

\* ცხრილი შედგენილია სხდ-ს მასალების საფუძველზე

საქართველოში მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე კვების ფიზიოლოგიური ნორმით რეკომენდებული 3100-3500 კკალორიის ნაცვლად, მოსახლეობა ღებულობს 2200-2300 კკალორიაზე ნაკლებს. 1996 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული იქნა მხოლოდ 12 კგ ხორცი და ხორცის პროდუქტები, ნაცვლად 73 კგ-სა; რძე და რძის პროდუქტები შესაბამისად 140 და 400 კგ; კვერცხი (ცაფლობით) – 65 და 292; თევზი და თევზის პროდუქტები – 1,4 და 11,4 კგ; შაქარი – 7,5 და 35

კგ; მცენარეული ზეთი - 6,2 და 9 კგ; კარტოფილი - 30 და 90 კგ; ბოსტნეული და ბალჩეული - 65 და 146 კგ; ხილი - 38 და 110 კგ; პური და პურპროდუქტები - 189 და 120,5 კგ; თითქმის ყველა სახის პროდუქტები (გარდა პურპროდუქტებისა და მცენარეული ზეთისა) მწვავედ დეფიციტურია.

სამომხმარებლო კალათის ამჟამად არსებულ სტრუქტურაში სურსათის ხვედრითი წილი 70%-ზე მეტია, მაშინ, როცა მეცნიერულად დასაბუთებული ნორმით იგი 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს. სადღეღამისო კვებაში მონელებადი ცილის შემცველობა 110 გრ-ის ნაცვლად მხოლოდ 63 გრ-ია, რაც მეტად მძიმე და დამაფიქრებელია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამომხმარებლო კალათა უნდა გახდეს ეკონომიკური რეფორმის უახლოესი ორიენტირი, ხალხის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი. ამის შესატყვისი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრუქტურის ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებანი. საქართველოს აგრარულმა პოლიტიკამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჩვენში ჩამოყალიბებული თვისობრივად ახალი და თანაც მძიმე ვითარება, არაორდინალური რადიკალური ცვლილებების გატარება.

ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კურსის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უახლეს პერიოდისათვის გვესახება საგანგებო ზომების შემოღება სოფლის მეურნეობაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის მინიმალური პირობები მაინც. პირველ რიგში ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალიზაციას. იგი ისეთი მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომელიც საფუძველს შეუქმნის სასურსათო პროდუქტების ადგილზე წარმოების დაჩქარებული ტემპებით გადიდებას. დღეს ქვეყნის სოფლის მეურნეობას აქვს ისეთი მიმართულება, რომ ძირითადი სასურსათო პროდუქტების (იგი ათი დასახელებასაა) ყველა სახეში არის გარღვევა.

დასკვნა: საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი კრიზისს განიცდის. აგრარული კრიზისი მარტოოდენ სასურსათო პრობლემების გამწვავება როდია, მისი არსი უფრო ღრმაა და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს - მთელ ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, პოლიტიკას. კრიზისიდან თავის დაღწევა უშუალოდ არის დაკავშირებული

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან და რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის სწორად გატარებასთან.

ამასთან, ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში დამთავრდა აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი 1997 წლის 1 აპრილისათვის, სადაც ყველაზე დიდი ნაბიჯი მიწის საკუთრებაში გადაცემასა და აგრარული ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზაზე იქნა გადადგმული. 1995-1997 წლებში გარკვეული პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში. კერძოდ, 1989 წელს წარმოების ვარდნა თუ შეადგენდა - 4,8 %-ს, 1990 წელს - 11,2 %, 1991 წელს - 18,0 %, 1992 წელს - 22,6 %, 1993 წელს - 22,9%, 1994 წელს - 10,2%, 1995 წელს იგი 3%-ზე დაბალია.

ქვეყნის აგრარული ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მის სტრუქტურაში. პირველ რიგში შეიცვალა საკუთრებითი სტრუქტურა. დღეისათვის კერძო სექტორში იწარმოება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო დოვლათის 90%-ზე მეტი, ადრე ეს მაჩვენებელი 45% იყო. ასეთი მიმართულებებით ცვლილებებია მიწათსარგებლობაში, ნათესი ფართობების სტრუქტურაში, მრავალწლიანი ნარგავების ფართობებში (განაწილებაში); ძირითადი საწარმოო ფონდების განაწილებასა და გამოყენებაში.

ეს მონაცემები ნათლად ამტკიცებენ, რომ სოფლად კერძო საკუთრება თანდათანობით მტკიცდება და ფართოვდება, სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა კერძო საკუთრებაზე დამკვიდრებული ხდება და თუ მას მომავალში შეექმნება ხელსაყრელი საბაზრო პირობები (საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო და სხვ.), მაშინ იგი მძლავრ იმპულსს მისცემს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებასა და განმტკიცებას.



## თავი II. საქართველოს აზროსამართლებლო წარმოების მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები

### 2.1. რეფორმამდელი აბრარული ეკონომიკა

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოებითი ურთიერთობების მკვეთრი შეცვლა იწყება 20-იანი წლების ბოლოს, როცა კოლექტივის უპირატესობის მოტივით ხდებოდა გლეხობის იძულებითი გაწვევრიანება არტელებსა და კომუნებში – წარმოების თითქმის ყველა საშუალებების ნაციონალიზაციის საფუძველზე.

იგი არ შეესაბამებოდა გლეხურ მეურნეობას, მეურნეობრიობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს, ქართველი კაცის ადათ-წესებს, მის ჩვეულებებს.

წარმოების ახალი წესისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობების მიუხედავად, რაც საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობების განვითარებაში არსებულ წინააღმდეგობაში მდგომარეობდა, უმკაცრესი სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის პირობებში, რომელიც სოფლად საზოგადოებრივი მეურნეობების უპირატეს განვითარებას და მისი ცენტრალიზებულ მართვას ითვალისწინებდა, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა.

ე.წ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფაქტიურად ახლად შეიქმნა მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგები მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაზის პლანტაციები, ხეხილის ბაღები, განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ძირითადად ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე აშენდა სარწყავი და დაშრობილი სისტემები. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტრაქტორების, სატვირთო მანქანების, ძალოვანი დანადგარების რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად ელექტროენერჯის მოხმარება.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა საწარმოო ფონდების ღირებულება და შეიცვალა მისი სტრუქტურა, ცვლილებები განიცადა ენერგეტიკის სისტემამ.

ტექნიკური აღჭურვილობის დარგში მომხდარმა ძვრებმა



განაპირობებს ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურის ძირეული შეცვლა, თუ 1928 წელს სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურაში მექანიკურ ძრავებს მხოლოდ 6,2 % ეჭირა და ენერჯის მთავარი წყარო სოფლად მუშა პირუტყვი იყო, რომლის წილადაც 93,8 % მოდიოდა, 1990 წელს, პირველის ხვედრითი წილი 99,4 %-მდე გაიზარდა, ხოლო მეორესი 0,4 %-მდე შემცირდა. ე.ი. მოხდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიზარალება. თუმცა იგი იმ დონემდე ვერ ამაღლდა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შეცვლილიყო ხელით შრომა. ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი კვლავაც ძალზე დიდი რჩებოდა. ამას ძირითადად აპირობებდა რუსეთის ტრამალების პირობებისათვის გათვალისწინებული, მსხვილი მანქანური ტექნიკის გამოყენება, რომლებიც ნაკლებად ესადაგებოდა საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს, მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელი იყო ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებისათვის.

საქართველოსათვის დამახასიათებელი მცირე კონტურიანი, მოკლე საქცევის მქონე ნაკვეთებისათვის უპირატესად საჭიროა მცირე გაბარიტიანი ტრაქტორები, რომელსაც საქართველოს მრეწველობა არ უშვებდა, ხოლო საკავშირო ფონდიდან კი იღებდა მისთვის შეუფერებელ მანქანა-იარაღებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის სხვადასხვა დაქანების ფერდობების სრული და ეკონომიკურად ხელსაყრელი ათვისება ფერხდებოდა, ერთის მხრივ, სპეციალური კონსტრუქციის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაკლებობით, ან უკონალობით, რომლებიც იმუშავებენ 8-10<sup>0</sup>-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე, მეორე მხრივ ეროზიის განვითარების საშიშროებით. თანამედროვე ტრაქტორები, თვითმავალი შასები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მეტწილად არ შეესაბამებოდა სამთო მიწათმოქმედების პირობებს. ფერდობებზე სამუშაოთა მექანიზაციის და ეროზიასთან ბრძოლის საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო სპეციალური დანიშნულების (კონსტრუქციის) მანქანების შექმნა და მისი გამოყენება, რომლებიც ჩვენთან არ იქმნებოდა და

ბუნებრივია, არც გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, ვატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან, მკვეთრად იზრდებოდა საკავშირო სპეციალიზაციის დარგების პროდუქციის წარმოების მასშტაბები. 1950-1990 წლებში ყველა კატეგორიის მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციის წარმოება. კერძოდ, 1990 წელს 1950 წელთან შედარებით, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოება გაიზარდა 3,8-ჯერ, ყურძნის 3,7-ჯერ, თესლოვანი და კურკოვანი ხილის წარმოება 3,5-ჯერ, ციტრუსების 7.25-ჯერ. ამის პარალელურად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიანი წარმოებაც, თუმცა არასაკმარისად. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა: (იხ. ცხრ. 5).

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1960-1990 წწ.\*  
ცხრილი 5

პროდუქტების დასახელება	1960	1970	1980	1990	1990 წ. 1960 წ. შედარებით %
1. შარკვალი	152	133	117	107,9	70,9
2. ბოსტნეული	45	70	100	92	2,1-ჯერ
3. კარტოფილი	48	64	72	62	129,2
4. ხილი	43	80	99	116	2,7-ჯერ
5. ხორცი	22	22	32	30	136,4
6. რძე	117	110	133	155	132,4
7. კვარციხი (ვალი)	53	84	162	154	2,9-ჯერ
სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (ღარებში)	318	437	539	535	1,7-ჯერ

\* ცხრილი შედგენილია სსდ-ს მახალების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, ერთ სულ მცხოვრებზე გაანგარიშებით უფრო მეტად იზრდება მრავალწლიანი ნარგავების პროდუქცია, ხოლო სასურსათო პროდუქტების (პური, კარტოფილი,

ბოსტნეული ხორცი, რძე) წარმოება ან მცირდება, ან ზრდა უმნიშვნელოა. ძალზე დაბალი იყო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება და შრომის ნაყოფიერების დონე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემა თანდათან ჩიხში ექცეოდა. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად რადიკალური ღონისძიებების გატარება იყო საჭირო. იგი მაშინ არ გაკეთდა, რადგან ქვეყნის ამოცანა საკავშირო ფონდის სამხრეთული კულტურებით მომარაგება იყო, რასაც ადმინისტრაციულ-დირექტიული მმართველობა განაპირობებდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ხელგაწვდილ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას არ ჰქონდა პური, ხორცი, რძე, ცხიმი და სხვა ძირითადი კვების პროდუქტები, რამაც განაპირობა კიდევ სასურსათო კრიზისი.

აგრარული ეკონომიკის საერთო დაცემის პირობებში ფართო ხასიათი მიიღო (განსაკუთრებით მთიდან) მოსახლეობის მიგრაციამ სოფლიდან ქალაქისაკენ. ამას მაშინ დადებითად აფასებდნენ და თვლიდნენ, რომ იგი იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების შედეგი. ფაქტიურად, იგი გამოწვეული იყო ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებით, სასურსათო პროდუქტების ნაკლებობით. ასეთ სიტუაციაში საჭირო იყო სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისადმი დახმარების გაწევა, აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს კვების პროდუქტების მწვავე დეფიციტის დროს წარმოებული პროდუქციის მაღალი საბაზრო ფასებით ანაზღაურება, შეღავათიანი საგადასახადო სისტემის გამოყენება, სუბსიდირება და სხვ. ეს ყოველივე მაშინ ვერ განხორციელდა და ამან გაამწვავა ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობანი, შეიქმნა წინააღმდეგობა, ჩამოყალიბდა დისპროპორცია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის.

აუცილებელია ქვეყნისათვის ამ ორი ფუნდამენტური დარგის განვითარებაში ოპტიმალური გზების ძიება და ადრე დარღვეული პროპორციების აღდგენა-განვითარება.

ამდენად, სოფლის მეურნეობაში არსებული წარმოების წესი თვით შეიცავდა კრიზისული მოვლენების განვითარების შესაძლებლობებს და მისი დაძლევის გზები მხოლოდ ამ წესის შეცვლით შეიძლებოდა.

ქვეყნის აგრარული ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებდა. ფაქტორებმა, რომლებმაც განსაზღვრეს ქვეყნის აგრარული ეკონომიკის დაცემა მრავალნაირი იყო, ამიტომაც მათი მეცნიერული ანალიზი და კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიებაც მრავალმხრივ მიდგომებს მოითხოვდა, სამწუხაროდ იგი მაშინ არ კეთდებოდა და ამანაც დააჩქარა აღნიშნული პროცესები, ქვეყნის ეკონომიკის დაცემა.

ეკონომიკური სიძნელეები მეტნაკლებად ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ განიცადა, მაგრამ ჩვენთან იგი განსაკუთრებული მძიმე შედეგებით აღინიშნა.

ნიშანდობლივია ის, რომ განსაკუთრებით დაზარალდა ის რესპუბლიკები, რომლებიც მეტად იყო მიჯბავული ერთიან საბჭოთა ეკონომიკასთან (ეს ყველაზე მეტად საქართველოს ეკონომიკაზე აღინიშნებოდა). ე.ი. ისინი, ვისაც წარმოების ტერიტორიული სპეციალიზაციის მაჩვენებელი მაღალი პქონდა და კომპლექსური განვითარების კი - მეტად დაბალი. ეს ნიშნები ასევე ყველაზე მეტად საქართველოს ეკონომიკისათვის იყო დამახასიათებელი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული სპეციალიზაციის მაღალი დონე და კომპლექსური განვითარების ჩამორჩენილობა გამოიხატებოდა მაღალ სპეციალიზაციაში, საქართველოდან გადიოდა სამრეწველო-სასაქონლო პროდუქციის 70%-მდე, მაშინ როცა იმავე სახის პროდუქციაზე ქვეყანაში აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი დეფიციტი, კერძოდ, ასეთი მდგომარეობა შეიმჩნეოდა მანქანათმშენებლობის, ქიმიური, კვების, მსუბუქი მრეწველობის დარგებში.

საქართველოში მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების 70% სხვადასხვა სახის შემოზიდულ სათბობზე მოდიოდა, თბოელექტროსადგურები აწარმოებდნენ ელექტროენერჯის 47,1%-ს, მაშინ როცა საქართველოს პიდრორესურსების პოტენციალი 18,2 მილიონი კილოვატით განისაზღვრებოდა.<sup>2</sup>

<sup>2</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის სკ ინსტიტუტის ფონდი, მონაკვეთი VI, გვ. 177.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სპეციალიზაცია ძირითადად ორიენტირებული იყო საკავშირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ეკონომიკას არ აქონდა ავტონომიური ფუნქციონირების უნარი. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სპეციალიზაციაში დაშვებულმა შეცდომებმა და მეურნეობის კომპლექსური განვითარების უგულვებელყოფამ განსაკუთრებით იჩინა თავი საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. დღეისათვის უკვე აშკარაა, რომ საჭირო იყო მეტი ყურადღება მიგვექცია ენერგეტიკის ადგილობრივი რესურსების ამოქმედებაზე, ხორბლეულისა და სხვა, სასურსათო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებაზე, ზუსტ ხელსაწყოთმშენებლობის ორიენტაციაზე, ადგილობრივ მოთხოვნილებებზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საკუთარი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას. საქართველოს უნიკალური გეოპოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გადააწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში და ამ პოზიციიდან ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოს მოსახლეობისა და მრეწველობის მოთხოვნილებათა გარკვეული ნაწილის ადგილობრივი რესურსებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, საქართველომ გეზი უნდა აიღოს დასავლეთის ქვეყნებისაკენ, რომლებსაც თავისი სამხედრო პოტენციალით, თუ პოლიტიკური ინტერესებით ნაკლები სურვილი აქვთ საქართველოზე პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვებისათვის. მით უმეტეს, რომ საქართველო დღეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტად ხელსაყრელი სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანი, ცენტრალური აზიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ გარკვეული გამოცოცხლების მიუხედავად, საქართველოს დღევანდელი აგრარული ეკონომიკა კვლავაც კრიზისულ მდგომარეობაშია. ამის მიზეზთა შორისაა: გაუკვალავი, ფაქტობრივად უცნობი გზით ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის სიძნელები; მაღალი გადასახადები და დიდი ოდენობით არგადახდები; მოჩვენებითი

დასაქმება და მასობრივი უმუშევრობა; შინააშლილობა და გარედან ინსპირირებული სეპარატიზმი და სხვ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი იმის გათვითცნობიერებაა, რომ ჩვენი სტრატეგიული კურსი უნდა იყოს არა კაპიტალიზმზე გადასვლა, არამედ ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მოძრაობის დაჩქარება, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვიშყოფებით, მასზე გარდამავალი პერიოდის მხოლოდ საწყის სტადიაზე, შესაბამისად, ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა ხასიათის სიღუბეჭირე და მანკიერებანი მოიტანა არა საბაზრო ეკონომიკამ, არამედ მასზე გადასვლის პროცესების სიძნელეებმა და შეცდომებმა.

საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების სიძნელეთა გადალახვისათვის, უწინარესად აუცილებელია, დემოკრატიის განვითარება და მაკროეკონომიკური ბერკეტების მართვადობის უზრუნველყოფა.

მსოფლიო პრაქტიკა დამაჯერებლად აჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკა, ყველა განვითარებულ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის გარეშე. ყველაზე მეტად ეს შეეხება სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფისა და სოციალური პროცესების მართვას. მითუმეტეს, აუცილებელია ღრმა კრიზისით მოცულ ქვეყანაში მთავრობამ გარკვეულწილად აღადგინოს ეკონომიკის მართვადობა, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის საკვანძო დარგებში, და რაც მთავარია, დაუშვებელია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის თვითდინებაზე მიშვება იმ იმედით, რომ ის თვითონ „გაიკვალავს“ გზას და თავისთავად ჩამოყალიბდება. ეს ფუჭი ილუზიაა. სახელმწიფომ მეცნიერულ საფუძვლებზე, სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით, მართვადი უნდა გახადოს ეკონომიკის ბაზრისაკენ მოძრაობის მთელი პროცესი, გარდაქმნის მაკრო-რეგულატორებს მისცეს ინსტიტუციონალური მიმართულება, რეალურად აამოქმედოს საბაზრო სისტემის ფუნქციონირების საფუძვლების დამცავი კანონმდებლობა და რაც მთავარია, მთელს ეკონომიკას მისცეს სოციალური ორიენტაცია.

## 2.2. აგრარული ეკონომიკა რეფორმის პირობაში



1992 წელს დაიწყო აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი. პით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება, რომელიც 1997 წლის აპრილამდე გრძელდებოდა.

რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მოითხოვს გარდამავალ პერიოდს და იგი უნდა განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად.

პირველი ეტაპია მოსამზადებელი პერიოდი. იგი მოიცავდა მიმდინარე 1992 წელს, ამ პერიოდში უნდა დამთავრებულიყო საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების მომზადება, განხორციელებულიყო ფასწარმოქმნის მექანიზმის შექმნა, რომელიც უნდა მორგებოდა საბაზრო ურთიერთობებს. მომდევნო 1993-1997 წლებში უნდა გატარებულიყო ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფდა ახალ მძლავრ ნაბიჯს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. ასეთებია: ფასწარმოქმნის სრული რეფორმა, ძირითადი საწარმოო საშუალებების განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება, საკრედიტო, საფინანსო რეფორმის გატარება, საწარმოთა ახალი ფორმების დანერგვა და სხვ. 1997-2005 წლები საბაზრო ურთიერთობათა ინტენსიური განვითარების შემდგომი ეტაპია, ამ პერიოდში დამახასიათებელი იქნება ადმინისტრაციულ შეზღუდვათა შემდგომი შემცირება, კონკურენციის გაძლიერება, მონოპოლიზაციის სრულად გაუქმება. ეს დაახქარებს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სტიმულირების განმტკიცებასა და სამეურნეო ურთიერთობის ახალ, უფრო რაციონალური სტრუქტურის მოგვარებას – ეს კი ნიშნავს რეალური, ჯანსაღი ნიადაგის შექმნას, ეკონომიკის აღმავლობისა და კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანისათვის. ჩვენი ამოცანაა ამ მიდგომებით გავაანალიზოთ ქვეყნის აგრარული ეკონომიკა რეფორმის მიმდინარეობის პირობებში.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში (ასკ) გრძელდება კრიზისული ვითარება, მცირდება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება და რენტაბელობა.

1996 წელს 1990 წელთან შედარებით, ასკ-ს მთლიანი



პროდუქციის ღირებულება შემცირდა 60%-ით, მათ შორის ძირითადი სფეროს - სოფლის მეურნეობის - 6,5 %-ით, ამავე პერიოდში 350 000 სულით შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა. მათ შორის: ძროხა - 101 ათასი სულით, ღორი - 480 ათასი სულით, ცხვარი და თხა - 305 ათასი სულით, ქათამი - 10,7 მილიონით (საზოგადოებრივ სექტორში). ასევე შემცირების ტენდენციით ხასიათდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეფიციტი.

აღნიშნულ პერიოდში ხორცის წარმოება შემცირდა 58%-ით, რძისა - 68%-ით, ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება 68%-ით, რძის პროდუქტებისა - 85%-ით, საყურადღებოა ისიც, რომ 1991-1996 წლებში საშუალოდ, 1986-1990 წლებთან შედარებით, მოსახლეობამ მიიღო 184 ათასი ტონით ნაკლები ხორცი და ხორცის პროდუქტები, 388 ათასი ტონით ნაკლები რძე და რძის პროდუქტები, 348 მილიონი ცალით ნაკლები კვერცხი.

ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება შემცენარეობის პროდუქტების წარმოების მაჩვენებლებიც. მაგალითად, 1996 წელს 1990 წელთან შედარებით, მარცვლეულის წარმოება შემცირდა 1,7-ჯერ, ფქვილის - 65%-ით, ბურღულის - 6-ჯერ, ბოსტნეულის - 3,1-ჯერ, კარტოფილის - 2,1-ჯერ, ჩაის - 6-ჯერ, ციტრუსების - 3-ჯერ, ხილის - 3,7-ჯერ, ყურძნის - 2,5-ჯერ, თითქმის შეწყდა ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოება.

საშიში ხასიათი მიიღო მრავალწლიანი ნარგავების ფართობების შემცირებამ, აგრეთვე არსებულის დაუმუშავებლად დატოვებამ. მკვეთრად შემცირდა ბოსტნეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი და სხვა კულტურების ნათესი ფართობები, მათი მოსავლიანობა, მთლიანი მოსავალი.

1996 წელს 1988 წელთან შედარებით, ვენახების ფართობი შემცირდა 36,5 ათასი ჰექტარით (31,5%), ბაღების - 38,5 ათასი ჰექტარით (37,3 %), ჩაის პლანტაციების - 13,0 ათასი ჰექტარით (20,5 %-ით), ციტრუსების - 6,7 ათასი ჰექტარით (22,5%), ამავე პერიოდში, ყურძნის წარმოება შემცირდა 348 ათასი ტონით, ხილის - 290 ათასი ტონით, ჩაის ფოთლის -

365 ათასი ტონით, ციტრუსების - 210 ათასი ტონით.

მართალია, 1996 წელს, 1993 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ერთგვარად გაიზარდა, შეჩერდა დაცემა და წარმოებამ გამოცოცხლება დაიწყო, მაგრამ აქ პროდუქტების წარმოების ზრდა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მან მაინც ვერ მოახდინა გავლენა ქვეყნის აგრარული ეკონომიკის სერიოზულ გარდატეხასა და წარმოების გამოცოცხლებაზე.

პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა და უმეტესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა კვლავაც დაბალია, დაირღვა ჯოჯის გენეტიკური სტრუქტურა, პრაქტიკულად განადგურდა ადრე ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილი წარმოება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. თითქმის მთლიანად მოიშალა ამ დარგებში ადრე არსებული მეურნეობის ტრადიციულად ჩამოყალიბებული გაძლოლის სისტემები. ქვეყნის შიგნით - შიგარეგიონალურ ჭრილში შეჩერდა პროდუქტთა ქვეკომპლექსების მუშაობა.

მართალია, დაწყებულმა რეფორმებმა დააჩქარეს სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბების პროცესი, მოხდა მოსახლეობისათვის დამატებითი საკარმიდამო, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა კერძო საკუთრების უფლებით, ახლა განსახელმწიფოებული საწარმოები თვითონ განსახლდრავენ წარმოების მიმართულებას, სტრუქტურას, მოცულობას, განკარგავენ წარმოებულ პროდუქციას, მაგრამ სოფლად ზედაპირულად, ნაჩქარევად, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების, საზოგადოების მენტალიტეტის გაუთვალისწინებლად რეფორმის კურსის ადგილებზე არასწორად გატარების შედეგად, განვლილ 6 წელიწადში მოხდა წარმოების დაცემა. ამასთან, კლასიკურ საქონელწარმოების რეგიონებში კვლავაც მიმდინარეობს არქაულ ტექნოლოგიაზე და ხელით შრომაზე დაფუძნებული ვიწრო ნატურალური და ნახევრად ნატურალური მეურნეობის რეანიმაცია, რომელსაც არ გააჩნია საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კონკრეტულ გარემოში არსებობის პერსპექტივა.

1996 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მოქალაქეთა

საკუთრებაში გადაცემულია 716,3 ათასი ჰა მიწის ფართობი ანუ სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული საქართველოს ტერიტორიის 10,3%, მათ შორის – 677,6 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მათი საერთო რაოდენობის 22,7%, აქედან სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების 52,6%.

რეფორმის შედეგად მიწის ნაკვეთები მიეცა 953 ათას კომლს, მათ შორის: სოფლად მცხოვრებ 627,6 ათას კომლზე გადაცემულია 647,4 ათასი ჰა (საშუალოდ ერთ კომლზე – 1,03 ჰა), ქალაქად მცხოვრებ ოჯახებზე – 68,9 ათასი ჰა (საშუალოდ – 0,21 ჰა).

მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების უსახიდლოდ გადაცემის პროცესის დამთავრებისას, ანუ 1997 წლის 1 აპრილისათვის საქართველოს მოქალაქეებზე საკუთრებაში, ყიდვა-გაყიდვის უფლებით გადაცემულია 920 ათასი ჰა სავარგული (ტერიტორიის 13,2%), საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულია 870 ათასი ჰა, ანუ მთლიანი სავარგულების 29,5%. მათ შორის: სახნავი ფართობი – 461 ათასი ჰა, რაც შეადგენს მათი საერთო რაოდენობის 61,5%, მრავალწლიანი ნარგავები კი – 220 ათასი ჰა, ე.ი. 71,5%, ანუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის – სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობების 66,8%-ი.

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა, ობიექტური მიზეზების გამო, არ ექვემდებარებოდა პრივატიზებას.

პირველი – პრივატიზებას დაუქვემდებარებულ 1954 ათასი ჰა-დან 1737 ათასი ჰა (ანუ ქვეყნის სავარგულთა მთლიანი რაოდენობის 59%), წარმოადგენს საერთო ხარგებლობის, მათ შორის აღპურ ზონაში განლაგებულ სათიბ-საძოვრებს;

მეორე – კერძო საკუთრებაში გადაცემული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებიდან – 52 ათასი ჰა მოქცეულია სასაზღვრო ზოლში, ხოლო 94 ათას ჰა-ზე განთავსებულია მეურნეობის, სანერგე, სანაშენე, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც რეფორმის პირველ ეტაპზე განსახელმწიფოებრიობას არ ექვემდებარებოდნენ;

მესამე – 71 ათასი ჰა არაპრივატიზებული სახნავი და

მრავალწლიანი ნარგავი ირიცხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე.



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების მონაცემები (ათასი ჰა)

ცხრილი 6

№		1992	1994	1995	1996	1997
1.	ტერიტორია სახ. საზღვრებში მ.შ. პრივატიზებულია სულ პრივატიზებული ფართობების ხვედრითი წილი %	6949 211 3,0	6949 627 9,0	6949 660 9,5	6949 692 10,0	6949 920 13,2
2.	სასოფლო-სამეურნეო სავარგუ- ლები მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	2977 195 6	3010 591 19,6	3010 621 29,6	2988 654 22,0	2950 870 29,5
	აქედან: ა) სახნავი მათ შორის პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	790 95 12,9	799 320 40	737 33 41,8	759 360 47,5	750 461 61,5
	ბ) მრავალწლიანი ნარგავები მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	336 97 28,9	322 173 54	320 189 58,9	307 184 60,2	270 220 81,5
	სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები სულ მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი % . . .	1127 193 17,2	1121 494 44,1	1117 522 46,8	1066 545 51,2	1020 681 66,8
	ვ) ნახვენი მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	6,0 - -	7,4 1,0 13,5	11,3 1,0 8,8	11,7 0,9 7,7	10,0 6,0 60,0
	დ) სათიბი მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	- - -	154,4 58,4 33,0	151,4 59,1 39,0	147,9 45,1 30,5	155,0 73,0 54
	ე) საძოვარი მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	1688 1,8 1,1	1727 37,5 2,2	1730 38,1 2,2	1762 62,4 3,5	1765 100,0 6,0
3.	ბუჩქნარი მ.შ. პრივატიზებულია ხვედრითი წილი %	167,0 - -	166,6 2,4 1,4	166,6 2,4 1,4	168,6 2,3 1,4	167,0 3,0 1,8
4.	სხვა დანარჩენი მიწები	16,1	34,4	36,3	36,3	47,0

ზემოაღნიშნული მიზეზებით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ფართობების ხვედრითი წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში შეადგენს 66,2% და თუ მას დავეუ-მატებთ კერძო საკუთრებაში გადაცემულ მიწებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში კერძო საკუთრებაში გადა-ცემული და ობიექტური მიზეზებით პრივატიზებას დაუქვემდებარებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი მთლიან სავარგულებში შეადგენს 95,7%, (იხ. ცხრ. 6).

დარჩენილი 4,3%-ის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადა-ცემა განხორციელდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირების შესა-ბამისად.

საქართველოში მოქალაქეთა კომლექსური საკუთრებაში სა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უსასყიდ-ლოდ გადაცემის გზით განხორციელდა მიწის სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის შეცვლა, რაც ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გზით განვითარების ძირითადი პირობაა.

ზემოაღნიშნული 920,0 ათასი ჰექტარი განაწილებულია 4,6 მლნ. ნაკვეთად, ანუ თითოეული ცალკე მდებარე ნაკვეთი, არ აღემატება 0,2 ჰექტარს. 1996 წლის 1 იანვრის მდგომარე-ობით რიცხული 2187 მეურნეობიდან 700 მეურნეობას (32%) აქვს 200 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული, 290 მეურნეობას - 200-დან 500 ჰექტრამდე, 201 მეურნეობას - 500-დან 1000 ჰექტრამდე და მხოლოდ 77-ს (3,5%) უკავია 1000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მიწის რეფორ-მის პროცესის უადრესად სირთულის გამო, ქვეყნის მიწათსარ-გებლობაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია. დღევანდელ ეტაპზე მთავარი უარყოფითი ფაქტორი მაინც მიწების პარცელაცია, შესაბამისი ფინანსური სახსრების, მატერიალური ბაზისა და კადრების უადრესად მწვავე დეფიციტია. არსებული ეკონომი-კური სიტუაციის გათვალისწინებით ეს ბუნებრივადაც შეიძლე-ბა ჩაითვალოს. ამ უარყოფითი პროცესების აღმოფხვრას ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებისა და მიწის იჯარის შესახებ კანონების ამოქმედე-ბამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მიწის რეფორ-

მის გატარების საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ ამავე კანონების მოთხოვნით, მიწათსარგებლობაში მომხდარი ყველა ცვლილება (საკუთრების დამკვიდრება, მემკვიდრეობით გადაცემა, ყიდვა-გაყიდვა, გადაცემა, დაგროვება და სხვა) იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ ამ ქმედებების საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. გარდა ამისა, საკანონმდებლო სივრცის გარეშეა დარჩენილი სატყეო, საქალაქო, საკურორტო, ტრანსპორტის, წყლის ფონდის მიწების გამოყენების საკითხები. საჭიროა ამის მოგვარება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონების მიხედვით ქვეყანაში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მეტი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი იმერეთში - 45 %, რაჭა-ლეჩხუმში - 42,5 %, შედარებით მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია გაცემული ქვემო ქართლსა და ფშავ-ხევსურეთში.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ყველაზე მეტადაა გაცემული ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები: კერძოდ, მრავალწლიანი ნარგავები (66,9%) და სახნავი (55%). მიმდინარე რეფორმებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მრავალწლიანი ნარგავების ფართობები (ბაღები, ვენახები, ჩაი, ციტრუსები) სპეციალიზებულ რეგიონებში უფრო მეტი არის გაცემული, ვიდრე არასპეციალიზებულ რაიონებში. მაგალითად, ხეილის ბაღები მეტი ხვედრითი წილით არის გაცემული ქართლის სამრეწველო მეხილეობის რაიონებში, ვენახისა - კახეთსა და იმერეთში, ჩაი და ციტრუსები - გურიის რეგიონში და სხვ.

საქართველო მრავალწლიან ნარგავთა პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანაა. რეფორმა სოფლის მეურნეობის ამ დარგებში არამიზნობრივად წარიმართა. გვხვდება უხეში დარღვევები. კერძოდ, მსხვილი სამექანიზაციო ფართობების წვრილკონტურიან ნაკვეთებად დანაწილება და მოსახლეობაზე უსისტემოდ გაცემა, მრავალწლიან ნარგავთა ფართობების კომლებზე ჩაბარების აქტების დაგვიანებით გაცემა, ნორმაზე ხევით ფართობების გადაცემა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზებული მრავალწლიანი ნარგავების ფართობების დამუშავება გლეხმა ვერ შეძლო,

რადგან მას არ გააჩნდა სათანადო მექანიზაციის საშუალებები, საწვავ-საცხები მასალები, სასუქები, შხამ-ქიმიკატები და სხვ. შექმნილ სიტუაციაში გლეხობამ დაიწყო ნარგავების ამოძირკვა და მათ ადგილზე შედარებით იოლად მოსავლელი კულტურების გაშენება. მრავალწლიანი ნარგავებისადმი გლეხის ინტერესის დაკარგვა გამოიწვია, იმანაც, რომ პრობლემად იქცა მათ მიერ მოყვანილი მოსავლის რეალიზაცია, სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაისა და ყურძნის ფასის აუნახლარებლობა. აუცილებელია გლეხისადმი დამოკიდებულების რადიკალური შეცვლა და ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისადმი ხელშეწყობა.

მეცხოველეობაში რეორგანიზაცია 790-მდე კოლმეურნეობასა და ყოფილ საბჭოთა მეურნეობას შეეხო. მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა აგროფირმები, კოოპერაციული, საოჯახო, აქციონერული, გლეხური, ფერმერული, ერთობლივი და სხვა სახის საწარმოები. ამასთან ერთად რეორგანიზებულ იქნა ფერმები, მსხვილი სამრეწველო მეცხოველეობის კომპლექსები, კერძოდ, მეცხოველეობის ხაზით რეორგანიზებულ იქნა 90-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო კომპლექსი, მეფრინველეობის ფაბრიკა, ფერმა.

მოიშალა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სამრეწველო კომპლექსები, რომლებიც საშუალოდ წლიურად აწარმოებდნენ დაახლოებით 48 ათას ტონა საქონლის ხორცს, 3 ათას ტონა ღორის ხორცსა და რამდენიმე ათას ტონა რძეს, კომბინირებული საკვები ბაზის უქონლობის გამო მეფრინველეობის ფაბრიკებში თითქმის შეწყვეტილია მუშაობა. ისინი საშუალოდ აწარმოებდნენ 27 ათას ტონა ფრინველის ხორცსა და 800 მლნ. ქათმის კვერცხს. ამავე ფაბრიკებში ერთ მ<sup>2</sup> ფართობზე ფრინველის ხორცის წარმოება 10 კგ-ზე ნაკლებია, მაშინ, როდესაც არსებული საპროექტო სიმძლავრე 120-130 კგ-ზე მეტი იყო. რეფორმა მეცხოველეობაში არასწორად წარიმართა: მსხვილი მეცხოველეობის ფერმები დაიშალა, დატაცებულ იქნა პირუტყვის მნიშვნელოვანი რაოდენობა, განადგურდა ფერმებში არსებული ტექნიკური დანადგარები, დატაცებულია მანქანა-დანადგარები, სამშენებლო მასალები, ინვენტარ-მოწყობილობა. საზოგადოებრივი სარგებლობის ფერმები თითქმის



ყველა რაიონში დაიშალა.

მართალია, 1996 წელს 1988 წელთან შედარებით, გაიზარდა კერძო სექტორში მყოფი პირუტყვის სულადობა, მაგრამ ამასთან ადგილი ჰქონდა მისი საშუალო სულადობის საგრძნობ შემცირებას.

1988 წლიდან დღემდე აშკარაა, მიწის, კაპიტალისა და შრომის გამოყენების ეფექტიანობის დაცემის ტენდენცია. მაგალითად, 1996 წელს საქართველოში ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე თუ იწარმოებოდა 80,5 ათასი ერთეულის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, 1988 წელს იგი 168,7 ათას ერთეულს უდრიდა, ე. ი. 2-ჯერ მეტი იყო. ნორმალური მოვლისა და დამუშავების პირობებში შეიძლება 3-4-ჯერ მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. მიწის ფაქტორის გამოყენება სოფლის მეურნეობაში აშკარად არადაამაკმაყოფილებელია. არანაკლები შესაძლებლობები გვაქვს კაპიტალის, როგორც წარმოების მეორე ფაქტორის გამოყენების მხრივ, მაგრამ მას აქაც სრულად ვერ ვიყენებთ. სახელმწიფო და კერძო კაპიტალი თითქმის უმოქმედოა, არსებული ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლის გამო. რაც შეეხება სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზებას, ეს პროცესი ქვეყანაში აშკარად არასრულყოფილად და არადაამაკმაყოფილებელი ტემპებით მიდის. ამის გამო, თუ 1988 წელს ძირითადი საწარმოო ფონდების ერთ მანეთზე საქართველოში იწარმოებოდა 0,41 ერთეულის მთლიანი პროდუქცია, 1996 წელს ეს მაჩვენებელი 0,18-მდე იქნა შემცირებული. ე.ი. ფონდუკუთვება თითქმის 2-ჯერ და მეტადაა შემცირებული, კაპიტალის ეფექტიანი ამოქმედებისათვის აუცილებელია მისი პრივატიზების დაჩქარება და სასურველი კალაპოტით წარმართვა, უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, არსებულის სრულად და რაციონალურად გამოყენება, მაგრამ ეს ყოველივე საქართველოში ძალზე გართულებულია. არა და მისი ამოქმედება მომავალში შეიძლება. ჯერ კიდევ გაბატონებულია შრომისადმი ე.წ. სოციალისტური მიდგომა, რაც ხელს უშლის შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას. 1988-1996 წლებში ქვეყანაში შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში თითქმის სამჯერ შემცირდა.

შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის, გამოყენების



გაუმჯობესება ასევე დამოკიდებულია პრივატიზების რაციონალურად წარმართვაზე და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

### 2.3. აბრარული რეფორმის მეორე ეტაპის მიზნობრივი საშუალებები და პირობათშემოქმედებები

საქართველოში რეფორმისტული პოლიტიკის განხორციელების შედეგად 1995 წლის ბოლოდან ჩამოყალიბდა აგრარული ეკონომიკის სტაბილიზაციის ტენდენციები.

1996 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 31,3% წარმოებული იყო სოფლის მეურნეობაში. 23% - ვაჭრობაში, 12,6% - ტრანსპორტში და მხოლოდ 10% - მრეწველობაში, მაშინ როცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი ეროვნული შემოსავალში 1990 წელს 37%, ხოლო სოფლის მეურნეობაში - 31%-ს შეადგენდა.

გარდამავალ პერიოდში მკვეთრი ცვლილებები განიცადა თვით სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამაც. კერძოდ, დღეისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წილი 55%-ს აღემატება, ადრე 30%-მდე იყო, მემცენარეობისა შესაბამისად 45 და 70%. მემცენარეობის მთლიან პროდუქციაში მრავალწლიანი ნარგავების პროდუქცია თუ ადრე 80%-ს აღემატებოდა, ახლა იგი 20%-ზე ნაკლებია, ერთწლიანი პროდუქციისა კი შესაბამისად 20 და 80%-ია. ე.ი. გაიზარდა ერთწლიანი პროდუქციის ხვედრითი წილი. მრავალწლიანი ნარგავების პროდუქცია კი შემცირდა.

ქვეყნის მეურნეობის ეფექტიანი მაკრო და მიკროეკონომიკური რეგულირება ადეკვატური აგრარული პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პირობიტებისა და მიმართულებების სწორი განსაზღვრა.

განვლილი პერიოდის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში. ვფიქრობთ, აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის ძირითად შინაარსს

უნდა წარმოადგენდეს რეალური ეკონომიკური ზრდის დაწვე-  
ბა. აღნიშნულის თვალსაზრისით, სასოფლო-სამეურნეო წარ-  
მოებაში აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- აგრარული რეფორმის გატარების პირველ ეტაპზე დაშ-  
ვებული სერიოზული შეცდომების გასწორება;

- პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისას საქონელ-  
მწარმოებელთა სრული თავისუფლების მინიჭება და ამ მიზნით  
ხელისუფლების მიერ ეფექტური საგადასახადო, საკრედიტო,  
საფინანსო და სადაზღვევო პოლიტიკის შემუშავება და გატა-  
რება (დიდი გადასახადები და საპროცენტო განაკვეთი წარმო-  
ების განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა);

- აგრარულ სექტორში მომუშავე საქონელმწარმოებლები-  
სათვის მკვეთრი მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელება;

- აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციაზე მოთხოვ-  
ნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება, მარე-  
გულირებელი სტრუქტურების შექმნა, აგრარული კრიზისით  
გამოწვეული ეკონომიკური მერყეობის შემცირება;

- ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა, ძირი-  
თადი სახის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმა-  
ყოფილება, კვების პროდუქტების აუცილებელი ნაწილის თავ-  
მოყრისა და განაწილების ერთიანი წესის შემუშავება და გან-  
ხორციელება;

- ქვეყნის შიგნით ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმი-  
რება, ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზარ-  
ზე გასვლა;

- ურთიერთდახმარების საღაროებისა და აგროკრედიტის  
სისტემის ჩამოყალიბება, საბანკო დაკრედიტების გაფართოება  
იმ ზომით, რაც საჭიროა ეკონომიკური ზრდის დასაწყებად და  
საბანკო პროცენტის ნორმის შემცირება, რათა საბანკო კრე-  
დიტები ხელმისაწვდომი გახდეს სოფლად ყველა მეწარმისა-  
თვის (საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს მეტი, ვიდრე ინფ-  
ლაციის მაჩვენებელია, ვინაიდან მხოლოდ ამგვარად შეიძლე-  
ბა სტიმული მიეცეს ადამიანებს, რათა მათ დაზოგონ ფული  
მისი ხარჯვის ნაცვლად);

- ინვესტირების კულტურის დანერგვა, (საშინაო, უცხოურ-  
რი) მოზიდვა და მისი მასობრივად გამოყენება;

- საადგილმამულო ურთიერთობების სრულყოფა, მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნისათვის ხელშეწყობა, მიწის სრულად და რაციონალურად გამოყენებაზე სახელმწიფო ორგანიზატორული კონტროლის დაწესება;

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის დასრულება, მეურნეობრიობის ყველა ფორმისათვის სამართლებრივი და ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფა, ოპტიმალური სიდიდის სასაქონლო წარმოების, აგრეთვე, ტრადიციული სამთო მიწათმოქმედებისა და საოჯახო მეწარმეობის განვითარება;

- საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფა სამამულო საქონელმწარმოებლების ინტერესთა დაცვის მიზნით;

- მეცნიერულ კვლევათა გარდაქმნის მხარდაჭერა, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

- აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსის ყველა დონეზე მმართველობითი ფორმების სრულყოფა და სხვ.

აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის რესტრუქტურისა და დარგობრივი ასპექტი. კერძოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ენერგო რესურსებით სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის უზრუნველყოფას.

ვიდრე საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი ნაწილი არ არის კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ეკონომიკურ სივრცეში ძველი კავშირების აღდგენას და ახლის გაფართოებას.

სოფლის მეურნეობა მომავალში კვლავ დარჩება დამატებული ღირებულების შექმნის უმთავრესი წყარო ქვეყნის ეკონომიკაში. მასზე ახლა მოდის (1997 წელს აღრიცხული) მთლიანი შიდა პროდუქტის 32%-ზე მეტი. მისი ზრდის პერსპექტივა დიდია, მიწისა და შრომის ბაზრის ფართოდ განვითარების, საწარმოო და საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომის პირობებში, განსაკუთრებით სწრაფად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თუ მთლიანად იქნება

ათვისებული და გამოყენებული პრივატიზებული მიწები.

დიდი პერსპექტივებია მევენახეობა-მეღვინეობასა და ჩაის წარმოებაში. მსოფლიოში ამ პროდუქტების მოხმარება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი წარმოების მასშტაბები. ეს კი მათ წარმოებაში გარდაუვალ სტრუქტურულ ცვლილებებს მოითხოვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგარეო ინვენსტიციების მოზიდვა ამ დარგებში უკვე დაიწყო. ამან უნდა გაუადვილოს მცირე და საშუალო აგრობიზნესს კრედიტის მიღება, ადგილობრივი სახსრების თავმოყრა, შეამციროს რისკის ფაქტორი და მოხსნას ქონების იძულებითი დაგირავების ამჟამინდელი მანკიერი პრაქტიკა.

აგროექსპორტის სწრაფად გაზრდა მართალია, საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ არსებობს ახალი ხელშემწყობი პირობები ჩაის, ღვინის, ხილის, ეთერზეთების პროდუქციის, მინერალური წყლების ექსპორტის სწრაფად გაზრდისათვის, და ისინი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული.

ამასთან, მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, როგორ შეეწყოს ხელი მეწარმეთა მიზანმიმართულ საქმიანობას, ურთიერთკავშირს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, ეკონომიკის რომელი სექტორები იქცევა მთავრობის ინტერვენციების და მოქმედების არეალად და სხვ.

სახელმწიფომ იმგვარად უნდა არეგულიროს საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა, რომ სასიცოცხლო და აუცილებელი დარგების აღორძინებისათვის შესაძლებელი გახადოს კაპიტალის მოზიდვა და მუშახელის დასაქმება. ეს ის დარგები უნდა იყოს, რომელთა პროდუქციაზე მუდამ იქნება მოთხოვნილება შიდა და საგარეო ბაზრებზე (მარცვალი, მეცხოველეობის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი და სხვ), სადაც წინასწარ არის ცნობილი და გარანტირებული დიფერენცირებული საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის რეალიზაციის არსებითი ეფექტი მთელი საზოგადოების სასარგებლოდ. ამასთან, რეფორმის ყველა ეტაპზე უნდა იყოს გათვლილი მთავრობის მარეგულირებელი პოლიტიკის ხარისხი და ეკონომიკური ჩარევის სიღრმე იმის გათვალისწინებით, რომ თვითრეგულირებადი ეკონომიკა ბუნებაში პრაქტიკულად არ არსებობს.

## 2.4. აბრარული წარმოებაში ეფექტიანობის ამაღლების საკითხის განსაზღვრისათვის

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
აღმოსავლური  
კავშირების  
საგარეო  
მინისტროს  
საგარეო  
კავშირების  
საგარეო  
მინისტროს

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება და მოგების მაქსიმიზაცია, მისი განუხრელი ზრდა. განვითარებულ, დემოკრატიულად ორგანიზებულ საზოგადოებაში სამეურნეო ცხოვრების განვითარება წარმოებს ბაზრის მეშვეობით, სახელმწიფოს მარეგულირებელი ჩარევით. ბაზარი კი ყველასათვის თანასწორია, როგორც მყიდველისათვის, ასევე გამყიდველისთვისაც. ეს გარემოება უბიძგებს ერთსაც და მეორესაც ეძებონ გზები მოგების მისაღწევად, მიიღონ მოგების მაქსიმუმი და რაც შეიძლება სრულად და რაციონალურად გამოიყენონ არსებული რესურსები. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს სოფლის მეურნეობაზე, სადაც ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობები თითქმის ამოწურულია თუ არ მივიღებთ მხედველობაში კოლხეთის ათვისების, მლაშე და ბიცობიანი ნიადაგების გაკულტურების შედეგად წარმოების გაფართოების შესაძლებლობებს, ძირითადად რჩება ინტენსიური განვითარების გზა. ამიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას ამ საკითხზე.

წარმოების გაძღოლის სირთულეები, როგორც ცალკეული ქვეყნების განვითარების დონეთა შორის სხვადასხვაობა განპირობებულია ბუნებრივ ფაქტორებთან (მიწა, კლიმატური პირობები, სანედლეულო რესურსები) ერთად იმ ფაქტორებით, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების შედეგებს (კაპიტალის განახლება, სამუშაო ძალის კლასიფიკაცია და აქედან გამომდინარე, წარმოების მიზნის-მოგების მიღების შესაძლებლობები). მეურნეობრიობის უმნიშვნელოვანესი პირობაა აგრეთვე, საზოგადოებრივი სტრუქტურები, ადამიანთა მიერ ფასეულობებზე წარმოდგენისა და მათი მოქმედების დონე.

მეურნეობრიობის მიზანია მატერიალური დოვლათის წარმოების მაქსიმიზაცია მინიმალური დანახარჯებით, საზოგადოების სიკეთით მაქსიმალური დაკმაყოფილება და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება. ამ ორ უკანასკნელს შორის წარმოიქმნე-

ბა კონკურენტული დამოკიდებულება, რის გამოც დგება პრობლემა: რა დონეზე უნდა იქნეს რეალიზებული პირველი მიზანი და რა დონეზე მეორე? აქ თავს იჩენს სახელმწიფოს როლის შესახებ საკითხი: როგორია სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევის საზღვრები, დაემორჩილება თუ არა ბაზარი მის რეგულირებას, როგორი უნდა იყოს ეკონომიკური წესრიგი? სწორედ ეკონომიკური წესრიგისა და იმ ინსტიტუტების ხასიათზე, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, არის დამოკიდებული საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება და მოგების მაქსიმიზაცია.

საქართველოში ეკონომიკური განვითარება შეუძლებელი გახდება თუ განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცა ქვეყანაში არსებული „რესურსების (წარმოების საშუალებების) ისეთი გამოყენების პრობლემას, რომლის დროსაც მიიღწევა საზოგადოების უსაზღვრო მოთხოვნილებათა (წარმოების მიზანი) ყველაზე უფრო მეტი ანუ მაქსიმალური დაკმაყოფილება“.<sup>3</sup> ეკონომიკური თეორია განიხილავს ეკონომიკის პრობლემებს ე.ი. იმის მაქსიმალურ გამოყენებას, რაც ჩვენ გაგვაჩნია. „ცალკეული ადამიანისათვის ეს ნიშნავს საკუთარი უნარისა და შემოსავლების ისეთ გამოყენებას, რომელიც იძლევა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, ან მეტ კეთილდღეობას. საზოგადოებისათვის მთლიანად კი იგი გულისხმობს პრაქტიკული გამოცდილებებისა და ადამიანური შესაძლებლობების, მიწის, შენობების, მოწყობილობებისა და სხვა ეკონომიკური რესურსების ისეთ გამოყენებას, რომელსაც მივყავართ ცხოვრების დონის მაქსიმალურ ამაღლებამდე“.<sup>4</sup>

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მთელი რიგი თეორიული და გამოყენებითი პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდისათვის დაუმუშავებელია. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური წარმოების წესის პირობებში წარმოების ეფექტიანობას არ იხილავდნენ წარმოების საბოლოო

<sup>3</sup> კემპბელი, რ. მაკონელი, სტენდი ლ. ბრიუ - ეკონომიკის ნაწ. 1, თბ. 1993წ. გვ.156.

<sup>4</sup> ჯ.ფ. სტენლეიკი, - ეკონომიკის დამწყობათვის, თბ. 1995, გვ. 5.

მიზნიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, საბჭოთა ეკონომისტების მნიშვნელოვანი ნაწილი აიგივებდა წარმოების ეფექტიანობასა და წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას, ისინი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებამდე დააყვავდათ.

მეცნიერ-ეკონომისტთა ერთმა ნაწილმა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა მოაქცია მიმდინარე დანახარჯთა ეფექტიანობის რკალში. ზოგიერთმა კი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა გააიგივა რენტაბელობასა და ფონდუკუგებასთან, ზოგმა ეკონომიკური ეფექტიანობა იდენტური გახადა წარმოების ინტენსიფიკაციის.<sup>5</sup>

ჩვენი აზრით, ეფექტიანობა ფართო გაგებით ნიშნავს განსაზღვრულ შედეგს, რომელსაც ფირმამ, საწარმომ, კორპორაციამ, დარგმა, ეროვნულმა მეურნეობამ მიაღწია დროის გარკვეულ მონაკვეთში. ტერმინი „ეფექტი“ და „ეფექტიანობა“ შეიძლება ისეთივე მნიშვნელობით ვიხმაროთ, როგორადაც ისინი გამოიყენებიან ადამიანთა საქმიანობის ყველა სხვა სფეროში და სხვადასხვა დონეებზე.

ეფექტი, რის საფუძველზედაც ის უნდა იყოს მიღებული, ყოველთვის მოქმედების შედეგებზე მიუთითებს, ხოლო ეფექტიანი – შედეგის ხარისხიანობას, მისი დადებითი თვისებების შეფასებას. ეფექტი მიუგებს კითხვას, რა არის და რამდენია შედეგი? ეფექტიანი კი – როგორია (რაოდენობრივ-ხარისხობრივი) შედეგი.

ამით ჩვენ ხაზს ვუსვამთ, იმას, რომ წარმოების ეფექტიანობა და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა განსხვავებული კატეგორიებია. წარმოების ეფექტიანობის ქვეში იგულისხმება ეროვნული მეურნეობის ამა თუ იმ დარგის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომელიც გამომდინარეობს წარმოების საერთო მიზნებიდან დროის უმოკლეს პერიოდში და საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯები.

ჩვენი აზრით, წარმოების ეფექტიანობა, მისი ამაღლება არის საზოგადოებრივი შრომის ეკონომია კვლავწარმოების პრო-

<sup>5</sup> დ. თოფურია. – ინტეგრაცია, ინტენსიფიკაცია, ეფექტიანობა, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი, თბ. 1988, გვ. 55.

ცესში, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეკონომიკურად, მომჭირნეობით და რაციონალურად ხარჯვით უფრო მეტი ეფექტის მიღებას.

წარმოების ეფექტიანობა იძლევა, როგორც შრომითი საქმიანობის, ისე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების საერთო დახასიათებას და, ამდენად, საზოგადოებრივი წარმოების შედეგიანობის გლობალური მაჩვენებელია, ხოლო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა წარმოების ეფექტიანობის შემადგენელი ელემენტია, რომელიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით ასახავს და ახასიათებს წარმოების მხოლოდ ეკონომიკური დანახარჯების შედეგიანობას, რესურსების გამოყენების დონეს.

ნებისმიერი საზოგადოების მიზანი უნდა გახდეს ეფექტიანად გამოიყენოს თავისი იშვიათი რესურსები, ანუ მან უნდა უზრუნველყოს შეზღუდული რესურსებიდან მისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების მაქსიმალური რაოდენობის წარმოება. ეს კი მაშინ მიიღწევა, როდესაც ქვეყანაში ადგილი ექნება სრულ დასაქმებას და წარმოების სრული მოცულობით უკუგებას.

წარმოების ეფექტიანობა ზოგადი კატეგორიაა და მოიცავს, როგორც ტექნიკურ და სოციალურ, ისე ეკონომიკურ ეფექტიანობას.

წარმოების ტექნიკური ეფექტიანობა მანქანა-იარაღების, დაზგა-დანადგარების, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების, კონსტრუქციულ დახვეწილობა-სრულყოფასა და წარმადობას გვიჩვენებს.

წარმოების სოციალური ეფექტიანობა საზოგადოების განვითარების სოციალურ პროცესებს უკავშირდება. მაგალითად, როცა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის დანერგვა აადვილებს და ამსუბუქებს შრომას, უფრო სასურველსა და სასიამოვნოს ხდის მას, მაშინ სოციალური ეფექტიანობის ამაღლებასთან გვაქვს საქმე.<sup>6</sup>

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა, როგორც ზემოთ

<sup>6</sup> ლ. ჩიქავა - ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997 წ., გვ. 244.



აღვნიშნეთ, რესურსების გამოყენების შედეგია და რაოდენობრივ პარამეტრებში გამოიხატება. ეკონომიკური ეფექტი წარმოების შედეგია აბსოლუტურ განზომილებებში. ეკონომიკური ეფექტიანობა – ფარდობითი მაჩვენებელია და გამოხატავს წარმოების ესა თუ ის შედეგი (ეფექტი) თუ რა ოდენობის რესურსების (დანახარჯების) საფუძველზეა მიღებული. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ერთი და იგივე შედეგი შეიძლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა გზით (განსხვავებული მეთოდების გამოყენებით) და სხვადასხვა ოდენობის დანახარჯების გაწევით, ისე, როგორც ერთდამიხვე ოდენობის დანახარჯებმა განსხვავებულ დროსა და სივრცეში შეიძლება განსხვავებული ეკონომიკური შედეგი მოგვცეს.

წარმოების ეფექტიანობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს კვლავწარმოების პროცესის არსს და გვიჩვენებს ძირითადი მიზნის ფუნქციას. მასზე მთლიანად არის დამოკიდებული ფინანსური მდგომარეობა და ინვესტიციების დაბანდების მასშტაბები.

„წარმოების ეფექტიანობა არის წარმოებითი საქმიანობის ეკონომიკური შედეგი, რაც საწარმოს ქმედითობაში, მისი ფუნქციონირების ხარისხში გამოიხატება და დამოკიდებულია წარმოების განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენების დონეზე“.<sup>7</sup>

წარმოების ეფექტიანობის ძირითადი პრინციპია – „შედეგების მაქსიმუმი დანახარჯთა მინიმუმის პირობებში“ – შესაბამისად საზოგადოება დაინტერესებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს შრომის ეკონომია, რითაც მიიღწევა მთლიანი პროდუქციისა და შემოსავლის მოცულობის გადიდება. შრომის ეკონომია აგრეთვე ზრდის დაგროვების წილს ეროვნულ შემოსავალში, ანუ ადიდება წმინდა საზოგადოებრივი შემოსავლის მასას.

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ უფრო მართებული იქნება, თუ მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობას განვსაზღვრავთ არა დანახარჯების მოცულობით, არამედ წარმო-

<sup>7</sup> გ. შვილდაძე – ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები, საქართველოში, თბ. 1973 წ. გვ. 19.

ების რესურსებით. ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია პროფ. ვ. ჯერკანოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარმოების რესურსებისა და საწარმოო დანახარჯების პრობლემები ერთი და იგივე ეკონომიკური მოვლენაა:<sup>8</sup> იგი შეიძლება გაიზომოს ორივეთი, თუმცა აქ მთავარი მაინც მოგების კატეგორიაა. საზოგადოებრივი კვლავწარმოების რეალურ პროცესში არ შეიძლება საუბარი ცალკე საწარმოო დანახარჯთა ეფექტიანობაზე და ცალკე წარმოების რესურსების ეფექტიანობაზე. წარმოების ფაქტორთა ეფექტიანობის ზრდა ვლინდება საზოგადოებრივი შრომის ეკონომიაში. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ წარმოებაში მაღალმწარმოებლური და იაფი მანქანა-მოწყობილობათა დანერგვა ამცირებს ცოცხალი და განიუთებული შრომის დანახარჯებს.

ამრიგად, ეკონომიკური ეფექტიანობის გასაანგარიშებლად, საწარმოს შედეგები უნდა შევუფარდოთ ამ შედეგების მიღებისთვის გაწეულ დანახარჯებს (წარმოების ყველა ფაქტორის გათვალისწინებით). იგი ასეთ სახეს მიიღებს:

$$V. J. = J. M. : R \times 100,$$

სადაც,  $V. J.$  - წარმოების ეფექტიანობაა;  $J. M.$  - ეკონომიკური შედეგი;  $R.$  - დანახარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოების ეფექტიანობის გადიდება, წარმოების ცალკეულ ფაქტორთა ეფექტიანობის ზრდის საერთო შედეგია და ამ უკანასკნელის საზომს წარმოადგენს საწარმოო დანახარჯთა ეკონომია.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრა ერთი რომელიმე განმაზოგადებელი, ინტეგრალური მაჩვენებლით შეუძლებელია. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც სინთეზური განმაზოგადებელი (ეროვნული შემოსავლისა და რენტაბელობის დონის ზრდის ტემპები, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ფასები), ასევე კერძო (შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, ფონდტევადობა, მასალატევადობა და სხვ.) მაჩვენებლები.

<sup>8</sup> ლიფშიცი ნ. - ეკონომიკა საიდუმლოებების გარეშე, მოსკ. „დელო“ 1993 წ. გვ. 275.

მთელი საზოგადოების მასშტაბით წარმოების ეფექტიანობა გაიზომება ეროვნული შემოსავლის წარმოებული მაჩვენებლებით: მოსახლეობის ერთ სულზე, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ერთ მუშაკზე და საწარმოო ფონდების ერთეულზე.

საწარმოების (ფირმების) და კერძო მეწარმეების ეფექტიანობა განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: ცოცხალი შრომის ნაყოფიერება, განივებული შრომის დანახარჯთა ეკონომია (პროდუქციის მასალატევადობის შემცირება), საწარმოო ფონდების გამოყენება (ფონდუკუგება), გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ეფექტიანობის გადიდებას სოფლის მეურნეობაში. ამ დარგის ეფექტიანობაზე არსებით გავლენას ახდენს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. ამჟამად, შექმნილი კრიზისული სიტუაციის გამო, როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობაში, ისე სოფლის მეურნეობაშიც ვერ ხერხდება საწარმოო რესურსების სრულად და რაციონალურად გამოყენება. იგი წარმოების ინტენსიფიკაციით უნდა განხორციელდეს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანა მოითხოვს მუშაობის შეფასების კრიტერიუმებად ისეთი მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებას, რომლებიც ინტენსიფიკაციის ფორმულის – შედეგების მაქსიმუმი – დანახარჯთა მინიმუმით ადეკვატური იქნება. საყურადღებოა, რომ ამ მოთხოვნებს ყველაზე მეტად პასუხობს ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებელი, როგორიც მოგებაა, იგი საწარმოს სტიმულს აძლევს, ნაკლები დანახარჯებით მიაღწიოს წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

მოგება, რომელიც შეიძლება გამოითვალოს მეურნეობრიობის ნებისმიერ (საწარმოს, გაერთიანების, დარგის, კომპლექსის, მთელი სახალხო მეურნეობის) დონეზე, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. იგი საბაზრო ეკონომიკის საბოლოო მიზანსა და მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს.

„არსებით გადასინჯვას საჭიროებს, – წერს აკად. ლ.

ჩიქავა, - მოგების ეკონომიკური შინაარსის მარქსისტული ახსნა, რომლის მიხედვით, იგი რეალიზებული ზედმეტი ღირებულებაა და მის ერთადერთ წყაროს დაქირავებულ მუშაკთა აუნაზღაურებელი (ზედმეტი) შრომა წარმოადგენს“.<sup>9</sup>

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური აზრის მიხედვით, მოგების (როგორც საქონლის ღირებულების ორგანული შემადგენელი ნაწილის) შექმნაში მეტნაკლები ზომით წარმოების ყველა ფაქტორი (შრომა, მიწა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი) მონაწილეობს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს ფინანსური რესურსები. თეორიულად ფინანსური რესურსები არ წარმოადგენენ არც ღირებულების და არც სახმარი ღირებულების დამატებითი მოცულობის შექმნის წყაროს. იგი წარმოებული ღირებულების მოძრაობაა, რომლის ეფექტიანობა განისაზღვება ფულადი რესურსებით საწარმოს უზრუნველყოფასა და ყაირათიანად ხარჯვაში.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში ფინანსურ რესურსებს უფრო დიდი ამოცანა აკისრიათ, იგი ზრდის მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას ნაკლები დანახარჯებით მეტ უკუგებას იძლევა.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ინტერესები მოითხოვს, სოფლის მეურნეობაში მთავარი ყურადღება მიექცეს წარმოების ეკონომიკურ მხარეს, თუ რა უჯდება საზოგადოებას ამა თუ იმ საქონლის და მომსახურების წარმოება. სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობა უნდა გახდეს საზოგადოებრივი წარმოების ერთადერთი მთავარი მახასიათებელი. სწორედ ამიტომ საბაზრო ეკონომიკის კანონების მოთხოვნათა შესაბამისად ფერმერთა სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს მათი ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა, სხვანაირად მათი გაკოტრება გარდაუვალია.

ფინანსური შედეგიანობა გამოიხატება მოგების კატეგორიით. მოგება მეწარმის ერთობლივ შემოსავალსა (საქონლის

<sup>9</sup> ლ. ჩიქავა - ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. გვ. 252. 1997 წ.

რეალიზაციით მიღებული მთლიანი შემოსავალი) და დანახარჯებს შორის სხვაობაა (ცხადია, რომ პირველი სიდიდე აღემატება მეორეს).

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება. ეს დიდმასშტაბიანი ეკონომიკური ამოცანაა, რომელიც მოიცავს საკითხების ფართო წრეს და რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი პრიორიტეტული პრობლემები:

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მოგების ზრდის მიღწევა და საერთოდ საკუთარი ფინანსური რესურსებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარება და ამით მთელ აგროსამრეწველო კომპლექსში მართვის ოპტიმიზაცია, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის შიდა დარგობრივ სტრუქტურებს მომსახურე და გადაამამუშავებელ საწარმოებთან კავშირში;

სოფლად მრავალფორმიანი საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება კერძო საკუთრების პრიმატით;

საკუთრების მრავალფეროვნების მართვის ცენტრალიზებული - გეგმიანი სისტემიდან, მემკვიდრეობით მიღებული სამეურნეო ფორმირებათა ტრანსფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და გლეხურ-ფერმერული მეურნეობების სახით;

მიწის კერძო საკუთრების ბაზაზე მიწის ბაზრის ფორმირება (შექმნა), მიწის კადასტრის საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის საფუძვლად გამოცხადება.

### თავი III. აბრარული რეფორმის სრულყოფის ძირითადი მიზანშეწონილობები

#### 3.1. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურირების საბაზრო ფორმის საწარმოება

სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ჩვენმა ქვეყანამ საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობის შექმნისკენ აიღო კურსი, რომლის უპირატესობა დიდი ხანია დაადასტურა მსოფლიო პრაქტიკამ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურირება დიდადაა დამოკიდებული სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზისა და კვალიფიციური სპეციალისტების არსებობაზე, რადგან სოფელი სკეპტიკურადაა განწყობილი ყოველგვარი სიახლისადმი. ამ ფაქტორების არასრულყოფილება აფერხებს დარგის რეფორმირებას და საბაზრო ურთიერთობებზე გვემაზომიერ გადასვლას.

კანონში „მეწარმეთა შესახებ“, გათვალისწინებული არ არის, ახალი ტიპის სოფლის მეწარმეთა ჩამოყალიბება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე, რესტრუქტურირების (გარდაქმნის) გზით. ეს პროცესი სრული თვითღინებით წარიმართება. რეფორმის დაწყებიდან დღემდე უხერხულადაც კი აღიქმება რესტრუქტურირების მექანიზმების ძიება, როცა თითქმის დასრულებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისი საწარმოების სტიქიური ნგრევის პროცესი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა და აუცილებელია დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ასეთი მექანიზმი მაინც უნდა შეიქმნას.

ჩვენი აზრით აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების რესტრუქტურირების (გარდაქმნის) მექანიზმი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ საკანონმდებლო ბაზას და არ უნდა საჭიროებდეს ახალი სამთავრობო გადაწყვეტილების მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზის გარეშე დაწყებული რეფორმის შედეგად შედარებით ნაკლებად დაზარალდა სახელმწიფო სექტორი, დავიანებით, მაგრამ მაინც

შეიქმნა სახელმწიფო ქონების მართვის სპეციალური უწყება და სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების საბაზრო ტიპის მეწარმეებად გარდაქმნის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, რის შედეგადაც რეორგანიზაციის პროცესი მეტნაკლებად ორგანიზებულად წარიმართა.

სამაგიეროდ, არ არსებობს ინსტრუქცია, ან რეკომენდაცია, რომელიც დახმარებას გაუწევდა კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათა შორისო საწარმოებს, საბაზრო ურთიერთობის ლაბირინთებში გზის გაკვლევასა და ორიენტაციის განსაზღვრაში. ამიტომაც არის, რომ კოოპერაციულ სექტორში რეფორმები ძირითადად სახელის შეცვლით ამოიწურა უფრო მეტიც, კოოპერაციული ქონების დიდი ნაწილი სხვათა ხელში აღმოჩნდა.

მიუხედავად ხარვეზებისა, რესტრუქტურისაციის ძირითად მიმართულებებს მაინც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განსაზღვრავს.

კანონში ნათქვამია, რომ ადამიანები თვითონ აირჩევენ და დააფუძნებენ მეწარმეობის ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, სავარაუდოა, რომ ასეთივე უფლება აქვთ ყოფილი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შრომის კოლექტივებს, თუმცა კანონში ამის შესახებ ნათქვამი არ არის. არჩევანის დროს გამონაკლისს წარმოადგენს სახაზინო საწარმო. მას აფუძნებს სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანო და მისი შექმნა ფიზიკური პირის ან შრომითი კოლექტივების პრეროგატივა არ არის.

თუ უფრო გასაგებად ვიტყვით, სახაზინო საწარმო იგივე სახელმწიფო საწარმოს ნაირსახეობას წარმოადგენს და მისი შექმნის საკითხს სახელმწიფო, ადგილობრივი ორგანოები წყვეტენ.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში სახელმწიფო საწარმოები წარმოდგენილი იყვნენ საბჭოთა მეურნეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი, მიმწოდებელი (მომმარაგებელი), დამამზადებელი, სამშენებლო, სამედიკორაციო, სარემონტო, სატრანსპორტო, მომსახურების სფეროს და სხვა ფორმების სახით. საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში „მეწარმეთა შესახებ“. კანონის ამოქმე-

დების თაობაზე, ნათქვამია (მუხლი 5), რომ „საქართველოს სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები“.

ე.ი. სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების გარდაქმნა და საბაზრო ტიპის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმად ჩამოყალიბება კანონმდებლობით არის რეკომენდებული.

რეფორმის დაწყებამდე საქართველოში იყო აგროსამრეწველო კომპლექსის 1696 სახელმწიფო საწარმო, რომელიც რესტრუქტურისაციას ექვემდებარებოდა. მათ შორის 1997 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გარდაქმნილი იყო 1009, საიდანაც რეგისტრირებული იყო 815. სახელმწიფო სექტორიდან შექმნილია საბაზრო ტიპის საწარმოები: სახაზინო საწარმო - 251, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - 193, სააქციო საზოგადოება - 408, სხვა ფორმის - 139. ლიკვიდირებულია, როგორც უპერსპექტივო 101 სახელმწიფო საწარმო. ამავე ვადისათვის გარდაქმნილი არ იყო, ყოველ შემთხვევაში სახელიც არ ჰქონდა შეცვლილი 590 საწარმოს. იმის გათვალისწინებით, რომ რეგისტრაციაში გატარებამდე საწარმო შექმნილად არ ითვლება, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფის მიუხედავად, სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურისაცია მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს და საერთო რაოდენობის მხოლოდ 55%-ს შეადგენს.

კოლმეურნეობის საბაზრო ტიპის მეწარმედ გარდაქმნა და მეურნეობრიობის ფორმის არჩევა, კოლმეურნე წევრების საერთო კრების კომპეტენციას წარმოადგენს და არავის არა აქვს უფლება სოფელს თავს მოახვიოს თავისი ნება, ის რაც მას არ სურს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალისტებმა არ უნდა განსაზღვრონ სად რა არის უმჯობესი. სახელმწიფო საწარმოებისაგან განსხვავებით, კოლმეურნეობებისათვის არ არის დადგენილი მეურნეობრიობის რომელიმე სავალდებულო ფორმა, კანონი „მეწარმეთა შესახებ“, ითვალისწინებს სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს შეზღუდული



პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სხვა სახის მეწარმედ გარდაქნა, მაგრამ ყველა მათგანი დამოუკიდებელი და თავისუფალი მეწარმეები უნდა იყვნენ. მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა, რომელიც სამეწარმეო პირობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რესტრუქტურისაციის საწყისი მხარეა, უფრო მთავარია მისი პრაქტიკული განხორციელება კანონმდებლობისა და რეორგანიზებული კოლმეურნეობის წევრთა ინტერესების დაცვით.

კოლმეურნეობის წესდებით მისი მთელი ქონება კოლმეურნეობის წევრების საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრების, უფრო სწორედ, კოლმეურნეობის წევრების საერთო საკუთრების სახით. კოლმეურნეობის გარდაქმნის შემთხვევაში იგი მთლიანად ინარჩუნებს ქონებაზე საკუთრების უფლებას და მისი ნების გარეშე მიღებული რაიმე სხვა გადაწყვეტილება ბათილია.

ახლად შექმნილმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა (მეწარმეობის ნებისმიერმა სხვა კოლექტიურმა ფორმამ), რომელმაც თავისი თავი გარდაქმნილი კოლმეურნეობის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა, გადაცემული ქონება უნდა გაანაწილოს ახლად დაფუძნებული კოოპერატივის წევრებზე, იმის მიუხედავად თუ რა წვლილი აქვს შეტანილი კოლმეურნეობაში მუშაობის დროს, ე.ი. თითოეული წევრი ხდება აქციის ქონების მესაკუთრედ და ეს იქნება პრინციპული განსხვავება ძველებური და ახლებური კოოპერატივის წევრობას შორის. დასაშვებია, რომ გაუქმებული კოლმეურნეობის ზოგიერთმა წევრმა არ მოისურვოს საბაზრო ტიპის კოოპერატივის წევრად, იგივე დამფუძნებლად გახდომა. ცხადია, მას ქონების წილი ეკუთვნის და მასთან ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ახალი ტიპის კოოპერატივის წესდების მიხედვით.

რა დარღვევებს აქვს ადგილი ამ საქმეში?

საბაზრო ტიპის კოოპერატივების დამფუძნებლად გვევლინებიან რეორგანიზებული კოლმეურნეობის ცალკეული წევრები, ან სულაც უცხო პირები, რომლებიც ისაკუთრებენ მთელ ქონებას, ხოლო ამ ქონების შემქმნელი ყოფილი კოლმეურნეობის წევრები დაქირავებული მუშახელის სტატუსს იძენენ. ეს არის ქონებრივი უფლების დარღვევა, უფრო სწორად ქონების

წილის წართმევა. ასეთი ქმედების თავკაცები, როგორც წესი ყოველთვის იშველიებენ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებას, რომლითაც გაუქმებული კოლმეურნეობის ქონება გადაცემული აქვს ახალი ტიპის დამფუძნებელს. ეს არის გამართლებული. კოლმეურნეობის ქონება მის წევრებზე ყველა პირობებში უნდა განაწილდეს და ყველა მათგანმა მიიღოს თავისი კუთვნილი წილის ოდენობა. თუ რომელიმე მათგანი ისურვებს თავისი წილის გასხვისებას ამის შესახებ დადგენილება უნდა მოხდეს წერილობით, რომელიც ნოტარიუსის მიერ იქნება დამოწმებული. საერთო კრებას არ აქვს უფლება გაასხვისოს თავისი წევრების ქონება.

კოლმეურნეობის საბაზრო ტიპის კოოპერატივად გარდაქმნა, არ მთავრდება დადგენილების მიღებით და ქონების განაწილებით. ახლად შექმნილმა კოოპერატივმა უნდა მიიღოს თავისი წესდება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კანონს მეწარმეთა შესახებ და აირჩიოს ხელმძღვანელობა, აქვე უნდა განისაზღვროს საწესდებო კაპიტალის ოდენობა და შეტანის წესი.

საწესდებო კაპიტალი შეიძლება შევსებული იქნეს, როგორც ფულადი შენატანების, ასევე მატერიალური ქონებით. პრაქტიკულად ახლად ფორმირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საწესდებო კაპიტალის შევსებას ახდენენ კოლმეურნეობისაგან მიღებული ქონებით, რომელსაც ანაწილებენ თითოეული წევრის მიხედვით. ამის შემდეგ კოოპერატივმა განცხადებით უნდა მიმართოს ადგილობრივ სასამართლოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ. განცხადების თანხმდები დოკუმენტები და მათი გაფორმების წესი ჩამოყალიბებულია კანონში „მეწარმეთა შესახებ“. რეგისტრაციის დღიდან კოოპერატივი ითვლება შექმნილად და იძენს სამეწარმეო საქმიანობის უფლებას. რეფორმების დაწყებამდე ჩვენს ქვეყანაში იყო - 818 კოლმეურნეობა. 1997 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გარდაქმნილი იყო 469, მ.შ. კოოპერატივად - 342, შპს - 46, ხოლო სხვა ფორმით - 81. რეგისტრირებული იყო გარდაქმნილი კოლმეურნეობების საერთო რაოდენობის 72%, ანუ 336 ერთეული.

ამჟამად, 210 კოლმეურნეობა საქმიანობას განაგრძობს

ძველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. ეს ვადა შემდგომში სამჯერ იქნა გაგრძელებული და ბოლო იყო 1997 წლის 31 დეკემბერი, თუ კანონის ენით ვიტყვი, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებს და ორგანიზაციებს, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო საწარმოებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ძველებური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით აგრძელებენ მუშაობას, არ აქვთ საქმიანობის უფლება.

რეფორმების პერიოდში ლიკვიდირებულია 140 კოლმეურნეობა. ამ რაოდენობაში არ შედის მთის ზონის კოლმეურნეობების ნაწილი, რომელთაც აღარ გააჩნიათ საწარმოო საშუალებანი, მ.შ. მიწა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ლიკვიდირებული არ არიან. ამდენად გაუქმებული კოლმეურნეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. მართალია, საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია არ წარმოადგენს რესტრუქტურისაციას და შეიძლება გაუქმების მექანიზმზე ლაპარაკი ვინმეს უადგილოდ მოეჩვენოს, მაგრამ აუცილებელია უპერსპექტივო კოლმეურნეობების გაუქმების დროსაც იქნეს დაცული კანონმდებლობა და რაც მთავარია, ადამიანების ქონებრივი უფლებები.

გაუქმებული კოლმეურნეობების ქონება მისი წევრების საკუთრებას წარმოადგენს და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მისი გამოყენების შესახებ. ქონებიდან პირველ რიგში უნდა დაიფაროს ყველა სახის ვალები, რომელიც კოლმეურნეობას აქონდა. სახალხო დანიშნულების ობიექტები, როგორცაა კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა და სხვ. კოლმეურნეობის წევრთა დადგენილებით შეიძლება გადაეცეს სოფლის საკრებულოს, დანიშნულებით გამოყენების მიზნით. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სატრანსპორტო საშუალებებს, მანქანა იარაღებს, მექანიკურ და სამეურნეო სახელოსნოებს, აბანოებს, საპარიკმახეროებს და სხვა ქონებას, რომელიც წარმოებასა და მოსახლეობას ემსახურება, მიზანშეწონილია მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს წარმოებისა და

მოსახლეობის მომსახურების კოოპერატივი, რომლის მეპაიეები იქნებიან გაუქმებული კოლმეურნეობის წევრები.

კოოპერატივზე გადაცემული ქონება განაწილდება ყოფილ კოლმეურნეობის წევრებზე და ჩაეთვლება საპაიო შენატანში, რომლის მიხედვითაც ყოველწლიურადაც მიიღებენ გარკვეულ დივიდენდებს. დარჩენილი ქონება განაწილებული უნდა იქნეს გაუქმებული კოლმეურნეობის წევრებზე ზემოთ ნათქვამი წესით.

ამასთან, ადგილებზე ძირითადად გამგეობების მიერ, უხეშად ირღვევა კოლმეურნეობების ლიკვიდაციის წესი და კოლმეურნე წევრების საკუთრება ცალკეული პირების ხელში ხვდება. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მრავალწლიანი ნარგავების (ჩაის პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღების), აგრეთვე ავტომანქანების, ტრაქტორების მარცვლეულის ასაღები კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კერძო პირებზე გადაცემა.

მეწარმეობის სამეურნეობათაშორისო ფორმა, რომელმაც სამოციანი წლებიდან იწყო განვითარება, თავიდანვე უვარგისი გამოდგა, რადგანაც იგი იყო მეწარმეობა საკუთრების უფლების გარეშე (მაშინ მოქმედი წესით სამეურნეობათაშორისო საწარმოების მთელი ქონება მონაწილე მეურნეობების საკუთრებას წარმოადგენდა). მეურნეობრიობის ასეთი ფორმა საბაზრო ურთიერთობის პირობებისათვის მიუღებელია და არც კანონით არის გათვალისწინებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი გარდაქმნილი ან გაუქმებული უნდა იქნენ. საკუთრების ფორმიდან გამომდინარე სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობით დაფუძნებული სამეურნეობათაშორისო საწარმოები რესტრუქტურისზებული უნდა იქნენ სახელმწიფო საწარმოების ანალოგიურად, რომელიც სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოების მეშვეობით ხორციელდება, რაც შეეხება კოოპერატიულს – მათი გარდაქმნა ხორციელდება მონაწილე კოლმეურნეობების წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით.

გასაგები მიზეზების გამო სამეურნეობათაშორისო საწარმოებმა უფრო მეტად განიცადეს ქაოსური პერიოდის გავლენა, რომელიც დღესაც გრძელდება. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მეპაიე მეურნეობების გაუქმების ან რეორგანიზა-

ციის შედეგად სამეურნეობათაშორისო საწარმოები მიტოვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და არავინ ფიქრობს იქ დაბანდებულ სახსრებზე. დღეს ფაქტობრივად, არცერთი მათგანი საქმიანობას აღარ ეწევა და დარჩენილია შენობა-ნაგებობანი, რომელიც მეპაიეთა შორის ვერ განაწილდება. ამიტომაც სამეურნეობათაშორისო საწარმოების რესტრუქტურისაციის ერთადერთ მიმართულებას წარმოადგენს მისი პრივატიზაცია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს გადასახდელი თანხის განვადების და სხვა შეღავათების გავრცელების გზით.

ქვეყანაში არსებული 268 სამეურნეობათაშორისო საწარმოდან 1997 წლის პირველი აგვისტოს მდგომარეობით გარდაქმნილი იყო 76, ლიკვიდირებული 20, ხოლო 124 კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაშია. ცალკე უნდა აღინიშნოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც პირველნი შეიქმნენ კოლმეურნეობების მონაწილეობით და ვაშთა სვლის კვალობაზე მას რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმშენი“ დაეპატრონა. იგივე შეიძლება ითქვას რ/გ „საქკოლმჯანმრთელობაზე“. დღეს არავის ახსოვს დამფუძნებელთა ინტერესები და კოლმეურნეობების ქონება უცხო პირთა ხელში გადადის უსასყიდლოდ.

ზემოთ ნათქვამი უფლებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ რესტრუქტურისაცია აგროსამრეწველო კომპლექსში არაორგანიზებულად და დიდი დარღვევებით მიმდინარეობს. უხეშად ირღვევა შრომითი კოლექტივებისა და აღამიანების ქონებრივი ინტერესები, ნადგურდება საბაზრო ურთიერთობის ეკონომიკური ბაზა, რომლის აღდგენა-შექმნისათვის საჭირო იქნება გარკვეული დრო და სახსრები.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების რესტრუქტურისაციის სახელმწიფო რეგულირების მიზნით შემოღებული უნდა იქნეს საანგარიშგებო სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ ინფორმაცია ძველი ფორმების რეორგანიზაცია-გარდაქმნის და საბაზრო ფორმების დამკვიდრების შესახებ. ამასთან, იგი დაგვეხმარება განვსაზღვროთ მეწარმეთა ზრდის თუ კლების მიმართულებები და ტენდენციები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების

მიხედვით, როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონების მასშტაბით და სრულყოფილ აგრარული პოლიტიკა გამოკვეთილ თავისებურებათა გათვალისწინებით.

### 3.2. აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე

თანამედროვე პირობებში საქართველოს აგრარული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია სასურსათო პრობლემის გადაჭრა.

საქართველოს აგრარული რეფორმის გამოცდილება, მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოფლად სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებისას აუცილებელია სისტემური მიდგომა, ქვეყნის რეგიონების თავისებურებების, დაგროვილი სპეციფიკისა და ტრადიციების მიხედვლობაში მიღება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარული პოლიტიკისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეზის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: ქვეყანაში არსებული აგრარული კრიზისის დაძლევა, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, მართვის დემოკრატიული სისტემის შექმნა, სასურსათო უშიშროების მიღწევა, მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა, ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობას, სოფლის მეწარმეთა მომგებიანობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევის დანერგვა-დანქარებას; განვითარების მართვისა და პროგნოზირების სწორი კურსის გამოყენებას; შრომის საერთაშორისო დანაწილების რაციონალურ ფარგლებში მონაწილეობას, საგარეო ეკონომიკურ კავშირების განმტკიცებასა და გაფართოებას. ქვეყანამ ინტეგრალური პროცესების გადაკვეთაზე უნდა მონახოს ახალი საგარეო ეკონომიკური კავშირების შესაბამისი ფორმები.

აგრარული პოლიტიკა კომპლექსური ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სისტემურად, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ეტაპის თავისებურებათა და ტრადიციების გათვალისწინებით.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მთავარ გზად უნდა მივიჩნიოთ სასურსათო კომპლექსის ინტენსიფიკაციის პროცესის დაჩქარება და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

გარდამავალ ეტაპზე, როცა სახელმწიფოს არა აქვს მისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, აუცილებელი ხდება რეგულირებადი ფასების ამოქმედება. მისი განხორციელება უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსებში სასურსათო პროდუქტების აუცილებელი მარაგის შექმნას, რაც დააკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათზე, გადაწყვეტს მათ სახელმწიფო რესურსებში მოქცევის ამოცანას. საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, აუცილებელია შექმნას სახელმწიფო სასურსათო ფონდი. მან უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე. შემდგომ, როცა კარგად ამოქმედდება სასაქონლო ფულადი ურთიერთობები, ღირებულების კანონის გამოყენებით შევძლებთ თავისუფალი ფასების დამკვიდრებას და ამ გზით სურსათით უზრუნველყოფას. ამასთან, ასამოქმედებელია კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სახელმწიფო სასურსათო ფონდის შექმნის აუცილებლობა განპირობებულია სახელმწიფო თავდაცვის უზარიაანობის განმტკიცებით, კერძოდ, ეროვნული არმიის შენახვისათვის, სამედიცინო-პროფილაქტიკური, პენიტენციალურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა გამოსაკვებად, სანატორიულ-სამკურნალო და გამაჯანსაღებელი კერების ასამოქმედებლად, ტურიზმის განსავითარებლად, ბავშვთა და მოზარდთა კვების მოსაწესრიგებლად, ქვეყანაში აუცილებლად საჭირო რეზერვის (მოუსაგელიანობა, სტიქიური უბედურება) შესაქმნელად, სახელმწიფო პუმიანიტარული ღონისძიებების განსახორციელებლად და სხვ.

სასურსათო პრობლემა აგროსასურსათო კომპლექსის პოტენციალის ამოქმედებამ უნდა გადაჭრას. იგი ქვეყნის პერსპექტიულ ინდიკატორი გეგმის პროექტში გლობალურად უნდა იქნეს დაყენებული. ჩვენი აზრით ასე შეიძლება დაისვას: „სასურსათო პრობლემის დაძლევის მიმართულებები საქართველოში“.

სასურსათო პრობლემის სწრაფად დაძლევისათვის საჭიროა გადაიღახოს ის მწვავე წინააღმდეგობები, რომლებიც

რეფორმის გატარებისას წარმოიშვა:

პირველი - სოფლის მეურნეობა არ არის უზრუნველყოფილი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებებით (სასუქები, შხამქიმიკატები, პესტიციდები, თესვლი, კომბინირებული საკვები, ენერჯის წყარო), რის გარეშეც წარმოუდგენელია წარმოების ნორმალური განვითარება;

მეორე - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მარაგნაწილებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით სოფლის მეურნეობის ცუდი მომარაგების ორგანიზაცია და საერთო აგროსერვისის ძალზე დაბალი განვითარების დონე;

მესამე - მიწაზე გადასახადების დასაბუთებული განაკვეთებისა და საერთოდ სამართლებრივი ბაზის უქონლობა;

მეოთხე - საფინანსო, საკრედიტო და სადაზღვევო პოლიტიკის მოუგვარებლობა;

მეხუთე - გაწვევტილია კავშირი წარმოებასა და მოხმარებას შორის, დიდია დანახარჯები პროდუქციის მომხმარებელამდე მიტანის მთელ გზაზე, რაც იწვევს სამომხმარებლო ბაზრის საყოველთაო დეფიციტს და მის უზომოდ მაღალ ფასებს;

მექვსე - დისპროპორცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში. სამრეწველო პროდუქციის ფასები 5-6-ჯერ და მეტად აღემატება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებს, რის გამო ჩამოყალიბდა დარგთაშორის პროდუქტგაცვლაში ძალზე არაეკვივალენტური თანაფარდობა.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევა ბიძგს მისცემს წარმოების გამოცოცხლებას, ააღორძინებს და განამტკიცებს ქვეყნის აგრარულ ეკონომიკას.

მართალია, პრივატიზაციის შედეგად გარკვეულად მოხდა სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია, ძირითადად შეიცვალა ეკონომიკური სისტემა და ქვეყანას გაუჩნდა მყარი ფუჭლადი ერთეული - ღარი, ამავე დროს მეურნეობის ძირითად დარგებში ნაწილობრივ ლიკვიდირებულია მონოპოლია და ყალიბდება საბაზრო ურთიერთობები, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი ეროვნული, დამოუკიდებელი აგრარული ეკონომიკის აღორძინებისა და ამოქმედებისათვის.



ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლანდელი კურსი გვიკარნახებს იმის აუცილებლობას, რომ ღრმად გარდავქმნათ სამეურნეო მექანიზმი, შევქმნათ დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის აგროკომპლექსში არსებული ეკონომიკური პოტენციალის შესაძლებლობანი.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ქვეყანაში მძლავრობს აგრარული კრიზისი და მისი დაძლევა ქვეყნის მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ტოლფასია, რადგან სოფლის მეურნეობა რეფორმის გატარების პირობებში აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი დარგი მეურნეობის ყველა სხვა დარგთან შედარებით. ამასთან, მრეწველობის ეფექტიანობა და კაპიტალტევადობა 3-4 ჯერ, ხოლო კაპიტალუკუგების ხანგრძლივობა 5-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის დარგს, კაპიტალის ორგანული შემადგენლობითა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონით სოფლის მეურნეობა ჩამორჩება მრეწველობას, მაგრამ მას გააჩნია სწრაფი უკუგება (სოფლის მეურნეობის დარგში ერთწლიან კულტურებში იგი 2-3 წელს არ აღემატება, მრავალწლიან ნარგავებში 6-7 წელს, ხოლო მრეწველობაში 9-10 წელია და ზოგჯერ მეტიც არის) ქვეყნის სიღუბჭირის პირობებში, ასეთ ფაქტორებს მეტად დიდი როლი აქვს საქართველოს სტრატეგიულ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებების სრულად შემუშავების საქმეში.

საჭიროა, სწორი პროპორციების მონახვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, რადგან ამ დარგების თანაფარდობაზეა დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კელავწარმოების ტემპები, პროპორციები და სხვა საჭირო სტრუქტურული პარამეტრები.

გამოსავალი რადიკალური აგრარული პოლიტიკის გატარებაა. ამასთან, აგრარულ ეკონომიკაში მძიმე ვითარება ამ ახალი კურსის რეალიზაციისათვის მოითხოვს განსაკუთრებული მდგომარეობის შემოღებას, ეკონომიკაში მისი ფუნქციონირები-

სათვის მინიმალური პირობების უზრუნველსაყოფად, უწინარეს ყოვლისა, სასურსათო, სათბობ-ენერგეტიკული და სატრანსპორტო კომპლექსების სფეროებში ამ მხრივ მეტად საინტერესოა სამეურნეო წესრიგის თეორია, რომელსაც „გერმანული სასწაული“ ემყარებოდა. იგი მართალია, გერმანელი ხალხის შრომისოყვარეობასა და შრომის დისციპლინას ეფუძნებოდა, მაგრამ ქართველებსაც აქვს ეს თვისებები. ამით გერმანელებმა მიაღწიეს იმას, რომ 3 წელიწადში (1949-1951 წწ.) არა მარტო მთლიანად დააკმაყოფილეს საკუთარი წარმოების პროდუქტებით ქვეყნის მოთხოვნილება და შიმშილისაგან იხსნეს გერმანელი ხალხი, არამედ მსოფლიო ბაზრებზეც გაიტანეს სავაჭროდ, ვალუტის შემოტანის წყაროდაც აქციეს.

მსოფლიოს ისტორიაში ასეთი წინსვლის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, პოლონეთი, ისრაელი, პოლანდია და სხვ. ამ ქვეყნებმა მოკლე პერიოდში მიაღწიეს წარმატებებს მხოლოდ მაღალნაყოფიერი შრომისა და სწორი აგრარული პოლიტიკის კურსის გატარებით. საქართველოს თავისუფლად შეუძლია დააკმაყოფილოს თავისი ხალხის მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე.

საქართველოს დღეს არც ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული და არც სრულფასოვანი ეკონომიკური მართვის სისტემები გააჩნია. არა და მისი სრულყოფა დროის მოკლე პერიოდში დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა და არ ითხოვს ზედმეტ კაპიტალურ დაბანდებას. ამ ეტაპზე საჭიროა, კარგად იქნეს შეთანაწყობილი ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული და ეკონომიკური მართვის სისტემები, მართვის ზედმეტი რგოლების გამორიცხვით დაეუახლოვოთ წარმოება და რაციონალური მართვა ერთმანეთს. პირველ ყოვლისა საჭიროა საშემსრულებლო დისციპლინის აღდგენა და წესრიგის დამყარება აგრარული ეკონომიკის ყველა რგოლში. თუ არ შევქმნით მმართველობისათვის ამგვარ საჭირო პოლიტიკურ და სოციალურ გარემო პირობებს, ვერავითარ აღმაველობას ვერ მივაღწევთ.

აგრარული ეკონომიკის განვითარებაში უკანასკნელ წლებში მიღებულ დადებით შედეგებთან ერთად უნდა აღინიშნოს ის აშკარა ეკონომიკური წინააღმდეგობები და შეუსაბამობანი,

ნაკლოვანებები და გადაუწყვეტელი საკითხები, რომლებიც თვალნათლივ წარმოჩინდნენ სოფლის მეურნეობის რეფორმირების პროცესში. ესაა, პირველ რიგში, არსებითი შეუსაბამობა გადახდისუნარიან მოთხოვნასა და წარმოებას შორის, მოსახლეობასა და საქონელმწარმოებელთა შემოსავლებსა და რეალურ მოთხოვნილებათა დისბალანსი, გასაღებისა და გადასახდელების კრიზისი, მოგებისა და ინვესტიციების შემდგომი მცირე ზრდა და საბოლოო ჯამში, კვლავწარმოების პროცესის ნორმალური მსვლელობის რღვევა, წარმოების ეფექტიანობისა და ცხოვრების დონის დაცემა რეფორმის სასტარტო პერიოდთან შედარებით.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მძიმე ვითარების მიზეზია არა მარტო ეკონომიკური და საწარმოო ურთიერთკავშირის მოშლა, ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული და ეკონომიკური მართვის მეთოდების შეუსაბამებლობა, არამედ გარდამავალი პერიოდის სამეურნეო რეფორმებისათვის დასაბუთებული პროგრამის უქონლობა. აქედან გამომდინარე მრეწველობა და სოფლის მეურნეობა იმართება არა საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაბამისად, არამედ ამ პროცესებისაგან მოწყვეტით. სწორედ ამან განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის დაცემა. ეს მწვავე პროცესები თანამედროვე აგრარული პოლიტიკის გატარებით უნდა დაეძლიოთ. აგრარულ ეკონომიკას შეუძლია ამ ახალი კურსით გამოცოცხლდეს მხოლოდ ადგილებზე წარმოების აღორძინებისა და ბაზარზე სასაქონლო წარმოების გასვლით. ამიტომაც აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს.

ამდენად, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში შეიძლება მაღალი შედეგების მიღწევა. ამის საფუძველია აგრარულ სექტორში მომხდარი სიახლეები, კერძოდ:

- მოქალაქეთა კერძო საკუთრება მიწაზე, მასზე თავისუფალი საწარმოო ეკონომიკური ფუნქციონირება;
- სამომხმარებლო გასაღების ბაზრის არჩევის, პროდუქციის რეალიზაციისა და ფასების დაწესების თავისუფლება;
- მოქალაქეთა შემოსავლებისა და სოციალური პირობების

დაცვის სრულად უზრუნველმყოფი პირობები;

- თავისუფალი მეწარმეობის განვითარება და ქართული ცხოვრებისეული გარემოს შექმნა, ჩამოყალიბება.

უდავოა, რომ საქართველოში დღემდე გატარებულ არც ერთ რეფორმას არ ჰქონია ასეთი მყარი საფუძველი ნამდვილი მეურნეობრიობისათვის, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ აგრარული რეფორმა წარმატებით იქნება განხორციელებული.

ამრიგად, აგრარული პოლიტიკა თავისი შინაარსით წარმოადგენს ისეთ დონისძიებათა სისტემას, რომლის განხორციელებას შეუძლია დაძლიოს ქვეყანაში არსებული მწვავე აგრარული კრიზისი და შექმნას რეალური პირობები სასურსათო პრობლემის გადაჭრის, მრეწველობის ნედლეულით მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს აგრარულ ეკონომიკაში ვერანაირი კონცეფცია ვერ იმუშავებს თუ არ იქნება სახელმწიფოებრივი წესრიგი ცხოვრების ყველა სფეროში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭიროა პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნა. ეს სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა და ამაზე მთელი პასუხისმგებლობა მანვე უნდა იკისროს, ეს არის პრინციპული საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სწრაფ აღმავლობასთან, ამიტომაც ამ ეტაპზე საჭიროა ქვეყანაში აღვადგინოთ საშემსრულებლო დისციპლინა. მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ეკონომიკის რომელი სექტორები იქცევა მთავრობის ინვესტიციების და მოქმედების არეალად. საქართველოში გაბატონებულ მისწრაფებას პრივატიზაციისაკენ ჯერ კიდევ არ გადაუჭრია ეს პრობლემა. კერძოდ, განხორციელებული პრივატიზების შედეგად ჯერ კიდევ სრულად ვერ მოხერხდა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია.

ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მეურნეობის რომელ ტიპს აღმოუჩინოს მხარდაჭერა, დაადგინოს მიზანი და მიზნის მიღწევის გზები. მანვე უნდა მიიღოს პროგრამა, რომელიც შეეხება ეკონომიკის რეგულირებას, გადასახადებსა და გეგმურ ხარჯებს.

საბოლოო დასკვნა ასეთია: არსებული საწარმოო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე - ეკონომი-

კური ზრდა, ინვესტიციები, ენერგოშემცველები, საბრუნავი სახსრები, ნედლეულის წყაროები, სასურსათო ბაზრისათვის კეთილგარემო პირობები, გასაღების ბაზრები და სახელმწიფო რეგულირება. ასეთია, ჩვენი აზრით, აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის პრიორიტეტთა არასრული, მაგრამ აუცილებელი ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს აგრარული პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

მომავალში ქვეყნის აგრარული ეკონომიკის აღმავლობაში სწორმა აგრარულმა პოლიტიკამ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი. მთავარია, მისი მიმართულებების კომპლექსურად და მიზანმიმართულად გამოყენება.

### 3.3. აგრარული ბაზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ორგანულად არის დაკავშირებული აგრო-სამრეწველო, სასურსათო კომპლექსთან, რამდენადაც შექმნილ სიტუაციაში იგი ძირითადია სახალხო მეურნეობის ყველა სხვა სფეროში დასახული პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით. საქართველო აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა, სადაც ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტს ასკიძლევა, მასში დასაქმებულია ქვეყნის შრომითი რესურსების 52%-ზე მეტი და გამოყენებულია ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდების 56%. ამასთან, კვების მრეწველობა, რომელიც იძლევა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 42%-ზე მეტს, მთლიანად სოფლის მეურნეობის მიერ მიწოდებულ პროდუქციაზე მუშაობს.

მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ეროვნული მეურნეობის ფუნდამენტური დარგებია და მათ თანაფარდობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანი კვლავწარმოების ტემპები, პროპორციები, მრავალი სტრუქტურული პარამეტრები და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მიმართულებების სწორად განსაზღვრა.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარება, მისი მოძრაობა და წინსვლა, გადასვლა დაბალი ეტაპიდან უფრო მაღალ ეტაპზე ობიექტურ-ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს ექვემდებარება. მოძრაობის წინსვლითი ხასიათი არ არის ყოველთ-

ვის დამოკიდებული ჩვენს სუბიექტურ ნებაზე. აგრარული სტრუქტურები დღეს დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც, როგორც წესი აგრარული სექტორის ხვედრითი წილი მაღალია, მაგრამ სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების დონე ბევრად დაბალი. ინდუსტრიულ ქვეყნებში აგრარული სექტორის ხვედრითი წილი თანდათანობით მცირდება, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების აბსოლუტური მოცულობა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მატება, სწრაფად იზრდება და ბევრად უფრო მაღალ დონეს აღწევს, ვიდრე ეს აგრარულ ქვეყნებშია. ამიტომ საქართველო არ ჩაითვლება ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. მართალია, საქართველო ოდითგანვე იყო აგრარული ქვეყანა და მას დღესაც აქვს ინდუსტრიული განვითარების ნიშნები, მაგრამ მაინც რჩება აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის მთავარი თავისებურება ის არის, რომ ქვეყანაში მძლავრობს აგრარული კრიზისი და მისი დაძლევის გზები სწორედ მის წიაღში უნდა ვეძიოთ. ეს თეზისი, არსებითად აქსიომატურია, იგი არ საჭიროებს ვრცელ არგუმენტაციას, და თუ მასზე ლაპარაკი გვიხდება მხოლოდ იმიტომ, რომ პერსპექტივაში ხშირად მას სათანადოდ არ აფასებენ და იგნორირებენ კიდევ.

ყველა რევოლუციური პროგრამის, მათ შორის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის რეალობის საფუძველს წარმოადგენს ამ პროგრამის სოციალური აღთქმა. აქ მთავარი როლი ასკ-ის განვითარებას ენიჭება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასურსათო პრობლემის გადაჭრა. გასაგებია, რომ სურსათით მომარაგება უშუალოდ მოქმედებს ადამიანთა განწყობაზე, მათ შრომის ნაყოფიერებაზე, რაც ყველა სხვა პირობის არსებობის დროსაც კი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. საქმე იმაშია, რომ იგი სამომხმარებლო ბაზრის აკკარგიანობას განსაზღვრავს. ამიტომ საქართველოს ასკ-ის განვითარება ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაიწყო არა უშუალოდ ასკ-ის ძირეული რგოლებიდან, არამედ ზედა ეშე-

ლონებიდან. არა და, ჩვენი ქვეყნის განვითარების დონიდან გამომდინარე, იგი სწორედ სასურსათო კომპლექსის რეორგანიზაციით (რესტრუქტურისაციით) უნდა დაწყებულიყო. სასურსათო პრობლემის გადაჭრა აგროკომპლექსის ეკონომიკის განვითარებით უნდა დაეწყოთ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხისადმი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება აიხსნება იმ დიდი როლით, რომელსაც სოფლის მეურნეობა ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში. კერძოდ, მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების ძირითადი მწარმოებელია, ამასთან ნედლეულს აწვდის მრეწველობის მთელ რიგ დარგებს, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს უშვებენ. ჩვენთვის გასათვალისწინებელია, ის მხარეც, რომ ქვეყანაში წარმოებული მრეწველობის მთელი პროდუქციის თითქმის ნახევარს (42-45%) იძლევა კვების მრეწველობა. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც აკლია ყველა ძირითადი სასურსათო პროდუქტი.

ასეთ პირობებში, გარდაქმნა აგრარული სექტორის აღორძინებით უნდა დაეწყოთ, რადგანაც აგრარულ კრიზისს ისეთი სახე აქვს მიღებული, რომ ყოვლისმომცველი აღდგენითი პროგრამის სწრაფ მიღებას და განხორციელებას უნდა მიენიჭოს გადაამწყვეტი უპირატესობა. საჭიროა მივიღოთ ექსტრემალური გადაწყვეტილება, რომ უფრო სწრაფად დავძლიოთ კრიზისული სიტუაცია, მნიშვნელოვნად შევამციროთ წარმოების დაცემის ტემპი და შედარებით მოკლე ვადაში გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრების დონის მაჩვენებლები. უპირველეს ყოვლისა, ასეთ გზად გვესახება ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, რომელიც არ ითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს და შედეგიც უმოკლეს დროში მიიღება. ამისათვის წინ უნდა წამოვიწყოთ სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგები, თანაც არა ყველა ერთად, არამედ 3 ან 4. ეს ის დარგებია, რომლებიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების საფუძველთა საფუძველს. უპირველეს ყოვლისა, ესაა: მარცვლეული, შემდეგ მეორე პურად წოდებული - კარტოფილი, მესამე და მეოთხე ადამიანის სასიცოცხლო პროცესებისათვის

აუცილებელი პროდუქტი - ბოსტნეული და მცენარეული ზეთი. შემდგომ ისახება პერსპექტივები მეცხოველეობის პროდუქტების (ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხის) წარმოების დაჩქარებული ზრდისათვის. მეცხოველეობის პროდუქტებიდან უპირველეს ყოვლისა ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებას უნდა მიენიჭოს უპირატესობანი. მეფრინველეობა სწრაფმწიფადი ღარგია და უმოკლეს დროში შეავსებს სასურსათო დეფიციტს.

დავიწყეთ მარცვლეულით. მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დონე იყო, არის და ყოველთვის დარჩება ნებისმიერი ქვეყნის სიმდიდრის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებლად. მარცვლეული, როგორც მთავარი სასურსათო პროდუქტი სულ უფრო მეტად ხდება დღეს პოლიტიკური ზემოქმედების იარაღი განვითარებული ქვეყნების ხელში (თურქეთიც კი ასეთ პოლიტიკას ატარებს დღეს ჩვენს მიმართ). ამ ფონზე განუსაზღვრელად დიდია მარცვლეულის მნიშვნელობა ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნების საქმეში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაში ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა კლების ტენდენცია და შესაბამისად მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის ფასის მატება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარცვლეულის წარმოების ზრდის ტემპი დიდად ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, შესაბამისი დასკვნის გამოტანა სიძნელეს არ წარმოადგენს. მარცვლეულის საკუთარი წარმოების უკუღვებელყოფა და კურსის აღება გარედან მის შემოტანაზე (რასაც დღეს სოკიერთი აგროეკონომისტი არასწორად აყენებს), მოსახლეობის პურით უზრუნველყოფაში ყოველთვის გამოიწვევს სერიოზულ სიძნელებებს, მისგან გამომდინარე ნეგატიური მოვლენებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში სასურსათო უშიშროების პრობლემა განიხილება, როგორც საერთაშორისო ისე ნაციონალურ ასპექტში და ის მარცვლის წარმოების დონეს უკავშირდება. ამ მხრივ გამოიყოფა საერთაშორისო სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი მაჩვენებელი. მარცვლეულის მსოფლიო გარდამავალი მარაგები, რომელიც ახალი მოსავლის აღებამდე ინახება და მარცვლეულის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე. უსაფრთხოდ ითვლება მსოფლიოს 60 დღის



მოთხოვნის შესაბამისი მარცვლის მარაგები, რაც მთელი მოთხოვნის - 17 %-ია. ცალკეული ქვეყნების მიხედვით სასურსათო უშიშროების კრიტერიუმად ითვლება მარცვლეულზე მთელი მოთხოვნის 80%-ის (ჩვენი ეს ციფრი - 20%-ია) საკუთარი წარმოების ხარჯზე დაკმაყოფილება. ამიტომაც საჭირო ავამაღლოთ საკუთარი წარმოებით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონე. ჩვენი შესწავლით იგი შეიძლება აყვანილ იქნეს - 80%-მდე მაინც.

ამრიგად, ყოველი ერის, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მარცვლეულის საკუთარი მეურნეობისათვის მკვიდრი ბაზის შექმნა. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს გააჩნია შესაბამისი რესურსები და ბაზა. ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი სტრატეგიული შეცდომა სწორედ მარცვლეულის მეურნეობის განუვითარებლობაა, „ჩვენ მართლ იმას უნდა ვეცადოთ, - პური იმდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს“ (ილია ჭავჭავაძე).

საქართველოში პურ-პროდუქტების სისტემის რეფორმისათვის მოსამზადებელი მუშაობა 1994 წელს დაიწყო. მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი მკაცრად მოითხოვდა და ცხოვრებაშიც დაგვანახა რეფორმის საჭიროება. გარდაუვალი შეიქნა დარგის პრივატიზაცია და პურ-პროდუქტების თავისუფალ ფასებზე გადასვლა. იყო მოსაზრება ერთი ხელის დაკვრით მომხდარიყო დარგის სრული პრივატიზაცია და ფასების ლიბერალიზაცია, ამ საკითხს მკვეთრად აყენებდა მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი, მხარს უჭერდნენ საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებიც. ჩვენი პოზიცია (ავტორის) აქ განსხვავებული იყო. საკითხის ასე გადაჭრას შეიძლება სოციალური აფეთქებაც გამოეწვია. 1994-1995 წლებში ძალიან დაბალი იყო მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფა. ქვეყანაში საშუალო თვიური ხელფასი 10-15 ლარის ფარგლებში იყო. პური იყიდებოდა 0,5-0,6 ლარად, ხოლო მისი თვითღირებულება 1,20 ლარი იყო. განსხვავებას სახელმწიფო ფარავდა. ამასთან, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება ბოლოქრობდა. ვფიქრობთ, მოინახა სწორი გადაწყვეტილება და შემუშავდა პრივატიზაციისა და ფასების ლიბე-

რადიზაციის სამეტაპიანი გეგმა-პროექტი, რის შედეგადაც დამაკმაყოფილებლად წარიმართა პურპროდუქტების სისტემის პრივატიზაცია (1996 წლის აპრილი).

საქართველო მარცვლეულით, შაქრით, ზეთით სრულად ვერ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, მაგრამ სასურსათო მარცვლეულის საკმაო ოდენობით წარმოება კი შესაძლებელიც არის და აუცილებელიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის არსებული სისტემებით, არც ერთი რაიონი არ არის სპეციალიზაციის სქემით მიჩნეული მარცვლეულის მიმართულებით, რაც შეცდომაა, იგი უნდა გასწორდეს. არსებულ სქემაში უნდა შევიდეს შესწორებები და გამოიყოს მარცვლეულის მიმართულების ერთ-ერთ რეგიონად დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონები აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აბაშის, ხობისა და სხვა რაიონები. ადრინდელი სქემითაც ეს ასე იყო მიჩნეული. ამისათვის საჭიროა დამატებითი ფართობების გამონახვა და მოსაველიანობის ამძღვლება. მარცვლეულის სათვის ფართობების გადიდებას მრავალი მეცნიერი სპეციალისტი უკავშირებს მრავალწლიანი ნარგავების ნაწილობრივ, ან მკვეთრად შემცირებას. ამ უკანასკნელს ითხოვდნენ ევროგაერთიანების ექსპერტებიც.

ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული აზრი გვაქვს გამოკვეთილი. ყოველწლიურად აუცილებლად საჭირო მარცვლის, ხორცის, რძისა და შაქრის შემოსატანად ჩვენგან გარკვეული რაოდენობით უნდა გატანილიყო ჩაის, ციტრუსების, ხილ-ბოსტნეულის, ყურძნის, ეთერზეთების პროდუქციის ნაწარმი. ასეთ პირობებში მრავალწლიანი ნარგავების მკვეთრი შემცირება შეუძლებელი იყო. მაგრამ, ამასთან არც ის შეიძლება, რომ მრავალწლიანი ნარგავებით დღეს დაკავებული მარცვლეულისა და მზესუმზირის ადრინდელი ფართობები ისევ არ დაუბრუნდეს აღნიშნულ კულტურებს. შეუფერებელ ადგილებზე გაშენებული ვაზის, ხეხილისა და სხვა გამეჩხერებული ნარგავები უნდა ამოიძირკვოს და მის ადგილზე მარცვლეული, მზესუმზირა და შაქრის ჭარხალი უნდა მოვიყვანოთ, ამიტომაც აუცილებელი ხდება დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, ზესტაფონის, თერჯოლის,

ხაშურის, გორის, ქარელის, კასპის, მთელ რიგ სხვა რაიონებში ადრე მარცვლეულით, მწესუმწირით, შაქრის ჭარხლით დაკავებული ვაკე სამექანიზაციო ფართობებზე გაშენებული ყველა სახის ხეხილისა და ვაზის ნარგავებისაგან, შესაძლებლობის მიხედვით თანდათანობით გამოთავისუფლება და განაცვლება მათთვის უფრო ხელსაყრელ სამხრეთის მცირე დაქანების ფერდობებზე, რომლებიც დღეს არ არის ათვისებული. უამისოდ, მარტო სათიბ-საძოვრებში, ბუჩქნარებსა და ნასვენ მიწებში გამოძებნილ დამატებით ფართობებზე არ მოხერხდება აუცილებელი თესლბრუნვების შემოღება და დახერხება, მის საფუძველზე კი მარცვლის, მწესუმწირისა და შაქრის ჭარხლის მაღალი და თანაც, მყარი მოსავლის მიღება.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და აქ ყოველი ჰექტარი სახნავი მიწის არა თუ დანაკარგი, არამედ მოცდენაც კი საგანგაშო მდომარეობად უნდა იქნეს მიჩნეული, სახნავ მიწებს დღემდე უდიერად ვეპყრობოდით და კიდევაც იწვინა ქართველმა ხალხმა ამის პირველი შედეგები, როცა არ გაგვანია საკმარისი მარცვალი, კარტოფილი, ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქტები. ჩვენს ქვეყანასთან შედარებით, მაგალითად, ნიდერლანდებში, აგრეთვე ისრაელში, იაპონიაში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში მიწით უზრუნველყოფის დონე გაცილებით დაბალია, მაგრამ ნაყოფიერების მიხედვით ერთერთი მოწინავე ადგილი უკავიათ მსოფლიოში. მიწათმოქმედების კულტურის ამალღებით მისი გამოსწორება თავისუფლად შეიძლება და იგი ჩვენ უნდა ავითვისოთ.

ამასთან, მარცვლეულის წარმოებისათვის ჩვენს ქვეყანას ბევრად უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები გააჩნია. საქართველო ხომ მსოფლიოში ხორბლის წარმოშობის ისტორიულ ცენტრად ითვლება და მისი მოვლა-მოყვანის ძალზე მდიდარი ტრადიციები გაგვანია. „ჩვენ ქართველები პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ“ (ილია ჭავჭავაძე).

მეცნიერული მიღწევებისა და ტექნიკური პროგრესის მიხედვით ნათლად ჩანს ადამიანის მზარდი შემოქმედება ბუნებაზე. თუ ამას განვიხილავთ, როგორც ადამიანის შესაძლებლობების ზრდას იმოქმედოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფაზე, მაშინ ეს უდავო ფაქტია, რადგან მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესი ძალზე დიდ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე. საქართველოში ეს შესაძლებლობები სრულად უნდა იქნეს გამოყენებული.

მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ამ კულტურათა ნათესი ფართობის სტრუქტურა 2000-2005 წლებისათვის შეიძლება ასეთნაირად წარმოვიდგინოთ: სასურსათო ხორბალი და სიმინდი 250,0 ათას ჰექტარზე, საფურაჟე მარცვალი (სიმინდი, ქერი, შვრია) – 100 ათას ჰექტარზე. ამ ფართობებზე შესაძლებელია 1,2 მლნ. ტონა მარცვლის წარმოება, თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის საშუალო 25-30 ცენტნერის და სამარცვლე სიმინდის 35-40 ცენტნერის პირობებში (საფურაჟე მარცვალი – 35 ც). 2005 წლისათვის მარცვლეულის ქვეშ ფართობების გაზრდა შესაძლებელია 400 ათას ჰა-მდე. ამასთან, მარცვლეულის წარმოება ამ წლებში შეიძლება გაიზარდოს შესაბამისად 1,6-1,8 მლნ. ტონამდე.

მარცვლეული მეურნეობის განვითარების დასახული ამოცანის გადასაწყვეტად იმავდროულად აუცილებლად მიგვაჩნია აღდგეს და გაფართოვდეს სარწყავი მიწების ფართობები.

ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული სამედიოორაციო სისტემების რეკონსტრუქციას, მათ ტექნიკურ მოდერნიზაციას და წყალუზრუნველყოფას მარეგულირებელი წყალსაცავების გამოყენებით, მიწების გაკულტურებას და მათი ბიოლოგიური ნაყოფიერების ამაღლებას, სამედიოორაციო ობიექტებზე ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებას. რეკონსტრუქციას მოითხოვს სარწყავი და დაშრობითი სისტემების 60-80%, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ უცხოური კრედიტები, გრანტები და სხვ.

ჩვენ მარცვლეულის პრობლემაზე რამდენადმე დეტალურად იმიტომ შევჩერდით, რომ თუ ეს პრობლემა გადავწყვიტეთ და ქვეყანაში მარცვლეულის სასურსათო ფონდი შევქმენით, ეს იმას ნიშნავს, რომ გვექნება ხორცი, რძე, კვერცხი და ყველა სასურსათო პროდუქტი. ერთი სიტყვით, მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტაზე დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში ყველა სხვა დარგის განვითარება. ეს პრობლემა პირველი რიგის სახელმწიფო პროგრამა უნდა გავხადოთ და ინდიკატორული გეგმის პროექტში უნდა შევიტანოთ მისი გადაწყ-

ყველა 3-5 წელზე ნაკლები პერიოდით.

მარცვლეულთან ერთად სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს მეორე პურად წოდებული კარტოფილი, მით უფრო, რომ მისი მოყვანა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება და არ მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით კაპიტალურ დაბანდებას. მეკარტოფილეობაც, ასევე პრიორიტეტული დარგია, რადგან იგი ჩვენთვის არის პურისა და პურის პროდუქტების დანაკლისის შევსების ძირითადი წყარო. მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მარცვლეულის უკმა-რისობას განიცდიან, მის შევსებას ახდენენ კარტოფილით.

საქართველო თავის მოთხოვნილებას კარტოფილით, რომ ვერ აკმაყოფილებს, ეს მხოლოდ წარმოების გაძლიერების, მართვის უკიდურესად დაბალი დონის ბრალია. ამას დაემატა ისიც, რომ წალკის, ნინოწმინდის, ახალქალაქისა და დმანისის რაიონებში მოწეული კარტოფილის მოსავლის გადმოზიდვა ამ ორი, სამი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა ტრანსპორტის, საწვავ-საცხების უქონლობის, უამინდობის და სხვა ორგანიზაციული მხარეების მოუგვარებლობის გამო.

ქვეყანაში სასურსათო და სათესლე კარტოფილის პრობლემის გადასაჭრელად უკვე 2003 წლისათვის შეიძლება მისი წარმოების გაზრდა 450-500 ათას ტონამდე. სათანადო გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ სასურსათო კარტოფილისა და მისთვის საჭირო აუცილებელი სათესლე კარტოფილის მოსაყვანად საჭიროა სულ მცირე 20-25 ათასი ჰა და 180-200 ც-მდე მოსავლიანობის ამაღლება. ეს საშუალებას მოგვცემს დიდად შევამციროთ პურზე და პურპროდუქტებზე ამჟამად არსებული მწვავე დეფიციტი.

შაქრისა და მცენარეული ზეთის მოხმარებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მომავალში პრიორიტეტულ კულტურათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს შაქრის ჭარხალი და მზესუშხირა. სამომავლოდ საჭირო იქნება მათი წარმოების გადიდებისათვის ეკონომიკურად დასაბუთებული ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება. ჩვენი საორიენტაციო გათვლით, პერსპექტივაში (2000-2005 წწ.) საქართველოში შაქრის ჭარხალი შეიძლება დაითესოს 5500 ჰა-ზე, სადაც 400 ც მოსავლიანობის პირობებში წარმოებული იქნება 220 ათასი ტ.

შაქრის ჭარხალი. შაქრის რესურსების გადიდების საქმეში გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე ამ დარგის მეცნიერთა მიერ რეკომენდებული სორგო (კახეთის რეგიონში) და სტევია (დასავლეთ საქართველოში), რომლის ბადაგი შესანიშნავი ნედლეულია კვების მრეწველობისათვის.

რაც შეეხება მცენარეულ ზეთს, მასზე მოსახლეობის წლიური მოთხოვნილება 40-50 ათას ტონას შეადგენს. იმისათვის, რომ მოსახლეობა დაკმაყოფილდეს საკუთარი წარმოების მცენარეული ზეთით საჭიროა მზესუმზირის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდოს 140 ათას ტონამდე.

აგროკლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მზესუმზირის გაადგილება შესაძლებელია მხოლოდ კახეთისა და ქართლის რიგ რაიონებში, სადაც ნათესების ტრადიციულად დამკვიდრებული სტრუქტურისა და ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში მზესუმზირის წარმოების ამ დონეზე გაზრდის შესაძლებლობა გამოირიცხებულია. ანალიზით დადგინდა, რომ უახლოეს მომავალში უმტკივნეულოდ შეიძლება მზესუმზირის ნათესები ავიდეს 15 ათას ჰა-მდე, საშუალო პექტრობრივი მოსავლიანობა 20 ც-მდე, ხოლო მთლიანი მოსავალი 30 ათას ტონამდე.

ზეთის რესურსების გასაზრდებლად, მზესუმზირის გარდა, გამოყენებული უნდა იქნეს სოია, სიმინდი, რაფსი. მნიშვნელოვანი ადგილი სოიას უნდა დაეთმოს, როგორც საუკეთესო ცილოვან საკვებს პირუტყვისათვის და კვების მრეწველობისათვის. უახლოეს მომავალში სოიას ნათესი ფართობები შეიძლება გაიზარდოს 10-15 ათას ჰა-მდე. მისი მოსავლიანობა 20 ც-მდე, მთელი წარმოება კი 20-30 ათას ტონამდე. დეფიციტის დასაფარავად ყოველწლიურად დაგეგმირდება 20-22 ათასი ტ. მცენარეული ზეთის შემოტანა. შემდგომ პერიოდში გავავიდეთ სოიას, სიმინდის, რაფსის ნათესი ფართობები და ამით თანდათანობით შევკვეცოთ დეფიციტის მოცულობა, ხოლო შემდგომ მთლიანად ადგილზე მოწეული ნედლეულით მოვახდინოთ მოთხოვნილების დაფარვა, დარგებისა და კულტურების კარგად შეთანაწყობისა და მიწის შესაძლებლობების სრულად გამოყენებით დარგის გაძლიერების კულტურის ამძლეებით.

უახლოეს მომავალში (2000-2005 წწ.) ქვეყნის სასურსათო

პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ბოსტნეულის წარმოების გადიდებას ეკუთვნის. საქართველოს ყველა რაიონში შესაძლებელია რამდენიმე სახის ბოსტნეულის მაღალი მოსავლის მიღება და თუ მოსახლეობის მოთხოვნილება ბოსტნეულზე არ კმაყოფილდება, იგი წარმოების მართვის, გაძღოლის უკიდურესად დაბალ დონეზე მიუთითებს.

მეცნიერთა და სპეციალისტთა გაანგარიშებით შესაძლებელია 600-700 ათასი ტონა ბოსტნეულის წარმოება, რომელიც საკმარისი იქნება ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აღნიშნულის მისაღწევად საჭირო იქნება ბოსტნეულის ნათესი ფართობები გადიდდეს 40 ათას ჰა-მდე და თითოეულ ჰა-ზე საშუალოდ მიღებული იქნეს 180 ცენტნერი ბოსტნეული. ზოგ რაიონში ბოსტნეულის ორი და მეტი მოსავალი შეიძლება მივიღოთ ფართობის ერთეულიდან წლის განმავლობაში.

აუცილებელია ბოსტნეულის საჭირო მოცულობით წარმოება შევიდეს ინდიკატორული გეგმის პროექტში იმის გათვალისწინებით, რომ რაიონებში აწარმოოს ბოსტნეულის ის სახე, რომლისთვისაც ხელსაყრელია ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობები.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ქვეყნის აგრარული კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭიროა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, სხვანაირად ძნელია რაიმე წარმატებას მივაღწიოთ. არ შეიძლება მათი ცალმხრივი რეგულირება, რომელსაც ადგილი აქონდა ადრე, ჩვენს სინამდვილეში. ამასთან, სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის ისეთი დარგია, რომელსაც „არ უყვარს“ ხშირი რეორგანიზაცია. არა და ასეთი რეორგანიზაცია მარტო უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე მოხდა. ამან ფაქტიურად მოშალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვა.

პირდაპირ უნდა ითქვას ისიც, რომ ახლანდელი სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე გვეკარნახობს სასურსათო რესურსების ზრდის უფრო სწრაფ ტემპებს, ვიდრე ჩვენს ქვეყანას ოდესმე აქონია. ამასთან უნდა შევქმნათ მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი, რომელიც მკვეთრად აამაღლებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებს, უფრო

ეფექტიანად ჩართავს სამეურნეო ბრუნვაში მთელ არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებს.

საქართველოში უცხოური კრედიტების გამოყენების საკითხები ბადებს მათი გამოყენების ეფექტიანობის პრობლემას. ჩვენი აზრით, იგი პირველ რიგში უნდა მოხმარდეს სასურსათო პრობლემის ადგილზე გადაწყვეტის მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, ახალი ტექნოლოგიების, საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს, საკრედიტო თანხის რა ნაწილი დაიხარჯება პირველ რიგში სასურსათო პრობლემის გადაჭრის საჭიროებისათვის. ამიტომაც კრედიტების ამ მიზნით გამოყენება უნდა მოხდეს მიზანმიმართულად და მისი რეალიზაციის აუცილებელი საჭიროებისათვის. ჩვენი აზრით, კრედიტების ძირითადი ნაწილი უნდა მოხმარდეს ტექნიკის, ტექნოლოგიის, ნედლეულის და საჭირო მასალების შესყიდვას, კრედიტების მიზნობრივი გამოყენება კი დააჩქარებას სასურსათო პრობლემის გადაჭრას. აქვე გვინდა შევეხოთ ერთობლივი საწარმოების შექმნის საკითხსაც. ეს საწარმოები ისეთნაირად უნდა შეექმნათ, რომ მან ხელი შეუწყოს სასურსათო პრობლემის ადგილებზე გადაწყვეტას, მუშა ხელის დასაქმებას, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ზრდას.

### 3.4. აბრეზინების რამდენიმე სოფიერთი ასამბლეა

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა ირდევია მრავალი ფაქტორის ზეგავლენით (მოსავლიანი, ან, პირიქით, მოუსავლიანი წლები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ.), რის გამოც ფასები მკვეთრად იცვლება. ამ შემთხვევაში ფასი, როგორც წარმოების სტიმულატორი, ვეღარ ასრულებს დაკისრებულ როლს, რადგან პროდუქციის მწარმოებლები ორიენტაციას კარგავენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი და იგივე პროდუქციის ფასები ხშირად და დიდი ამპლიტუდით იცვლება.

როგორ უნდა იქნეს შენარჩუნებული ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა წონასწორობაში (თანაც ჩვენს ბაზარზე, სადაც ძირითადი მომწოდებლები წვრილი



მესაკუთრენი არიან) და როგორ მიენიჭოს ფასების ფაქტორს დაკისრებული როლი? უფრო ზუსტად, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ბაზარზე სტაბილური ფასი, რომელიც მწარმოებელს უბიძგებს წარმოების გადიდებისაკენ და ამავე დროს, მომხმარებლის ინტერესებსაც დაიცავს? აღვნიშნავთ, რომ სწორედ აქ უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ეკონომიკის სფეროში დაკისრებული მარეგულირებელი როლი (ეფექტიანობა, სამართლიანობა, სტაბილურობა) და მიაღწიოს იმ ფუნქციების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას, ბაზრის მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვას და ქვეყანაში ეკონომიკურ სტაბილურობას. ამასთან, ფრიად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური სიტუაციის კონტროლი და სხვა ის ამოცანები, რომელთა რეალიზაცია საბოლოო ანგარიშით საბაზრო ეკონომიკის ერთიანი ორგანიზმის ცხოველმყოფელობას უზრუნველყოფენ. სახელმწიფო საბაზრო ურთიერთობებს არეგულირებს პირველ ყოვლისა, ფინანსური, საგადასახადო და საბაზო მექანიზმების საშუალებით, იგი ზემოქმედებს როგორც წარმოების განვითარებაზე, ისე დასაქმებისა და საბოლოო ანგარიშით, ინფლაციის დონეზე. ერთგვარად ავსებს საბაზრო მექანიზმის ხარვეზებს საქონელსა და მომსახურებაზე ფასწარმოქმნისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საკითხში, რაც მთავარია, ახორციელებს წინასწარ შექმნილებულ და დეკლარირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. ამ მიზნით სახელმწიფომ კანონების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყოს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მეურნეობის განვითარებას, მხარი დაუჭიროს სასურსათო კომპლექსში საქონელმწარმოებლებს, კერძოდ, დანერგოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საგაზაფხულო-საშემოდგომო სამუშაოებისა და მოსავლის აღების პერიოდში აუცილებელი ხარჯების დიფერენცირებული დაკრედიტება, სოფლად საბანკო სესხების გაცემა-დაფარვის პირობები და მექანიზმი, ხელი შეუწყოს ურთიერთდახმარების საღაროების ჩამოყალიბებას, შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირების ხელშემწყობი საგადასახადო სისტემა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათ-

ვის რისკის დაზღვევის მექანიზმის შემოღებას, წარმოების დანახარჯების ნაწილობრივი კომპენსაციისა და გარანტირებული ფასების (გარანტირებული მოგების მიღებისა და კვლავ-წარმოებისათვის), საკრედიტო და საგადასახადო შეღავათების შემოღებას იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებისათვის, რომლებიც თავიანთ სახსრებს აბანდებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ არის მხოლოდ კერძო საკუთრებაზე გადასვლა, ფასების ქაოსური ზრდა, თვითნებობა და განუკითხაობა – პირიქით იგი გულისხმობს დემოკრატიულ მართვას, კანონისა და კანონიერების უზენაესობას, ადამიანთა უფლებების ხელშეუხებლობას, მიზანმიმართული შრომის თავისუფლებასა და დაცვას. ხელისუფლებამ უნდა შეძლოს ეკონომიკურ ურთიერთობათა ოპტიმალური რეგულირება მიზნობრივად შემუშავებული პროგრამების განხორციელებით. სამწუხაროდ ასეთი პროგრამები (ერთეული გამონაკლისის გარდა) ჩვენთან არ დამუშავებულა.

დღემდე არ გაგვიჩნია სასურსათო პროდუქტების გარკვეული (აუცილებელი) ნაწილის ხელში თავმოყრის, ამ პროდუქტთა რესურსების ფორმირებისა და განაწილების ერთიანი სისტემა. საჭიროა მისი შექმნა.

საქართველოს აგრარული სექტორი საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას (რეგულირებას), რადგანაც საკუთარი რესურსებით მისი პოტენციალის სრულ ამოქმედებას რამდენიმე ათეული წელი შეიძლება დასჭირდეს, ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ საქმე ეხება სექტორს, რომელიც დღეს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკის ფორმას და შინაარსს (აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოს სტატუსს). ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები და საწარმოო პოტენციალი არ შეესაბამება ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ სტრუქტურას და ამდენად, ის არ შეიძლება მომავალში დღევანდელ დონეზე დარჩეს. საწარმოო ძალთა, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე სოფლად მოსახლეობის რიცხვი თანდათან შემცირდება და იგი განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელ დარგებში – მრეწვე-

ლობაში, ტრანსპორტში, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სფეროში გადაინაცვლებს. ამ პერიოდისათვის საქართველოს უკვე ექნება ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსი (განვითარებული სოფლის მეურნეობით) და ქვეყნის გეოპოლიტიკური პირობების შესატყვისი სატრანზიტო, საზღვაო, საგზაო, საბანკო, ნავთობ და გაზსადენი კომუნიკაციების, საკურორტო და ტურიზმის მომსახურების კარგად ორგანიზებული ინფრასტრუქტურა.

სასურსათო პრობლემების გადაწყვეტა პრაქტიკულად ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. ამ მხრივ გასათვალისწინებელია გფრ-ს კანცლერის, *კონრად ადენაუერის* სამთავრობო განცხადება 1949 წელს გერმანიის სურსათის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ამოცანების განსაზღვრისას: „უფრო მეტად ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება და განთავისუფლება ზედმეტი ხარჯებისაგან. ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო სასურსათო პროდუქტების 50% და თუ გერმანიის ეკონომიკას სურს 1952 წლამდე მიაღწიოს გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, უნდა მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შემცირდეს სურსათისათვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა“. საკუთარი წარმოების სასურსათო უზრუნველყოფა თუ ასე სავალდებულო იყო გერმანიისათვის, მით უმეტეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის. იმ კონკრეტულ ვითარებაში, როცა ქვეყანას არ გააჩნია საკმაო რაოდენობით ვალუტა, სურსათის დეფიციტის შესავსებად ობიექტურად აუცილებელი ხდება სასურსათო დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება და ადგილობრივი წარმოების საკვები პროდუქტებით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა. ეს აქსიომის დონეზე აყვანილი დებულებაა და ამდენად, არ არის საკამათო. სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ ამ დებულების განხორციელების გზები და საშუალებები, კერძოდ რა ეკონომიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებებით მივაღწიოთ კვების პროდუქტების ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდებას, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში მემცენარეობისა და

მეცხოველეობის პროდუქციის ოპტიმალურ თანაფარდობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, მთისა და მთისწინების მოსახლეობის ისტორიული ფუნქციის აღდგენის ინტერესების გათვალისწინებით.

სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება, ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისათვის საჭირო პროდუქტების წარმოებას. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ შვეიცარიის თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ უ. პერმანსტროფერის აზრი „ყველაზე არსებითი ის არის, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაც და მათ შორის სოფლის მეურნეობაც ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ყველა რგოლი მოვალეა განუხრებლად ასრულებდეს მას. მაგალითად ავიღოთ თუნდაც ე.წ. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები. ამ ბოლო ხანს აქ მკაცრად გამოიკვეთა ერთი მეტად შემაშფოთებელი ტენდენცია, რადაც უნდა დაუჯდეს მოიპოვონ, რაც შეიძლება მეტი ვალუტა. ასეთივე პრინციპი მოქმედებს თქვენთანაც (საქართველოში - პ.კ.) და ყოფილ სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებშიც. ასეთი სტრატეგია იმთავითვე მცდარია. ვალუტის მოპოვება ყველა ნორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის ე.წ. მეორადი ამოცანაა და ასეც უნდა იყოს. თუ გსურთ რაიმე არსებითს მიაღწიოთ“. ვფიქრობთ ეს აზრი ჩვენთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელისა და სპეციალისტის მცდარი აზრი, რომლებიც დღეს ქვეყანაში შექმნილ პირობებშიც კი იმეორებენ „ერთიანი საკავშირო“ სისტემის პოსტულატებს და სამხრეთული კულტურების უპირატესი განვითარების პიპოთეზას გვთავაზობენ.

როგორ უნდა დაინტერესდეს მწარმოებელი სწორედ იმ პროდუქტის წარმოებით, რომელიც განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე სჭირდება საზოგადოებას და რომელიც უფრო

ეკონომიკური და ხელსაყრელია ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშით, თვით მწარმოებლისათვისაც?

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, თუმცა მიდგომა პრაქტიკულად ყველგან ერთნაირია. კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკა ბევრ ქვეყანაში კანონის რანგშია აყვანილი და, როგორც წესი, გამიზნულია ხანგრძლივი პერიოდისათვის. ჩვენში ასეთი პოლიტიკა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ჯერ არ არის შემუშავებული და, ბუნებრივია, არც ხორციელდება. პირიქით, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უკანასკნელ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ისეთი პარიტეტი ჩამოყალიბდა, რომელიც ამ უკანასკნელის სასარგებლოა. არაფერს ვამბობთ სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოუკვარებლობაზე, ჯიშიანი თესლითა და პირუტყვით უზრუნველყოფაზე და სხვა იმ საკითხებზე, რომლებიც ნორმალურ პირობებში სახელმწიფოს ხელშეწყობით უნდა რეგულირდებოდეს.

შექმნილ სიტუაციაში, საჭიროდ მიგვაჩნია უახლოესი ხუთწლიანი პერიოდისათვის სასურსათო დარგების განვითარების ხელშეწყობი პირობების შემუშავება, როგორც ეკონომიკურ-ფინანსური, ისე ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ხელშეწყობი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს საგადასახადო და საკრედიტო სტიმულებს სასურსათო დარგების გასავითარებლად. შესაძლებლად მიგვაჩნია პროდუქციის მწარმოებლებთან ფიოჭეროსული კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე გარანტირებული ფასების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და სხვა პირობების (განვადებით შექმნა და სხვა) წინასწარ განსაზღვრა. ორგანიზაციული თვალსაზრისით მხედველობაში გვაქვს სრულფასოვანი საბითუმო ბაზრების ორგანიზება რაიონულ ჭრილში და მსხვილ ქალაქებში, რომელსაც სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის

უზრუნველყოფა შეუძლია, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით - შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პროდუქციის ტრანსპორტირების, დანაკარგების და სხვადასხვა ხარჯების შემცირების კვალობაზე სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების მაქსიმალური გაზრდა და ვალუტის დიდი ოდენობით დაზოგვა. საჭიროა დაჩქარდეს აგრარული რეფორმა, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. სახაზინო საწარმოების შექმნა სოფლის მეურნეობაში გაუმართლებელია. სახელმწიფო ბიუჯეტი მათზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი უნდა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებას და რეალიზაციას. პირველადი გადამუშავების საწარმოთა პრივატიზება უნდა განხორციელებულიყო ნედლეულის მწარმოებელთა უშუალო მონაწილეობით.

მარკეტინგის არხებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომხმარებელამდე მოძრაობის პროცესში, განვითარებულ ქვეყნებში ჩართულია პროდუქციის დამამზადებელი და შემფუთავდამხარისხებელი საწარმოები, მარკეტინგის ელევატორები, ხილ-ბოსტნეულის საცავები, გადამამუშავებელი მრეწველობის ქარხნები და ფაბრიკები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელი, საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო კომპანიები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ჯიშინი თესლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქების მწარმოებელ, პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოთა ასოციაციები, კოოპერატივები, კორპორაციები და სხვ. რომელთა დამფუძნებლები, ძირითადად, თვით ფერმერები არიან.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, ანტიმონოპოლური პოლიტიკის გატარება, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა და მისი დაცვა. ამასთან, დაცული უნდა იყოს არა მარტო პროდუქციის მწარმოებლის, არამედ, მომხმარებლის ინტერესებიც. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს რეგულირების საბაზრო მექანიზმების ფორმირებას და მისი მოქმედებისათვის ხელსაყრელი გარემოს

შექმნას. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მარეგულირებელი სტრუქტურების მიერ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის უზრუნველყოფა, იმდაგვარად, რომ ეს უკანასკნელი ყოველ მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. კერძოდ, როცა ბაზარზე პროდუქციის მიწოდება არასაკმარისია (დეფიციტურია), გავლენა მოახდინონ ადგილობრივი წარმოების სტიმულირებაზე, ან გაადიდოს ამ პროდუქციის იმპორტი იმ ფარგლებში, რაც მიწოდებას შეუსაბამებს მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, როცა მიწოდება აღემატება მოთხოვნას (ჭარბია) და ფასები შეიძლება ამ პროდუქტზე მინიმუმამდე დავიდეს, თვითონ გამოვიდეს ბაზარზე, როგორც მყიდველი. შეიძინოს საქონლის მსხვილი პარტიები გარკვეული პერიოდით (შენახვის ან ექსპორტის მიზნით), დაარეგულიროს საბაზრო გადასახადები იმპორტულ პროდუქციაზე იმგვარად, რომ დაიცვას ეროვნული ბაზარი და სხვ.

დღეს ბაზარზე გვაქვს კერძო სექტორს ამოფარებული მონოპოლური ფასები, რომელიც ერთსა და იმავე პროდუქციაზე (მიუხედავად წარმოშობისა და დანახარჯებისა) ერთ დონეზეა შენარჩუნებული და, როგორც წესი, მხოლოდ იზრდება.

რით უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ ბაზარზე მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას? უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრუქტურების შექმნით, როგორცაა მარეგულირებელი სამსახურები, სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, საბითუმო ბაზრები, კომერციული ცენტრები და სხვა. ეფექტური საგადასახადო (საბაჟო, ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით), საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებით და გატარებით.

საბირჟო მექანიზმის გამოყენება მწარმოებელს საშუალებას აძლევს თვითონვე მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბის შესახებ. იგი საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმის გამოყენებით სოფლის მეურნეობასა და მის მომსახურე დარგებს, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის საქონლის ეკვივალენტური გაცვლის გარანტიას იძლევა. ამასთან, როგორც სასოფლო-სამეურნეო

პროდუქციის მწარმოებლები, შუამავალი მყიდველები და გამყიდველები დაზღვეული არიან ფასების მერყეობით გამოწვეული დანაკარგებისაგან. რადგან ფიზიკურული გარიგებით პრაქტიკულად მომავალი წლის მოსავლის წინასწარი ანაზღაურება ხდება, ეს კი მწარმოებელს საშუალებას აძლევს, შეიძინოს მისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და განავითაროს გარანტირებული წარმოება.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, მთავარი ადგილი უნდა მიენიჭოს აგრობიზნესის სტრატეგიულ დარგებში დაკრედიტების, პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის პროგრამების, საბაზრო მექანიზმების მარეგულირებელი სტრუქტურების ფორმირების პროექტების დაფინანსების საკითხს. პრობლემათა გადაწყვეტა აგროსასურსათო კომპლექსის დარგების განვითარების ყოველმხრივ შეფერებული პროგრამების შემუშავება-რეალიზაციაზე დამოკიდებული.

აგრობიზნესის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა გადაუდებლად მოითხოვს მეწარმეებთან პარტნიორობას, სამეწარმეო საქმიანობისადმი მხარდაჭერას, შესატყვისი ეკონომიკური გარემოს შექმნას (ახალი სამეურნეო სისტემა, სტრუქტურა, სტრატეგია, ტექტიკა, კადრების სწავლება), დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმართულებათა გარდაქმნას. სოფლის მეურნეობის პერსპექტივაში განვითარების მთავარი ბერკეტია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დახერხვა, რომელიც მკვეთრად აამაღლებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს, უფრო ეფექტიანად ჩართავს სამეურნეო ბრუნვაში მთელ არსებულ რესურსებს.

### 3.5 საკრედიტო ბაზუზირები: უმჯობესი და პირსამბეჭობი

აგროკრედიტი თავისი ბუნებით „შეფერებული და შეწონილი“ უნდა იყოს „მიწისა და მიწათმოქმედების თვისებასთან“. „სასოფლო მეურნეობა, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა, თითქმის ერთადერთი წყაროა ჩვენი



სიმდიდრისა“ – ბრძანებდა დიდი ილია.

1882 წლის 22 აპრილს თბილისის სათავადაზნაურო, საადგილმამულო ბანკის სასოფალო კრებამ მოისმინა და მოიწონა გამგეობის მოხსენება გლეხებისათვის „იაფი“ კრედიტის მიცემის თაობაზე და წარუდგინა ფინანასთა სამინისტროს დასამტკიცებლად. მაგრამ მეფის მთავრობამ საჭიროდ არ ჩათვალა კერძო ბანკისათვის მიენდო „იაფი“ კრედიტის საქმე. მიზანშეწონილად მიიჩნიეს სახელმწიფო საგლეხო კრედიტის ბანკის დაარსება, რაც განახორციელეს კიდევ რუსეთში.

ილია ჭავჭავაძე, 1889 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“, როცა შეეხო ამ დაწესებულების ჩამოყალიბების საჭიროებას საქართველოში, აღნიშნავდა: „დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედების ღონისა და მომცემლობისა“. დადებით მხარეებთან ერთად გააკრიტიკა წესდების ბიუროკრატიული ხასიათი და მისი შეუთავსებელი ბუნება ქართული სოფლის სინამდვილესთან (რუსული ბანკის წესდება, მაგალითად, არ ითვალისწინებდა კრედიტის გაცემას ვენახის შესასყიდად).

მისი შეხედულებით ბანკის შექმნას აზრი არ ექნებოდა თუ მისი წესდება არ გაითვალისწინებდა მიწათმოქმედების ინტერესებს. ასეა დღესაც, „სასოფლო მეურნეობის“ მართვა მისი დიდი სირთულისა და სპეციფიკურობის გამო ღრმა პროფესიულ მიდგომას მოითხოვს, სხვა შემთხვევაში კრისიზის გაგრძელება და უფრო გაღრმავდება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოკლევადიან დაკრედიტებაზე და პრაქტიკულ განხორციელებაზე საქართველოში მუშაობს „ტასისის“ პროექტი საპარტნიორო ფონდის მეშვეობით. ამ ორგანიზაციას გარკვეული სარგებლობა მოაქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ დაკრედიტების აღნიშნული ფორმა ფაქტობრივად მოუწვდომელი და არაეფექტიანია ფერმერთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის. მაღალი საპროცენტო განაკვეთისა და გირაოთი უზრუნველყოფის პრინციპთან ერთად ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ მისი განხორციელება ხდება თბილისში განლაგებული კერძო ბანკების მეშვეობით, რომლებიც არ იცნობენ სოფლის მეურნეობას, მათ, გარდა

კომერციული ინტერესებისა, ნაკლებად აწუხებთ დარგისა და ფერმერის წინაშე მდგომი პრობლემები. ნაწილობრივ ესეც განაპირობებს იმას, რომ შეზღუდულია დაკრედიტების არეალი (მხოლოდ მარცვალი) და მასშტაბი.

აგროსასურსათო წარმოების დაკრედიტება „აგრომრეწვებანკის“ რაიონულ განყოფილებათა მეშვეობით უნდა განხორციელდებულყო. დაუშვებელია აგრომრეწვებანკის გაკოტრება. ეს სისტემა (ქსელი) ესაჭიროება ქართულ სოფელს. მას ყველაზე უფრო ენდობა და იცნობს ქართველი გლეხი. განსასაზღვრია მისი ახალი მიზანი (ურთიერთდახმარების აგროკრედიტი). გასასწორებელია ის შეცდომები, რომლებიც მას რესტრუქტურისაციისას და 1993-94 წლებში სამთავრობო პასუხისმგებლობის გამო დაეკისრა ბანკს.

სოფლის მეურნეობაში საკმაოდ პრობლემურია ფორსმაჟორული და სხვა ხელისშემშლელი მიზეზებით კრედიტების დაბრუნების საკითხი. ამასთან, კრედიტების დაუბრუნებლობა, რაც დამკვიდრებულია ამჟამად კომერციულ ბანკებში, აგრეთვე, მათ მიერ გირაოში ჩადებული ლიკვიდური საშუალებების რეალიზაცია, საბოლოოდ გააღატაკებს ფერმერებსა და გლეხებს. ბუნებრივია, ეს გამოიწვევს კრედიტორების მიმართ შიშსა და უნდობლობას, დამღუპველ გავლენას იქონიებს აგროინდუსტრიის აღორძინებაზე.

არის თუ არა რეალური გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან?

რა თქმა უნდა, არის, თანაც ფართო შესაძლებლობანი.

სოციალური დაცვის მოშლამ მერყეობის წამგებიანი სიტუაცია შექმნა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ასეთ პირობებში გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად გზად აგროკრედიტის სისტემის ჩამოყალიბება და მისდამი ხელშეწყობა გვევლინება. იგი ეფექტიანად აშშ-ის, პოლანდიის, ბელგიის, გერმანიისა და საფრანგეთის სოფლის მეურნეობაშია დახერგული. ჩვენთვის ყველაზე მისაღებად სწორედ აშშ-ის და ფრანგული მოდელის გამოყენება მიგვაჩნია (ცხადია, ადგილობრივი პირობებისა და ტრადიციების მისადაგებით).

პრაქტიკამ ცხადყო, რომ დაკრედიტების კომერციული

წყაროები ყველგან და ყოველთვის არ ასრულებდა საინჟინერო ფუნქციას სოფლის მეურნეობაში და, რაც მთავარია, ყოველთვის არ იყო ხელსაყრელი პარტნიორობისათვის. მათი სასესხო განაკვეთები მაღალი და არც თუ იშვიათად სეზონური ხასიათისა იყო (ამასთან, კრედიტები უმეტეს შემთხვევაში მოკლე და საშუალო ვადიანია). სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ამერიკელი ფერმერები, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას უძრავი ქონების შესაძენად, ამჯობინებენ მიმართონ ფედერალურ სისტემაში შემავალ ფერმერული კრედიტის დაწესებულებებს. 1994 წელს ასეთ ფერმერთა რიცხვმა შეადგინა 34.6%, მაშინ როცა კომერციული ბანკები ემსახურებოდა ფერმერების 24.2%-ს.

ფერმერთა დაკრედიტების სისტემის სრულყოფის მიზნით აშშ-ის კონგრესის ინიციატივით ჯერ კიდევ 1916 წელს შეიქმნა „ფერმერული საკრედიტო სისტემა“ (ფსს), ჩამოყალიბდა 12 ფედერალური „მიწის ბანკი“, 1923 წელს შეიქმნა საშუაშუალო ფედერალური ბანკები, ხოლო 1983 წელს „საწარმოთა დაკრედიტების ასოციაციები“. ამავე წელს ჩამოყალიბდა კოოპერატივებისათვის, და რაც მთავარია, სისტემის ძირითადი მარეგულირებელი რგოლი – „ფერმერული კრედიტის საქმეთა ადმინისტრაცია“. 1971 წელს დამტკიცდა სპეციალური აქტი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ და სხვა. ამჟამად „ფერმერული საკრედიტო სისტემა“ შედგება შვიდი ბანკისაგან, რომლებიც ფონდებით უზრუნველყოფენ 232 ლოკალურ ასოციაციას. სწორედ ისინი განათავსებენ კრედიტებს სოფლად კლიენტებს შორის.

ფსს-ის შექმნის პირველ ეტაპზე მისი მუშაობისათვის აუცილებელი სახსრები მთავრობამ გაიღო. ამასთან, მანვე შეიმუშავა ღონისძიებანი ფსს-ში შემავალი ფერმერების დავალიანების თანდათანობით დასაფარავად. ამის მოუხედავად ფსს წარმოადგენს კერძო საკუთრებას მასში შემავალი იმ ბანკებისა და ასოციაციებისათვის, რომლებსაც ისინი ფლობენ კოოპერაციულ საფუძველზე.

აშშ-ის ფსს წარმოადგენს კოოპერაციული ფორმის ბანკების და მათი ასოციაციების სისტემას, რომელთა მმართველობა ხორციელდება მეპაიეთა მიერ არჩეული დირექტორთა საბჭოს

მეშვეობით, რომლის სამ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი.

სხვა ფედერალური სააგენტოების მსგავსად ადმინისტრაცია ინსპექტირებას უწევს ფსს-ის ყველა საკრედიტო საქმიანობას და უფლებამოსილია აკრძალოს ან შეწყვიტოს მათი მუშაობა, დაადოს საჯარიმო სანქცია, გაათავისუფლოს ან გადაადგილოს დირექტორები და სხვა თანამდებობის პირები, შეიტანოს საფინანსო და სხვა საანგარიშსწორებო ახალი სავალდებულო ფორმები.

ფსს-ის საქმიანობის ერთ-ერთი თავისებურებაა, რომ არ ხდება მუდმივი წილობრივი დაგროვება. მეპაიესათვის წილი არ არსებობს მხოლოდ დროის იმ პერიოდში, რომლის განმავლობაში მას კრედიტი აქვს აღებული და, როგორც წესი, შეადგენს საერთო თანხის 2-5%-ს. წილის სიდიდე იზრდება ან მცირდება კრედიტის თანხის ცვლილების მიხედვით. ოპერაციის დამთავრების შემდეგ კლიენტის ანგარიშზე რჩება სიმბოლური თანხა 5 დოლარის ოდენობით. სწორედ იგი აძლევს მას უფლებას ჩათვალოს თავი ფსს-ის წევრად და ისარგებლოს მისი მომსახურებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის აქტივები ითვლება მისი წევრების კოოპერაციულ საკუთრებად.

ფსს-ის ფინანსური სტაბილიზაციის მიზნით მასში შემავალ ორგანიზაციებს გააჩნიათ სხვა დამატებითი გარანტიები. მაგალითად, აღსანიშნავია პირობა, რომლის თანახმადაც, როგორც სავალდებულო მოთხოვნა, სისტემის ყველა საკრედიტო ორგანიზაცია ვალდებულია იქონიოს მუდმივი რეზერვი კაპიტალის აქტივების 7%-ის ოდენობით.

აშშ-ში არსებული „საკრედიტო ასოციაციები“ ამ სტრუქტურის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს შემდეგს:

პირველი – ეს არის ნდობა, რომელიც ფერმერებს შეუძლიათ მოიპოვონ ფინანსურ ბაზარზე. სესხის აღების მსურველი ფინანსურად არაკვალიფიცირებული მარტოხელა ფერმერი გაცილებით უფრო უსუსური პარტნიორია ფინანსების მიმწოდებლებსათვის, ვიდრე ერთ იურიდიულ პირად გაერთიანებული, ერთობლივი პასუხისმგებლობის მქონე, კვალიფიცირებული ფინანსური მენეჯმენტის მქონე რამდენიმე ფერმერი.

მეორე – საბანკო კონკურენციის პირობებში ერთი ფერმერი, რომელსაც მცირე რაოდენობის თანხა სჭირდება, უფრო ნაკლებად ვაჭრობისუნარიანია, ვიდრე ათეული ფერმერი, რომლებიც გაცილებით უფრო სოლიდური რაოდენობის თანხას უკვეთავენ, ეს მათ საშუალებას აძლევთ ნაკლები პროცენტული განაკვეთით მოიპოვონ სესხი.

ამგვარად, ჩვენი მიდგომა იზიარებს ორივე ამ პრაქტიკას და ვეყრდნობით რა საქართველოს სპეციფიკას, საკრედიტო კავშირების ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექტის ძირითადი შინაარსი ასე ჩამოყალიბდა:

ეს არის საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც იქმნება წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით, წევრთა კუთვნილი ფულადი სახსრების შენახვისა და ეფექტური დაბანდების, საკუთარი წევრებისათვის ხელსაყრელი კრედიტის მოზიდვისა და გაცემის და სხვა ფინანსური მომსახურების გაწევის მიზნით. აგროსამრეწველო კომპლექსის დაკრედიტების საკითხი, მოუხედავად ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისისა, გადაწყვეტიადი პრობლემაა.

პრაქტიკულად, საქართველოში საკრედიტო კავშირის ჩამოყალიბებას „ტასისი“ შემდეგნაირად ახორციელებს:

– საკრედიტო კავშირის თითოეულ წევრს შეაქვს წილი არანაკლებ 100 ლარისა და დებს პირობას, რომ ორი წლის განმავლობაში ამ თანხას გაზრდის 1000 ლარამდე;

– საკრედიტო კავშირი, თავის მხრივ, გარკვეული ვადებითა და პირობებით არის დაკავშირებული „ტასისის“ საპარტნიორო ფონდთან, კონტრაქტის მეშვეობით;

– საკრედიტო კავშირის წევრები აღგენენ საერთო ბიზნეს-გეგმას, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების მიმოქცევის პროგნოზს;

– თითოეული წევრი წარადგენს გირაოს, რომელიც პროფესიულად უნდა იყოს შეფასებული და რეგისტრირებული სესხის გაცემამდე. სესხის უზრუნველყოფა უნდა შეთანხმდეს კრედიტის მართვის ჯგუფში;

– სესხი, რომელსაც გაცემს საპარტნიორო ფონდი, სანქცირებულია წამყვანი საბანკო სპეციალისტების მიერ და გაცივმა ტრანშებით – ფულადი სახსრების მიმოქცევის პროგნო-

ზის მიხედვით. სერტიფიცირებული კომერციული ბანკების მეშვეობით საკრედიტო კავშირი თავის წევრებზე სესხს გაცემს პროცენტებით. მარჯა გამოიყენება საოპერაციო დანახარჯების დასაფარავად და კავშირის კაპიტალის გასაზრდელად.

ტრანშების გაცემას და სესხების სწორად გამოყენებას აკონტროლებენ საკრედიტო კავშირის ჯგუფის წევრები სესხის გამოყენების მთლიანი ციკლის პერიოდში. ეს საშუალებას იძლევა შემოწმდეს გაცემული თანხების გამოყენების მიზნობრიობა და ეფექტიანობა, პროდუქციის მარკეტინგი, პროცენტის დროული გადახდის რეალობა.

განსხვავება ჩვეულებრივ ბანკებსა და საკრედიტო ასოციაციებს შორის შემდეგია:

- საკრედიტო ასოციაციების ფინანსური სტატუსი ემყარება კანონს მეწარმეთა შესახებ, რომელიც ადასტურებს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების“ კანონიერ სტატუსს.

- საკრედიტო კავშირი არ არის მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, იგი არ მიისწრაფვის საპაიო კაპიტალზე და სესხებზე დარიცხული პროცენტული სხვაობის გაზრდისაკენ.

- მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია მფლობელობისა და მართვის საკითხები. საკრედიტო კავშირის წევრები მთლიანად აკონტროლებენ მის მუშაობას და ინაწილებენ სრულ პასუხისმგებლობას.

ოპტიმალური პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ კავშირის წევრები, შემდეგია:

- უნდა იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. თავიანთი საქმიანობის 50 პროცენტით დაკავებული უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობაში.

- კარგად უნდა აქონდეთ გათვითცნობიერებული ერთობლივი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

- შხად იყვნენ გირაოში ჩადონ თავიანთი ქონების გარკვეული ნაწილი.

- გააჩნდეთ სურვილი საკუთარი დანახარჯებით მონაწილეობა მიიღონ კავშირის მიმდინარე დაფინანსებაში.

საკრედიტო კავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაფინანსებაში. ასეთივე როლი აქვთ მათ შესყიდვის, გადამუშავე-

ბის და ვაჭრობის სფეროში. 70-იანი წლებიდან ისინი, აგრეთვე მონაწილეობდნენ არასასოფლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საბანკო საქმიანობაში. ბევრი მათგანი შემდგომში საბანკო ორგანიზაციიდან გადაიქცევა. მაგ. „კრედიტ აგრიკულტი“, „რაიფენზენის კრედიტი“ და სხვ.

„ტასისის“ მიერ ამჟამად საქართველოში დაარსებულია და მუშაობს შვიდი რაიონული საკრედიტო კავშირი – სიღნაღის, ახალციხის, ნინოწმინდის, ღანჩხუთის, ხობის, ქობულეთისა და ვანის. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე აჯობებდა საკრედიტო კავშირები შექმნილიყო სოფლის დონეზე, რადგან ამით დაირღვა საკრედიტო კავშირების ძირითადი პრინციპი ნაცნობობის, ნდობისა და სოლიდარობის შესახებ.

საკრედიტო კავშირების ფორმირების ხელშეწყობას საქართველოში ასევე ახორციელებს მსოფლიო ბანკიც. უკვე რეგისტრირებული ასეთი ტიპის 147 საკრედიტო კავშირი – კახეთში, აჭარაში, იმერეთში, ქართლში, სამეგრელოში, გურიასა და სვანეთში, მათში გაერთიანებულია 5000-ზე მეტი წევრი.

აქ საპაიო კაპიტალის მოცულობა 1996-1997 წლებში 3.8 ათასიდან 19.2 ათას ლარამდე, ანუ 5-ჯერ გაიზარდა. მსოფლიო ბანკის საკრედიტო კავშირები უპირატესობას ანიჭებენ ფერმერთა პირადი ქონების შენახვისა და დაგროვების ფაქტორს და მთლიანად საკრედიტო ფონდში ამ ნაწილის ხვედრითი წილის მუდმივ ზრდას. მათ მიაჩნიათ, რომ მოზიდული კრედიტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საწესდებო კაპიტალს 4-ჯერ მეტად, რაც უზრუნველყოფს კავშირის საიმედოობას და უსაფრთხოებას. მიგვაჩნია, რომ „სასოფლო-სამეურნეო კავშირების“ ცალკეული სოფლების მიხედვით ჩამოყალიბება, უდავოდ, პერსპექტიულია. წინასწარი პროგნოზით, მათი აზრით, შესაძლებელია უახლოეს 3 წელიწადში კიდევ შეიქმნას 100-120 საკრედიტო კავშირი, დაახლოებით 1.5 მლნ ლარის საკუთარი საკრედიტო რესურსებით, რაც, ვფიქრობთ, არასაკმარისია ჩვენი სინამდვილისათვის.

საკრედიტო კავშირების განვითარებამ, დამამედებელი შედეგების მიუხედავად მაინც ვერ მიიღო ორგანიზებული ხასიათი. მათ ფორმირებაში თითქმის არ მონაწილეობენ სახელმწიფო მარეგულირებელი სტრუქტურები. კრედიტების გამოყე-

ნების სფერო შეზღუდულია, საკრედიტო მოცულობა ძალიან მცირეა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ნეგატიური პროცესების წარმოქმნასაც უწყობს ხელს.

ვფიქრობთ, საკრედიტო კავშირების ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საკრედიტო კავშირები უნდა იქმნებოდეს სოფლების მიხედვით.

2. მეორე ეტაპზე სასოფლო-საკრედიტო კავშირები შეთანხმებული პირობებით უნდა გაერთიანდნენ რაიონულ საკრედიტო ასოციაციებად. ეს საშუალებას მოგვცემს შეიქმნას რეგიონული საკრედიტო რესურსები, მათი გადახაწილებით გავზარდოთ ბრუნვადობისა და გამოყენების ეფექტიანობა.

3. საკრედიტო კავშირებს, შემდგომ ეტაპზე, საშუალება უნდა მიეცეთ მიღებული კრედიტები დააბანდონ არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაშიც.

4. პრიორიტეტული დარგების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გამოყოს თანხები, როგორც მოკლე, ასევე საშუალოვადიანი დაკრედიტებისათვის, როგორცაა მევენახეობა, მეჩაიეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა და ა.შ.

5. საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების პარალელურად აუცილებელია შესაბამისი სადაზღვევო სისტემის შექმნა. ეს როგორც მეწარმეებს, ისე კრედიტორებს საშუალებას მისცემს მიიღონ უფრო თამამი რისკიანი გადაწყვეტილებები არა მხოლოდ ჩადებულ გირაოზე დაყრდნობით, არამედ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმისა და მეწარმის პროფესიული ღონის (უნარის) გათვალისწინებით.

6. აუცილებელია მოლაპარაკებების გაგრძელება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან აგროკრედიტის სისტემის ჩამოყალიბებისათვის, განვითარებულ ქვეყნებში ასეთი სისტემები მოქმედებენ და ეს მექანიზმები უზრუნველყოფენ აგროსასურსათო კომპლექსში არამომგებიან დაკრედიტებას.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდლულაძე რ. - აგრარული რეფორმა მეცნიერულ უზრუნველყოფას მოითხოვს, „ეკონომიკა“, №1, 1992.
2. ბურკაძე ვ. - საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი. „ეკონომიკა“, №8-9, 1993.
3. გოგოხია რ. - აგრარული საკითხი და ერის ინტერესები. „ეკონომიკა“, №2, 1991.
4. ვაშაკიძე ო. - საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებები და მისი სრულყოფის მიმართულებები, თბ., 1996.
5. თოფურია დ. - ინტეგრაცია, ინტენსიფიკაცია, ეფექტიანობა, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი, თბ., 1988.
6. კიკნაველიძე ა. - მიწათმოქმედება, მდგომარეობა, განვითარების გზები. „ეკონომიკა“, №6-7, 1993.
7. კოლუაშვილი პ. - სასოფლო-სამეურნეო სავარმოთა რესტრუქტურისაცნობა საბაზრო ფორმის საფუძველია. „მიკო მაკროეკონომიკა“, №8, 1998.
8. კოლუაშვილი პ. - აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის შედეგები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. IV, 1998.
9. კოლუაშვილი პ. - აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის სტრატეგიისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. IV, 1998.
10. კოლუაშვილი პ., მჭედლიშვილი დ. - საქართველოში ურთიერთდახმარების აგროკრედიტის განხორციელების გზები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, ტ. IV, 1998.
11. კუნჭულია თ. - საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები „მეცნიერება“, თბ., 1997.
12. მშვილდაძე ვ. - ძირითადი ფონდების გამოყენება და მისი ამალღების გზები. თბ., 1973.
13. პაპავა ვ. - საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე „მეცნიერება“ თბ., 1995.
14. ელენტი პ. მირცხულავა ა. მჭედლიშვილი მ. ქეშელაშვილი ო. - რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემის შესახებ. თბ., 1982.
15. რუხაძე ს. - აგრარული რეფორმა მიზანი, განხორციელების გზები „ეკონომიკა“, №3, 1991.
16. ქეშელაშვილი ო. ანდლულაძე რ. - სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, თბ., 1982.
17. ჩიჭავა ლ. - ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი „სიახლე“, თბ. 1997.
18. ჭითანავა ნ. - საბაზრო ეკონომიკა, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. „საქართველო“, თბ., 1993.
19. ხომერიკი ნ. - აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბ., 1920.
20. ქარქაშაძე ნ. - მსოფლიო სოფლის მეურნეობა. „განათლება“, თბ., 1993.

პარკეტების ეკონომიკური გეგმვა



K 58.932/2

